

თ. ა. მთავრიშვილის ამხანაგობის გამოცემა

გიორგი ჭანაშვილი

საქართველოს გეოგრაფია

საქართველოს გიმნაზიების მეშვიდე კლასის კურსი
სურათებით, დააგრძებით, გარტოვრაშით, რუსებით და 44 ტაბულით

ქუთაისი

ნ. ფერაძის და ამ. სტამბა.
1920 წ.



ဒုလိခိုစ္စတွေမြစ် ဆေဖွံ့ဖြူစွဲမြစ်

နာရီတွေ့လ သိမ်ဆိုလှု အဆင့်တေဝတ္ထု

အပါ အကျိုက်မိဇ္ဈာန်လှေး ဘဓာဇာဝါ

၁၃၄၈၈

၅၄၂၃၇

წინასიტყვათა

ჩვენი ტურფა სამშობლი რადაც სასწაულის შემწეობით ასი წლის რესეთის მოსახლისგან განთავისუფლდა, იმ თვითმშერობელი რესეთისა, რომელიც მუარეელი მეტობის მაგიერ ჰატარა დიდსულოვნის საქართველოს ბატონად მოვალის და დამორჩადა.

ესდა, როდა ამ მონაბას თავი დავაზრიეთ, ჩვენი პირველი მოვალეობაა გულდას-მით და მუქაითად შევმიგეთ ჩვენი სამშობლოს სიძლიდრის მოკროვებას და შესწაულას, რადგან, ჩვენდა სასირცხლდ და საუბედუროდ, ჩვენ ჩვენს სამშობლოს თითქმის ვერ ვიცნობთ.

ჩვენი ისტორიული განძი — ჩვენა გულტურა — ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობის შედეგის წარმოადგენს. გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოს ჭირი და დანიშნულება შეეთვისების ევროპის კულტურა, გარდაექმნა თავის შემოქმედებით და ამ სახით იგი აზიის კელურთათვის გადაეცა, მაგრამ მუხთალმა ბედმა რესეთის მწარე ასი წლის მონაბა არგენა მას.

საქართველო უკველესი ქვეშანია. მას ათასი წელების, ჭირვარამი გამოუვლია თავის სიცოცხლეში, მაგრამ, საშინელ ამობოქრებულ ქარცეცხლში გახვეული, ხელახლა აღდგენილა, როგორც ფერიქნის, ფერივლიდას ხელახლა აღმოცენილა.

ჰატარა საქართველოს თვალწინ ბევრმა უძლიერესმა სახელმწიფოობი დალა სელი, ბეჭრი დღეს თავისი გაგლას ცხადოებას ძლიერს მიასახალების; ჩვენი მარად ტურფა, მარად ახალგაზდა საშირბლო კი დღეს ისევ თავისუფალია; კავკასიონზე მიჯაჭულმა ამინანმა დღეს ბორკილები დამსხვრია და ქვეუანს აღზრთოვანებით შეხედა.

რა მიზეზია, რომ საქართველომ ამდენ სახელმწიფოს გადასჭრა? დღეს ისინა გაჭქრენ, ჩვენი ჰატარა ქვეუანს კი დღეგრძელების?

ამისი მიზეზი თვით საქართველოს ბუნებრივს კულტურაშია. კულტურის ბუნებრივობა კი ქვეუანის ბუნების საუკეთესო პირობებზეა დამკიდებული.

და თუ ჩვენი კულტურის განვითარება და აუგავება გვსუნს, ცხადია; ამ ბუნების პირობების ზედმიწევნით შესწავლა არის საჭირო. ბუნება ჩვენი მშობელია, და ამ მშობელის თვისების, ჩვეულების, განვითარების და მიზნებრივის შესწავლა ჩვენს მოვალეობას შეადგენს. როდა ეს გვიცდინება, ცხოვრებაც გაგვიადვილდება, მისი საუკეთესო პირობების შემნას ადგილად შევსძლებო და ჩვენს სამშობლოს აუგავების გზაზე დაგუენებთ.

შეცნიერების ერთი მა დარკთავანი, რომელიც აშ-საქმეში ხელს გვიწყობს, ხელი სამშობლის გეოგრაფია. მას ჩვენი ქვეყნის შიგნ უძლიერესი გულტურის შექმნაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ჩვენი მირდაპირი მოვალეობა, მის დაწვრილებათ ძესწავლას გულმოღვინედ შევუდგეთ.

სამუცნიერო და სასწავლო გეოგრაფიის სახელმძღვანელოდათ ჩვენ დღეს დარჩნი გართ. ამიტომ განვიზრახე ჩემის შერიც ეს მცირე წვლილი ჩვენი სამშობლის აუგვა-გებისთვის შემეწირა. მისი შედგენის დროს შიზნად დავისახე საჭართველოს ცხოვრების ეფუძნ მხარეს შევხებოდი. მივაღწიე ამას თუ არა, მომავალი გვიჩვენებს. წიგნს თან სურათები*, რექები და მაჩვენებელი ტაბულები დაფურთვე. ეს წიგნი ჩვენი სამშობლი გეოგრაფიის განვითარების პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. მასში მე გამოვხატუ ჩვენი პატარა ქვეყნის მრავალოეროვანი შემთქმედება. შევეხ ჩაის და ბამბის კულტურას, მეტე-ობას, მიწად-მოქმედებას, საქონდის მოქენებას, ვაჭრობა-მრავალებას, მევენახეობას და სხ.

დასასრულ, ღრმ შადლობას ვუძღვი შემა-ჩემს — მოსტ ჯანაშვილს; მან ამ სახელმძღვანელოს შედგენის დროს მრავალი ცხობა მომაწადა და დახმარება აღმომიჩნა.

გ. ჯანაშვილი.

* სამწუხაროდ, ავტორის სურეილი სავსებით ვერ განხორციელდა, რადგან სურა-თების სიმრავლე ამ ზღაპრულ სიძვირეში წიგნის ფასს მეტად გააღიდებდა და ეს გარე-ზოება კი წიგნის გავრცელებას საქაოდ ჩელს შეუშლილა. ამის ვამო იძულებული შევიქე-ნით ნაწილი სურათებისა და ოუქებისა გადაგვედვა შემდეგისათვის, როცა გამომცემლობი-სათვის უფრო ნორმალური პირობები შეიქნება. ამიტომ ბოლიშ ვინდით როგორც ავტო-რის, ისე საზოგადოების წინაშე.

საქართველოს გდებარეობა, ჯიშები და საზღვრები

ჩვენი სამშობლო აზიაში მდებარეობს: მისი უკიდურესი ჩრდილოეთის წერტილი, სოხუმის გადასავალი, $43^{\circ}31'$ ჩრდილოეთის სივანეს ეხება; სამხრეთისა — გმიჯალი — $40^{\circ}46'$ ჩრდ. — სიგანეს უწევს; დასავლეთისა — ახალი გაგრი — $57^{\circ}50'$ — აღმ. სიგრძეს და ომოსავლეთისა კი — მთა ყარა-ყანა — $64^{\circ}52'$ აღმ. სიგრძემდის. მაშასადამე, ჩრდ. — სამხრეთის მიმართულებით საქართველო გარელებულია 330 კმ. — მდე, აღმ., — დასავლეთით კი — 883 კმ. — მდე; საქართველოს სივრცე — 56505 ათხუთხ. კმ.

საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი მდ. ბზიბის შესართავის მახლობლად იწყება და აქედან მთავარ ჭედზედ მიმდინარება მთა ყარა-ყანამდე; სამხრეთის საზღვარი იწყება მდ. ჩოლოქის შესართავიდან მის გაყოლება მდ. ნატანებამდე, აქედან მიმდინარება მდ. ნატანებით მთა გოთიმერიამდე, შემდეგ გადადის მთებზე: შავნაბადა, თლილი, კასრის სერი, ტბა ხაზაპინის შუაზე, აქედან მთა გექლაგზე, ტაფალარზე, ორთულდაგზე, ოქუ-დიგამდე, აქედან მთა გულგარამდე და ლაილი-დაგამდე, შემდეგ ლაილი-დაგი, სწორე ხაზი მთაგრძენილზე, სოფ. ირგანჩაი, კულუ-ტაშის სიმაღლე ($855,5$) სიმაღლე 676 , სოფ. საათი, უსახელო სიმაღლენი 910 , 739 , სოფ. ჯანდარი, სიმაღლე 735 , 694 , სოფ. ახ-კერპი, სწორე ხაზი სოფ. ოფრეთამდე, სიმაღლე 492 , სოფ. ხოჯორნის ეკლესიის ნანგრევები, სოფ. ბარდაზორი და სადახლო, სადგ. სადახლო, სიმაღლე 1554 , სადახლოს სამხრეთით სიმაღლე 2660 , ტაპა-დაგის მთა — წყარომდე, რომელიც ხაჩა-ყალის სამხ-თით მიმდინარება, პალუტული ბაშის მთა, ახალ-ქალაქის მაზრის საზღვრიდან სოფ. ოფრეთამდე; ზემოხსენებულ წყაროდან ვიდრე ხრამი მტკვარს შეუერთდებოდეს, აქედან ძველი საზღვარი გადის სომხეთსა და ადერბეიჯანს შორის სადგ. ფოილამდე; აქედან იწყება აღმ. საზღვარი, რომელიც საინგილოს და დალესტანს შორის მიდის; დასავლეთიდან საქართველოს საზღვრავს შავი ზღვა.

კავკასიონი ქვის კედელივით ამართულა ევროპას და აზიას შორის და თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და მთების გეოლოგიური შენობით მთელს ბუნებაში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს. კავკასიონის რომ საერთოდ მაღლიდან თვალი გადავავლოთ, უნტბლიერ თვალშინი წარმოგვიდგება საშინელი გრიგალოს დროს აღლელვაბული ზღვა, რომელიც თითქო ამ მდგომარეობაში გაქვავებულა. მეცნიერებამ აქ განიცადა დიდძალი დაბრკოლება ბუნების და მკვიდრთა შესწავლის მხრივ; მაგრამ მან ყველა ეს სძლია. ამ ქაოსში მთავარი ქედის მიმართულება ნაპოვნია; გვერდს ტოტები. და მათი კავშირნი მთავარ ქედთან გარკვეულია; მაღლობნი

და სხვა შესანიშნავი ადგილები უმეტესად ტრიგონომეტრიულად და ბარომეტრიულად¹ გაზომილია, გეოგრაფიული მდებარეობა ასტრონომიულად უკვე გამორკვეულია.

ყველა ამ გამოკვლევაში ღიღილი მოუძღვისთ კავკასიის ლაშქრის გენერალური შტაბის ოფიციებს, მეტადრე ბბ. ხოდჭკოს და სტებნიცეის კავკასიონის გეოლოგიურ და გეოგრანიტურ კვლევათა შემწეობით მეცნიერებამ გამოარკვია არა მარტო მისი შინაგანი შემაღებელობა და ფორმაციები, რომელთა იგი ეკუთვნის, არამედ მან დაგვანაზა. მისი ამაღლებათა მთავარი მიმართულებანი და მისთან წარმოებული ცვლილებანი. უკანასკნელი მეცნიერული კვლევანი და მოპოვებანი ეკუთვნის აკადემიკოსს აბის; ხოლო უკანასკნელი სამეცნიერო გვირგვინი კი დამსახურა გამოჩენილმა ალპინისტმა ჰოდფრიდმა მერცხახერმა, რომლის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი თხზულება „Aus den Hächregionen des Kaukasus“.

ზედაპირის შენობა

ღიღილი კავკასიონის ქედი სამ ნაწილად იყოფა.

I პონტო-აფხაზეთის ალპები შავი ზღვის სანაპიროდან იალბუზამდე.

II ცენტრალური ქედი იალბუზსა და მყინვარს შორის.

III ალმოსავლეთი ნაწილი თუშეთის ალპებით და მაღალი დაღისტნით.

პონტო-აფხაზეთის ალპები რა ღიღილ ჯგუფად იყოფა.

პირველ ჯგუფს შეაღენს პონტოს ალპები ქ. ანაპილან გადასავალ თუბამდე. ეს ჯგუფი ჩვენს საზღვრებში არ შემოდის და ამიტომ უყურადებოთ კსტოვებთ.

მეორე ჯგუფია — აფხაზეთის ალპები, რომელნიც გაერთიანებულან გადასავალ თუბადან ნახარის გადასავალამდე (2867 მეტრ.). აქ საქართველოდ საფუძველშია, ქედები-კი გნეისით და მეტამორფუიული ფიქალით არის აგებული; ამათ შორის მოიპოვება ძველი ვულკანიური ქანთა ძარღვები (დიაბაზი და პორფირიტი). ნახარის გადასავალი აერთებს ჩრდილოეთით ლრმა უჩიულანის ხეობებს (მდუშანეს სათავეებს) და სამხრეთით კოდორის სათავეებს და შესანიშნავს საზღვარს

* სიმაღლეთა გაზომვის პირველი წესი შეფარდებით სიმაღლეს იძლევა, ხოლო მეორე — აბსოლუტურს.


წარმოადგენს, რადგან აქედან ახლო აღმოსავლეთ მხარეს იალბუზის უწინდელი ამოხეთქვანი მთების აგებაში დიდ მონაწილეობას იღებდნენ.. ბროლეული ფიქალები (გნეისი, გნეისი საქსითურთ და სხ.), რომელთაგან შესდგება მთის ტოტები, ნახარის გადასავალიდან აღმოსავლეთისკენ აქ-იქ მოცულია იალბუზის ყბიდან ამოხეთქილი უფრო ახლი ქანებით, ე. ი. ანდეზიტებით; ხოლო ეს ლივა აღმოსავლეთისკენ უფრო ჩეტი დაქცეულა, სახელდობ — მალკის და ბაქსანის სათავეების ხეობებში. მაშასადამე, ნახარის გადასავალიდან აღმოსავლეთით მდებარე მაღალი ქედი განისაზღვრება მდინარე ყუბანის სისტემის ფრიად ღრმა კვლებით, სამხრეთით კოდორის სისტემით და მთაფრად განიჩევა იალბუზის მასივისგან გეოლოგიური შეფარდებითაც.. მასთან ერთად ნახარი ეთნოგრაფიულ საზღვაოსაც შეადგენს, რადგან აქედან აფხაზების გადასახლებამდე მათი სოფლები ნახარამდე აღწევდნენ; ნახარის აღმოსავლეთით კი ყარაჩაელნი ცხოვრობდნენ. ამიტომ თუბას და ნახარის შორის მდებარე ქედის ნაწილს აფხაზეთის აღპებს ეუწოდებთ, რომელნიც თოვლის ხაზის ზევით შესამჩნევად აწეულა; აქვე მოიპოება დიდი საყინულეებიც, რადგან თოვლის საშუალო ხაზი აქ ჩამოწეულა 2700 მეტრამდე, მათი მწვერვალი კი 3000 მეტრს გაუილებით აღმერტებიან.. მაგ. კლუხორის გადასავალიდან დასავლეთით მოიპოება ორთავიანი დომბაიულენი (4041 მ. და 4038 მ.).

II ცენტრალური ქედი იალბუზსა და მყინვარს შორის ფრიად უმაღლეს და გაყინულ ნაწილს შეადგენს და გეოლოგიისა და გეოგრაფიის მხრივ 5 ჯგუფად განიყოფება.

I იალბუზ-დონლუზ-ორუნის ჯგუფი მძლავრი მასივია ორთავიანი იალბუზის უმაღლესი მწვერვალებით. იგი ვრცელდება ნახარის გადასავალიდან ბექის გადასავალიმდე, რომლის სამხრეთით სრულიად აღარ მოიპოება დამდნარი მასები (ანდეზიტები); ეს მასები ოდესალაც ამოხეთქილან ამ ენდოგენიური ცენტრიდან. ამ ჯგუფის ჩრდილოეთის საზღვაოს შეადგენენ ყუბანის სათავეები, დასავლეთისას — მალკის სათავეები, სამხრეთისას — კოდორის გასწვრივი ხეობა და აღმოსავლეთისას — კოდორის სათავეები. რადგან იალბუზი მთავარი ქედიდან განდევილად სდგას, ეს ჯგუფი შეიძლება რა ნაწილად გაიყოს; ეს უკანასკნელნი ერთმანეთისგან განიჩევიან როგორც ოროგრაფიულად, ისე გეოლოგიურადც.

a. ნამდვილი იალბუზის ჯგუფი, ე. ი. არქაიული ღროის მასივი ანდეზიტების ლავებით მოცული. აღ. — თით მას ჰას ჰაზლოვრავს ბაქსანის ხეობა, ჩრ. — თით მალკის ხეობა, დას. — თით უჩულან-ნახარის გადასავალი და ჭყალთის ხეობა, სამხ. — თით კი ჩიქერის და აზაუს გადასავალთა ამონაკვეთი; ამ უკანასკნელის შემ-

წერილი ბაქვანის და უღლესის (ყუბანის) სათავეები ერთმეორეს უერთდება — და იგი იალბუზის ჯგუფს დონდუნ-ორუნისას აშორებს. იალბუზის ჯგუფის უმაღლესი მწვერვალი იალბუზია (5629 მ. და 5593 მ.)



ပျောက် ၁

კავკასიონის ქედის უმაღლეს მწვერვალთა დიაგრამა (მეტრებით)

ბ. დონლუბ-ორუნის ჯგუფი (დონლუბ-ორუნი — 4468 პ.) თალხის ფიქალისა, გნეისისა და პორუირის საქსისგან არის აგებული. იალბუზს აქ არავითარი გავლენა არა ჰქონია და ამიტომ აქ ანდეზიტები არ მოიპოვება. შესანიშნავია, რომ გადასავალ ბექისკენ ჩამავალი ქედის ზემო ნაწილი აგებულია არა საქსისგან, არამედ გნეისისა და მეტამორფიული ფიქალებისგან. ამ ჯგუფს ცალკეული აგრეთვე გაყიდული მთები, საიდანაც იწყება მდ. დოლრა-ჩალა და მთები — ლედეშტ, ლეირაგ, ლაკრა და სხ., ე. ი. მთავარი ქედის სამხრეთის ტოტები. ესენი პორფირის ფიქალებისა და გნეისისგან შედგებიან.

სამხრეთისკენ თხელდებიან და თანდათან თაგვიარილის და სიღიაჭვის მღიდარ-ძარღვებიან თიხის შავ ფიქალებად იქცევიან. სამხრეთის ამ ტოტის უმაღლესი მწვერვალი არის ცალმრავი (3991 მ.). მაშასადამე, ამ ჯვრფის ჩრდ. საზღვარი ულუ-ჟუზენგის ხეობიდან ბექის გაღიასავალით მდ. ბაქესანისკენ მიიმართება, აღ — თით ჟუზენგიდან — გულის გადასავალიმდე, დას. — თით — ნენს-კრირის ხეობა და სამჩ — თით — ენგურის ხეიბა.

2. სეანეთ-სათათრეთის ალპების ჯაჭვი შესღება უმთავრესად საქსის-გაა, რომელსაც მეზობლად მდებარე ბროლეული ფიქალები გაურღვევია და საღაც იშვიათად ნალექი ან უფრო ახლად ამოხეთქილი ქანები მოიპოვება. ეს საქსის ზოლი ვულის გადასავალიდან მიდის ცხენისწყლისა და ენგურის გასწვრივ ხეობების გაყოლება. მათ სათავებამდე და ან სივრცის სამხრ. კალთაზე სვან-თა სოფლებია გაფანტული; ზოლო ჩრდილოეთის კალთები ჩერეკის, ურვანის და ჩეგემის ხეობებისა ბაქსანამდე მთიელი თათრებით არის დასახლებული. ფასის მთა (3785 მ.) ითვლება ამ ჯაჭვის აღმ. საზღვრად იმიტომ, რომ ამ შესანიშნავი მთის კვანძის ახლოს ჩრდ. მხარეს საქსის ჯაჭვი მთა კოშტან-ტაუდან გამოდის; იგი მთავარი ქედის პარალელურად მიდის, მდ. ჩერეკს და ურუხს ერთმანეთს აშორებს და გარდიგარდმო ტოტით ხელახლა უერთდება მთავარ ქედს; სამხრეთისკენ კი გამოდის ფიქალის ის ტოტი, რომელიც უნგურს, ცხენისწყალს და რი-ონსა ჰყოფს. აქედან მთავარი ქედი დიდ მანძილზე სამხრეო-აღმოსავლეთისკენ მიიმართება.

ეს დიდი ჯაჭვი განიყოფება:

ა. უშბას ჯგუფად, რომელიც იწყება გადასავალ ბექისთან, სადაც ბროლეული ფიქალები მოიპოვება და გრძელდება გადასავალ აღილამდე. მაშასადამე, იგი შეიცავს მთის უშბას (4698 მ.) საქსის დიდ შაბავის; ეს მასივი აღმართება ჟუზენგი-ბაქსანის და აღილ-სუს ხეობების და თუბრის, ენგურის, მესტიას და დოლრას შორის. გადასავალ აღილიდან გარდიგარდმო ვამოსული ქედი დალაქორა, ბროლეული ფიქალებისგან შემდგარი, თუბრის ხეობის მაღალ ტოტთან ერთად აღმოსავლეთით ჰქმნის მძაფრ ოროვრაფიულ და გეოლოგიურ საზღვარს.

ბ. ლაგზირ-გვალდას ჯგუფი გადასავალ აღილისგან გადასავალ მესტიამდე აღმართება. ამ ჯგუფშიაც ბროლეული ფიქალები გაფრცელებულია სიგანით და სიმაღლით, მეტადრე მთავარი ქედის სამხრეთის მძლავრ ტოტებში; უფრო გავრცელებულია იგინი გვალდაში, რომელიც მთავარი ქედის პარალელურად გაჭიმულა. აქ ამ ჯგუფს შეაღვენებ: მთელი ფრიად განვითარებული სრულიად დამოუკიდებელი საყინულე ლეგზის ფირნის ოლქი,

საქსის ქედი ანდირჩი და ქურმიჩი უზარმაზარი ფირნის მინდვრებითურთ და ზე-
შობსენებული სამხრეთის გვერდის ჯაჭვები. უმაღლესი მწვერვალი მისი ხვამლია
(4302 გ.).

გ. ჯგუფი ადირ-სუ გადასავალ მესტიას და თვიბერს შორის იმყოფება.
ამ ჯგუფი გარდა საქსიანი მთავარი ქედის ნაწყვეტისა, რომელიც თითქმის
შუადღის ხასის მიმართულებით არის გაჭიმული, შედის მისი დიდებული ჩრდ.
ტოტი, რომელიც ბაქვანის ხეობისკენ მიმართება; მას აქვს დიდი საყინულეები
და მაღალი მწვერვალები. ამ ჯგუფის მთავარი მასა საქსისგან შესდგება.

დ. ცენტრალური სვანეთის ჯგუფი ანუ თიხთენგენის ჯგუფი გადასავალ
თვიბერსა და ცანერს შორის იმყოფება. იგი შეიცავს ფირნის ოლქს, რომე-
ლიც თავის წყალს სამხრეთისკენ გზავნის. უმაღლესი მწვერვალი თიხთენგენის
(4614 გ.) მთავარი მასა საქსისგან შესდგება, ხოლო ჩრდ.—აღმოსავლეთის
ტოტში და აგრეთვე სამხ. დასავლეთისაში ბროლეული ფიქალი ფრიად განვი-
თარებულია.

**ე. კავკასიონის ქედის მთავარი ცენტრალური ჯგუფი ცანერიდან ფა-
სის მთამდე მიმართება. ამ ქედსა და მის ტოტებში საქი ვერტიკალური
მიმართულებით თავის უძლიერეს განვითარებას აღწევს; ჩრდ. კალთაზე მას
ეკვრის ბროლეული ფიქალების ფართო ზოლი, სამხრეთისაზე. კი ამ ქანის
გავრცელება ფრიად უმნიშვნელოა. იალბუზის და ადირ-სუს გარდა ამ ჯგუფში
მოიპოვება საყინულეების უძლიერესი გავრცელება მთელ კავკასიაში; აქვე
იმყოფები იალბუზის შემდეგ კავკასიონის მაღალი მწვერვალები. ხოლო, რო-
გორც ეტყობა, რაღაც საფუძვლიანი კანონის ძალით ამ უმაღლეს მწვერვალთა
უმრავლესობა მთავარ ქედზე კი არ მდებარეობს, არამედ მის ჩრდ.. და სამხ ტო-
ტებზე. ამ ჯგუფის საზღვრებს შეადგენენ: ჩრდილოეთი — ბეზინგის ანუ ზემო
ურეანის და ბალქანის ხეობა და ჩერეკის ხეობა; სამხრეთი — მულხრის, ენ-
გურის და ცხენისწყლის ხეობები. მრავალ ბუმბერაზთაგან აქ დავისახელებთ
უმაღლეს მთებს: შხარას (5184 გ.), დიხ-ტაუს (5198 გ.), კოშტან-ტაუს (5145 გ.).**

ვ. დიგორის ალპები ცანერიდან ღებივეუკამდე მიმართება. ეს ჯგუფი,
მთავარი ქედის ნაწილის გარდა, შეიცავს კიდევ მთავარი ქედის ვარალელურ ჩრდ.
შტოს, რომელიც მთა კოშტან-ტაუდან იწყება. ჯგუფის საზღვარს შეადგენს
ჩრდილოეთი: ჩერეკის ტურუზის ხეობები. სამხ — თით რიონის ტენისწყლის
სათავეები. გასწვრივი ხეობა ხარვესი ამ ორ ჯაჭვს შუა გადის; ალპები იყო-
ფა ორ ნაწილად:

ა. სამხრეთის ჯაჭვი ანუ ლაბოდა (4320 მეტრ.) რიონის და ხარვესის ხეობათა წყლის გამყოფელია. უმაღლესი მწვერვალი ლაბოდას გარდა აქ არის წითელი (4277 მ.) და უსახელო მთა (4007 მ.) საყინულე ტანა-ცეტეს ნაპირზე. ეს ჯაჭვი უმთავრესად საქსისგან შესდგება იმ მოდიფიკაციით, რომ აღმ. მხარეს, ფასის მთის ახლო, რვა კმ. მანძილზე, მეტამორფიული თიხის ფიქალები წყლის გამყოფელსა ჰქმნიან. აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ფიქალების საზღვრებში მაღალი მწვერვალნი არ მოიპოვებიან და რომ აქ მთავარ ქედს რამდენიმე აღვილად მისაღვიმი საყინულებიანი გადასავალი აქვს.

ბ. ჩრდილოეთის ჯაჭვი ხელმეორეთ ამტკიცებს კავკასიონის აგებულების იმ განსაკუთრებულებას, რომ მისი მოწინავე ქედები ჩვეულებრივ თავისი სიმაღლით მთავარ ქედს აღემატებიან. ეს ჯაჭვი შესდგება იმავე ბროლეული ქანებისგან, როგორც მის უკან მდებარე მთავარი ქედი, უმთავრესად მოთეთრო საქსისგან მწვანე ლაქებითურთ, რომელიც აღმისი ბიოტიტ-საქსსა ჰგავს. იგი ქედის ზემო ნაწილში გადაჭარბებულია, ხოლო ქვემო ნაწილის მთავარ ელემენტს ბროლეული ფიქალები შეადგენს. ქედი ურუხის ხეობის აღ—თით სწრაფად დაბლდება კარიუ-ხოხის ტოტამდე (3404 მ.); უფრო აღ—თით კი მცირე საყინულები მოიპოვება. საქსის და ამ ნაძირალა ქანებს შორის მძაფრს საზღვრის გადასავალი ბუროვცეკი შეადგენს. ჩრ. დიგორის ჯაჭვის მთავარ ნაწილში საყინულებებს გაცილებით მეტი აღვილი უჭირავთ, ვიდრე სამხ ჯაჭვისაში. შესანიშნავი მწვერვალნი აქ არიან: სუენ-თაუ (4490 მ.) და გულჩი-თაუ (4475 მ.).

4. აღაი-ხოხის ანუ მამისონის ჯგუფი ღებიცუკის გადასავალიდან მიიმართება იქამდე, საღაც მდ. არდონი მთავარ ქედს არღვევს. იგი შეიცავს კავკასიონის ორ უდიდეს ფირნის აუზს—წესის და ღულუდორის საყინულებებს. უმაღლესი მისი მწვერვალებია: საქსიანი აღაი-ხოხი (4647 მ.) და სონდუთა-ხოხი (4460 მ.). მთავარი ქედის მაღალ მწვერვალებზე და აღაი-ხოხიდან და კალფერიდან გამოსულ ჩრდილ ტოტზე საქსი შესამჩნევ ვერტიკალურ განვითარებას აღწევს, ხოლო პორიზონტალურ მიმართულებით მას ვიწრო სივრცე უჭირია. მათ გვერდით კი ბროლეულ ფიქალების ჩრდ. მხარეს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ, სამხრეთ მხარეს კი ეს ფიქალები სრულიად არ მოიპოვება. სამაგიეროდ აქ დიდი სივრცეები თიხის ძველ ფიქალებს უკავიათ, რომელიც ჩრდ. მხარეს ნაკლებ არიან გავრცელებულნი, რადგან იქ ფიქალი თალხთან და რქის მატურთან ერთად გრძელ და ვიწრო ხოლოსა ჰქმნიან. მათსა და საქსს შორის სამხ. მხარეს თიხის ფიქალი სხვა ქანებთან შეხებისგან აქაი შეცვლილა; იგი მრავალ გარდიგარდმა პარალელ შტოებს ჰქმნის, რომ-

ლებითაც მთავარი ქედი უერთდება უზარმაზარ სამხრეთის გვერდის ქედს; ამ ქედში ამალლებულიან მთები: შოდა, ხალაცა, ზეკარი და სხ.. ქედი ლაილა რომ არ ჩავთვალოთ, ამ გვერდის ქედის აგებაში ცენტრალურ კავკასიონის თიხის ძველ ფიქალებს თავის უძლიერეს განვითარებამდე მიუღწევიათ. ადაი-ხოხის ჯგუფს საყინულების გავრცელების მხრივ კავკასიაში მეორე ადგილი უჭირავს. ამ ჯგუფს ჩრ.-დან საზღვრავენ მდ. ურუხის და ორუგუნის ტოტის ხეობები და სამხ. — დან მაღალი გასწვრივი ჩანჩახის და მამისონ-დონის ხეობები, რომელნიც მამისონის გადასავალთან ერთმანეთს უერთდებიან.

მდ. არდონის ლრმა ხეობის აღმოსავლეთით იწყება ოსეთის ალპები.

5. ოსეთის ალპები არდონის ხეობიდან თერგის და არაგვის ხეობებამდეა, ასე რომ მათ დას. — თით ოსეთის სამხედრო გზა, ალ. — თით კი საქართველოს სამხედრო გზა. ოსეთის ალპები შეიცავენ ყველა მაღალ მთებს, რომელთა ხეობებში ოსობის უმრავლესობა სცხოვრობს. საქსს აქ უჭირავს მხოლოდ ვიწრო ზოლი განსაკუთრებით მთავარი ქედის ჩრ. — თით კალტერიდან გამოსულ გვერდის ქედში; ხოლო იქ გარს არტყია მას ბროლეული ფიქალი, რომელშიაც უხვად მოიპოვება დიაბაზი. უდიდეს სიმაღლეს ეს გვერდის ქედი თავის აღმ. ბოლოზე აღწევს; ეს არის მთა მყინვარი — შედარებით ჯერ ახალი ვულკანი. აქ მთავარი ქედის აგებაში ძეველი ბროლეული ქანები აღარ მონაწილეობენ, სამაგიეროდ მძლავრად განვითარებულია თიხიანი მუქი ფიქალი სილაქვით რ კირის თიხიანი ფიქალითურთ. ამ ჯგუფის მთების განსაკუთრებული ხასათი სხვათაშორის შეიძლება ასენას უმთავრესად იმ ლავით, რომელიც მყინვარის ყბიდან, ბრტყელ-მთიების ყელიდან და მთა წითელიდან ამოხეთქილა. ეს ლავა ერთი მხრით ფიქალებს გასჯდომია, მეორე მხრით კი ისე დაუფარავს ფიქალები, რომ მისგან მრავალი ხეობის კალთები შექმნილა. გვერდის ქედის დიადი მწვერვალი — მყინვარი, გიმარაიხოხი, თეფლი და სხ. ანდეზიტისა ან დიაბაზისგან არის აგებული; მათ ეკვრება ფიქალი, რომელიც ლავასთან შეხებით მეტამორფულ ფიქალად არის ქცეული და აქ ახალ ვულკანების ქანებს შესამჩნევი მაღლობი არსად არ შეუქმნიათ. ჯგუფი განისაზღვრება ჩრ.-დას. არდონის, ფიაგ-დონის და მათი ტოტების ხეობებით, სამხ. — თით თერგი არაგვის ხეობით და დიდი ლიახვის სათავეების ხეობებით; აღმოსავლეთით - თერგით და არაგვით, ე. ი. საქართველოს-სამხედრო გზით. მაგრამ ეს გზა გეოლოგიურ საზღვარს არ შეადგენს.

ოსეთის ალპები, თავის მხრივ არ ჯგუფად განიყოფება:

ა) მთავარი ქედი ანუ საქი-თურსოს ქედი. იგი მთავარი წყლის გამყოფელი. ქედის ძველი თიხიანი ფიქალებისაგან შემდგარა; ნგრევის გამო ისე დადაბლებუ-

ლა, რომ მაღალი მთების ხასიათი დაუკარგავს: გარდა ამისა მიმდინარე წყლის ეროზის მეოხებით იგი პატარ-პატარა ნაწილებად დაყოფილა. მხოლოდ გარდა გარდმო ჯაჭვიღან, რომელიც არღონის და თერგის ხათავეების წყლისა ჰყოფს, აღ---თით მთავარი ქედი ხელის მაღალი აღწების ხასიათს ღებულობს და მწვერ-გალ ზოლგა-ხოხში (3854 მ.). უმაღლეს წერტილს აღწევს... ამ მთებზე მცი-რედი საყინულეებია. ჯვრის გადასავლისკენ კი ქედი ხელახლა დაბლდება.

ბ) ჩრდილო-გვერდის ქედი ანუ ქედი მყინვარი — ჰიმარია — ჩოხი — თეფლი. ამ ჯგუფის აგებაში უმთავრესად მონაწილეობას იღებდნენ ბროლე-ული და თიხიანი ძევლი ფიქალები, რომლებიც ძევლი და ახლი ვულკანების ქანებს (დიაბაზ-ანდეზიტებს) შეხებიან და შეცვლილან; საქსი კი აქა-იქ მოჩანს. ფიაგ-დონის სათავეები ამ ჯგუფს ორ ნაწილად ჰყოფს: დასავლეთის ნაწილი დია-ბაზისგანაა აგებული და აქვს მწვერვალი თეფლი (4423 მ.), რომლის გარშე-მო შეჯგუფულია ცმია-კომ-ხოხი (4136 მეტ.), კოლოტა-თაუ (4167 მეტ.) და არხონ-თაუ (4255 მ.); ამ ჯგუფის აღმ. ნაწილი ჰორიზონტალური და ვერ-ტიკალური მიმართულებით ფრიად მძლავრია; იგი დიაბაზისგან შემდგარ მწვერ-გალ ჰიმარია-ხოხში (4778 მ.) და მყინვარის ანდეზიტიან კონუსში (5043 მ.) უდიდეს სიმაღლეს აღწევს და კავკასიონის აღწების უუდიდეს ნაწილს შეად-გენს.

III. აღმოსავლეთი საქართველო შემდეგ ჯგუფებს:

I. ხეესურეთის აღაბებს საქ. სამხედრო გზიდან ბორბალომდე. ეს ჯგუ-ფი ხეესურებითაა დასახლებული და პატარ-პატარა პარალელურ ტოტებს შეი-ცავს; ტოტები ბროლეული ქანებიდან (დიაბაზ-პორფირიდან) შესდგება. ამ ქა-ნების ნაწილი დამოუკიდებლად გამოდის ზედა პირზე (მთები ჩაუხი); ნაწილი მათი მძლავრი ძარღვების სახით ძველ თიხიან ფიქალებში შექრილა და აქა-იქ ეს ფიქალები შეუცვლია. აქ საქსი და არქაიული ფიქალები ჯაჭვის ნაკვეთზე არ გამოდიან, მოსჩანან მხოლოდ უულკანური ქანები, რომლებიც სხვათა შო-რის აღ. — სკენ ასის ხეობაში სილაქვასთან ერთად ადგილს უთმობენ ძევლ თი-ხიან ფიქალებს. მძლავრი ნასკეო ბორბალო ამ მხრიց მძაფრ საზღვარს შეად-გენს. აქედან აღ. — თით სრულიად არ მოიპოვებიან ბროლეული ქანები და საქართველოს უუძველესი ფიქალები აქ ფრიად განვითარებულან. ბორაბ-ლოდან ჩრ. — თით შეუდღის ხაზით მიმართება დიდებული ქედი თებულოს, და იქიდანვე გამოდიან სხვადასხვა მიმართულებით შესანიშნავი ჯაჭვები. გარდა ამისა, ამ ნასკეიდან გამოდიან მრავალი ნაკადულების სათავეები, რომელთაგან ზოგ შემდეგ დიდ მდინარედ იქცევა. ბორბალო კიდევ მნიშვნელოვანს ეთნო-

გრაფიულ საზღვარსაც შეაღენს. ამიტომ იგი შეიძლება შშკენიერ თროვრა-
ფიულ საზღვრათაც ჩაითვალოს. ხევსურეთის ალპებს ჩრ. — დან საზღვრავენ
მდ. არმეხის (თერგის აღ. ტოტია) და ჩანთა-არგუნის ხეობები, სამხრეთიდან
ოორის და ფშავ-ხევსურეთის არაგვის სათავეები. ხევსურეთის ალპები განიყო-
ფებიან მთავარ ქედად და შუადღის ხაზისადმი. ჩრდილოეთის პარალელურ ჯა-
ჭვებად, რომლებიც პირველისაგან წარმოსდგებიან. აქაც მთავარი ქედი მოწი-
ნავე. ტოტებზე და შტოებზე გაცილებრთ დაბალია.

ა. მთავარი ქედი დასავლეთით ჯვრის გადასავალის და აღმოსავლეთით
ბორბალოს შორის განსაზღვრულია; იგი ჯერ თოხიანი ფიქსლებისაგან შესდგე-
ბა, [მილიონი (3072 მ.), საღუცია, ქვენა-მთა (3143)]; შემდეგ კი მთა ჩაუხი
(3454 მ.) სოლუნთანამდე (3280 მ.) უმთავრესად დიაბაზისაგან და მის მონა-
თესავე ქანებისაგან არის აგებული. აქედან ტანისამდე (3435 მ.) ძველი თახი-
ანი ფიქალები კიდევ ხშირად ირლვევიან ამისთანავე ბათოლიტებით, რომელ-
ნიც მხოლოდ მცირე ძარღვებათ მოიპოვება ქისტანის თავიდან შორის გამო-
სულ ტოტში და კაკის მთით და ბარიამწმინდით (4090 მ.) დიდ ბორბალომ-
დე. მოწინავე ჯაჭვები მთავარ ქედიდან ჩრდილოეთით უწინ მის პარალელუ-
რად გადიოდნენ, ხოლო მდინარეთა ეროზის გავლენით შუადღის ხაზისაკენ
მიმართულ ტოტებად ქცეულან. ამ ტოტებს მაღალი მთების ხასიათი აქვთ
და მათ შორის შესანიშნავი საყინულები მოიპოვებიან. ეს ჯაჭვები შემდეგნი
არიან:

ბ. ჯაჭვი შან-ყურუ მდ ქისტანით ორ პარალელურ შტოდ გაყოფილა.
მის დასაც. საზღვარს შეაღენს, აღმოსავლეთით მდ. შან-ჩაჩის ხეობა, ჩრდ. — არ-
მეხის ხეობა. მისი უმაღლესი მწვერვალნი: შან-თაუ (4430 მ.), კიჩ-ჩეჩ-კორ-
თი (4134 მ.) და ყურუ-თაუ ჯაჭვი განსაკუთრებით ძველი ნაძირალი ქანე-
ბისაგან შესდგება.

გ. ჯაჭვი სალი-მთა (3875 მ.), ზაქარიას მაღალი (3907 მ.) და კიდენაის —
მაღალი (4219 მ.) გამოიდის მთა სავუზნთანოსთან მთავარ ქედიდან და მიმარ-
თება ჩრდილოეთისკენ არჩელამის ჯაჭვამდე. ამ მწვერვალების სილრმეში მდება-
რე ქანები, უმთავრესად დიაბაზი; კიდევ ერთხელ ამოდის ქედის მაავარი ელე-
მენტის შემაღებელ ძველ თოხიან ფიქალებს შორის. ჯაჭვის საზღვრებია: და-
სავლეთით — მდ. შან-ჩაჩი, აღმოსავლეთით — მდ, ასა, ჩრდილოეთით ერთი მი-
სი შენაკადთაგანი. აქაც მოიპოვებიან კიდევ შესამჩნევი საყინულები.

დ. მთავარი ქედიდან მთა ტანისთან კიდევ ერთი ჯაჭვი გამოიყოფა. ჩრდი-
ლოეთით იგი ფრიად ამაღლებული მწვერვალ კომჩის-მაღალში (3617 მ.) და

მახის მაღალში (8928 ქ. და 4048 მ.); თავის ჩრდ. აღ. გაგრძელებაშიაც; ვეგი-ლამის ჯაჭვში, იგი ყინულიანი შაბალი მთების ხასიათისაა. მისი გეოლოგიური შემატებენლობა ისეთივეა, როგორიც ზემოდოკური სალის მთისა და სხვებისა. მას საზღვრავენ აღმოსავლეთით ასის ხეობა, დასავლეთით ჩანთი-არგუნი, ჩრდილოეთით გულიო-ხი და კიუ-ხი.

2. თუშეთის ალპები ბორბალოდან ანდის ყორის უორ-უს და მის ტოტების (მათი სათავეები კოდორის გადასავლიდან, ორი - წყლიდან და საბაკუნის ხევი-დან გამოდიან) ღრმა ხეობამდე გაგრძელებულია. მათს სამხრეთის საზღვარს მთა-გარი ქედის პარალელურად მდებარე კახეთის ალაზნის ხეობა შეადგენს; ხოლო ჩრდილოეთისაა - ჯარიდან დაწყებული ხაზი ჩანთი-არგუნამდე; აქედან კი ანდის ყოისუმდე.

ეს დიდი ჯვაფი იყოფა:

ა. ალაზნის ალპები, ე. ი. მთავარი ქედი ბორბალოდან მწვერვალებით: მხელის-მთა (3101 მ.), პუცილ-მთა (3380 მ. და 3442 მ.), დიდ-გვერდი (3515 მ.), შევი კლდე-დიდ-კაპალი (3581 მ.), დიდ-ანდრასანი (8034 მ.) და სექორის-წვერი (8028 მ.) ყოდორის გადასავლამდე (2392 მ.). ეს გადასავალი მთავარი ქედის აღმოსავლეთის ნაწილში უუმდაბლესი და დიდ მნიშვნელოვანია. ეს ქედი საზღვრად უნდა ჩაითვალოს, რადგან იმის მასებში, რომლებიც სრულიად ერთნაირი ქანებისაგან შესდგება, სხვა არავითარი ნიშნები. არ მოიპოვება გარდა იმისა, რომ იგი შესდგება განსაკუთრებით კავკასიონის უუძველეს თახიანი ფიქალებისაგან, სილისა და ნათელი კირის-მსგავს ფენებისაგან. მთავარ ქედს გარდა ამ ჯვაფს ეკუთვნის მოწინავე პარალელური ჯაჭვი უმაღლესი მწვერვალებით: ციო-თაუ (3364 მ.) და მაკრატელი-მთა (3091 მ.); ამგვარად, ჯვაფს საზღვრავენ ჩრდილოეთით პირიქითელი. (იგივე თუშეთის) ალ აზანი და სამხრეთით - კახეთის ალაზანი.

ბ. ჯვაფი თებულოს მძლავრი შტო იწყება ბორბალოსთან, მიმართება ჩრდილოეთისაკენ, თოვლის ხასს ზევით აღის და უდიდეს აბსოლუტურ სიმაღლეს აღწევს მთელს აღმოსავლეთის კავკასიაში. შტო შემდეგ სამ ტოტად იყოფა; ეს ტოტები ერთმანეთისაგან ღრმა ხეობებით არიან განშორებულნი: ამ შოების მძლავრი აბსოლუტური ამაღლება, ქედისა და მისი ფენების განსაკუთრებული მიმართულება და ღრმა ხეობებით მძაფრი თროგრაფიული განსაზღვრა ნებას, გვაძლევს - იგი განსაკუთრებულ ჯვაფად გამოვყოთ. მისი საზღვრებია: ჩრდი-


ლოეთით ჩანთი-არგუნი, სამხრეთით თუშეთის ალაზანი, აღმოსავლეთით თუშლა და დასავლეთით კხონის-წყალი.

გ: დონის ანუ პირიქითი ჯგუფი დასავლეთის მხარეზე თებულოს ჯგუფს ეხება თებულოს გადასავალთან (3342 მ.); იგი აქედან სიგანეზე არის გაჭიმული აღმოსავლეთისაკენ შარა-არგუნის ჩრდილოეთით და პირიქითელი ალაზნის სამხრეთით მდ. ანდიის-ყოისუმდე. ეს მთები იმავე ძველი ფიქალები-საგან შესდგება, როგორც ალაზნის ალპები და თებულოს ჯგუფი. ეს ჯაჭვი მთა ყურყუმას წვერიდან (3675 მ.) მოყოლებული თოვლის ხაზს ზევით აღის და აუკერიგოს გადასავალთან (3007 მ.) შესამჩნევად დაბლდება; მაგრამ კაჩუს მთებსა (3909 მ.) და ქიტერინაში (3944 მ.) იგი ისევ მაღლებალლდება და მთა კ. მანძილზე ფრიად გაყინულ ყორება და დიდებული მთის სურათს წარმოადგენს. ამ ჯგუფის უმაღლები მწვერვალი არიან: კომიტო (4272 მ.), დონის-მთა (4135 მ.) და კოკლოს-მთა (4189 მ.). ქედი დიკლოს-მთიდან დაწყებული ყოისუმდე თანარათან დაბლდება; დონის-მთა კი ჯგუფის შუაში დგას და მაზე ბარონობს.

გ: დაღესტნის ალპები. ჩვენს ქვეყანასთან დამოუკიდებელი კავშირი მხოლოდ ამ მთების სამხრეთის ჯაჭვს იქნა, ე. ი. მთავარ ქედს კოდორის გადასავლებან სარი-დაღმდე. იგი თიხიან ძველ ფიქალების ყორება წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს სილაქვა თაგვემარილით და აგრეთვე აქა-იქ ფიქალის კირის-ქვაც მოიპოვდა; მავე დწოს სამხრეთის კალთაზე ალია-ალია ავგიტ-პორტირიც მოჩანს. ამ სწორი ქედის ზემო მხარე საკმაოდ ბრტყელია, ხოლო საღარეთის კალთა ფრიალოს, ჩრდილოეთისა კი დაქანებული; ეს ჯაჭვი იშვიათად აღის თოვლის ხაზს ზევით, თუმცა იგი აღმოსავლეტისაკენ საკმაოდ მაღალია; იგი მიიმართება ნიკოს ციხისაკენ (3124 მ.) და კეკრისაკენ (3390 მ.) სარი-დაღმდე (3660 მ.); ჯაჭვის საზღვრებია: ჩრდილოეთით — ავარის ყოი-სუს შენაკადის, ხვინ-ორას, ხეობა, სამხრეთით — კახეთის ალაზანი, დასავლეთით — ანდიის ყოისუს ლრმა ხეობა და აღმოსავლეთით — ყარა-ყოი-სუ.

ჯაჭვი ლაილა იწყება ფასის მთასთან და მთავარ ქედს ეკვრება; იგი უცბად მაღლდება და ანტიკლინალური აგებულება იქნა. თიხიანი ფიქალები აქ დას-დან აღ-კენ მდებარეობენ მთავარი ქედის პარალელურად. ხოლო აქ მათ თან ახლავს თაგვემარილით და ფიქალის კირის ქვით მდიდარი სილაქვა. მაშასადამე, ეს ქანი კავკასიონის ძველ ფრქალთა ფორმას სისტემას ეკუთვნის და მარაოს მსგავსი ფორმისა. ჯაჭვი რომელიც ენგურისა და ცხენის-წყლის ხეობებსა ჰყოფს, აღ. მხარეს ცხენის-წყლის სათავეებით განისაზღვრება, დასავლეთის მხარეს კი ენგურით. ეს ჯა-

ქვის იგრძნით 45 კმ.-მდე თოვლის ხაზს ქვევით მდებარეობს; მას ბქვე მწვერვალები—
გური (3144 მ.) და დაღიაში (3534 მ.), იშვიათი და ბრტყელი უნაგირის
მსგავსი გადასავალები სანჩარო (2144 მ.) და ლატფარი (2830. მ.). მთა ვუდის
დას.-თით ა კმ. მანძილზე ლაილა შედის მარად თოვლის მიღამოებში და 30 კმ.
სიგრძეზე ყინულითა და ოოვლით არის მოცული. მისი უმაღლესი მწვერვალებია:
ლაილა (4000 მ.) და ლაზილი. ჯაჭვები მცირერიცხვიანი, დაბალი და ყინუ-
ლით მოცული გადასავალები აქვს. ქვემოდ კი იგი რაღიალურ კლდეებიან
ტოტებად ითანტება. ამ ტოტებზე ენგურს თავისითვის გზა გაუკვლევია და აქე-
დან პონტოს დაბლობზე გასულა. ენგურის ნარლვევის შორი-ახლოს მაგარი
და კრიალა შევი თიხიანი ფიქალები მქრთალი, მიწის მსგავს ფიქალებად ქცეუ-
ლან. ერთის სიტყვით, ყინულით დაფარული ჯაჭვი ალაგალევ თითქმის პონ-
ტოს ზღვის ნაპირამდე გრძელდება და სამ ჯგუფად იყოფა. ერთი ამ ჯგუფ-
თავისი ფინავის ქედია: თვით ენგურთან პორტირისაგან (ნუშის მსგავსი ქვები—
საგან და სხ.) შექმნილა მრავალი კლდე; მოლო ზღვის ახლოს კი ბროლეული
კირის-ქვა სჭარბობს.



ჯაჭვი ზეკარი-ხალაცა, როგორც ლაილა, კავკასიონის ძეელი ფიქალე-
ბის ფორმების სისტემას ეკუთვნის; იგი მთავარ ქედის კენტრულ მი-
მართება და თავის აღ. ნაწილში მდ. მამისონის ხეობას ჰყოფს ლიახვის სათა-

ვეებისახეობებისგან, დას. ნაწილში კი რიონ-ჩანჩახის და რიონის ჩრ. საათავეების ხეობებს — რიონ-გარულის და რიონის შუა-წელის ტოტებისგან. რიონის მაღალი სათავე მძლავრი ფიქალების ქედს ფართოდ არღვევს და, მაშასადამე, მის დისავ. ნაწილს, ე. ი. შოდას (3609 გ.) ჯგუფს, აღმ. ტოტისაგან ჰყოფს. აღ. ნაწილის გრძელი ფრიალო კედელი სიყინულეებით მოცულს ნაირნაირ მწვერვალებს შეიცავს, რომელთა შორის უმაღლესნი არიან: ხალაცა (3937) და ზეკარი (3829). ეს ჯაჭვი ტოტით, კოზიკით, მთავარ ქედს უქრთდება. ამ ტოტზე, რომელიც არღონისა და რიონის სათავეების წყლის გამყოფელია, მამისონის გადასავალი მიიმართება. რიონის ტოტის საქაოს ხეობა მთელის ჯაჭვის დასავ. საზღვარს შეაღენს. როგორც ლაილაში, აქაც ფიქალები მთავარი ქედისკენ ჩადიან; მხოლოდ აქ მათ ისეთი სწორი მარაოს მსგავსი აგებულება არ აქვთ: აქ, ეტყობა, ძლიერი შეხლა-შემოხლა წარმოებულა; ეს იქიდან სჩანს; რომ კლდის ქანების ფენები ფრიად არეულია. ზეკარის ნასკვიდან ხელახლა გამოდის რამდენიმე შესანიშნავი ტოტი. ერთი მათგანი მიიმართება დას.-კენ მწვერვალ ფოტბრევით (2403 გ.). ეს ჯაჭვი რიონის შუაწელს ე. ი. რაჭის ესაზღვრება. ეს 100 კმ. მანძილზე გაჭიმული ყორე მურის ფიქალებისგან აგებულია, ხოლო ფიქალები ხშირად კეოთი განკვეთილნი ანუ მოცულნი არიან და იმავე დროს ზოგან ცარცის კირის-ქვით დაფარული; უმაღლესი მწვერვალნი შესდგებიან იმავე კირის ქვისგან. ეს ჯაჭვი ნაქერალაში ქუთაისისკენ დაქანებულია. მეორე ტოტი სამხ.-კენ ან სამხრ.-დასავ.-კენ მიდის. ეს სურამის ქედი ანუ მესხეთის მთებია. იგი წყლის გამყოფს და ჰავის შესანიშნავს საზღვარს წარმოადგენს და ერთის მხრით დიდ კავკასიონს სომხეთის ბრტყელმთიებს უქრთებს, მეორე მხრიო აქარის მთების შემწეობით სამხრეთ-პონტოს მთებს ანუ ლაზთა ილპებს უკავშირდება. უმაღლესი მწვერვალნი აქ არიან: მეფის — წყარო (2846) და ნალებო (2622).

ეხლა განვიხილოთ საქართველოს ზედაპირის სხვა სახეები: ველები, ხეობები და ვაკეები.

საქართველოს ველები, ხეობები და ვაკეები.

საქართველოში დასავლეთით მდებარეობს რიონის ველი (2846 კვ. კმ.). ამ ველს რიონისა და მისი შენაკადების მიღამოები და შავი ზღვის სანაპიროები უჭირავს. შორაპნიდან შავი ზღვის ნაპირებამდე გაჭიმულია სწორე ხაზით 126 კმ. მანძილზე; ეს ხეობა ზღვისკენ თანდათან იშლება და ზღვასთან ვაკე სანაპიროს უწოდება; ეს ვაკე სანაპირო ტბა პალეოსტომიდან იფხაზეთის საზღვრებამდე 75

յթ. մաճճոլիքց սԵռհրց եածոտ ցափոմշուլո. հոռնու եցոծու շմբերցու նախոլո գածուհու-
լո Ծպոտ արու մուշուլո Ծ Ելզուսկց վառծունու. ցորուու սածլուրցօնու սամե. - Տյըն
Ելզու նաձուրու ցայուլցեա հոլույուս և ա յածածերու ցայցեցու մը. հոլույուս և
վառունու Շյեսարտացնուա.

2. յարտլու ցըլո (886 ԿՅ. ԿԹ.) հոռնու եցոծուցան մցեսետու անց Սյուրա-
մու յեցոտ ցանուցոյցեա և մը. հրեսուլու և յենու Ծըլու ցամսոյ մալլոնքյ-
ծամց մուու. յարտլու ցըլո նոցրուու և նացուցոյցրցօնու ցրուու ՇյեսանիՇնայու;
սամեր. - տու ոցո մէջյարու ցանուսածլուրցեա և գուգ-լուսեցնու մցեծահուցու. յարտ-
լու ցըլուան համցունու Յարարու ցըլու; սամե. - տու մէջյարուս և տրուալցուու
մուցուն իր. ցյարժունցեա մորու որու ցըլու: յարելուսա (228 ԿՅ. ԿԹ.) և ասալո-
յալոյուսա (384 ԿՅ. ԿԹ.): յարտլու ցըլուս ալմ. - տու յուղցուրու ցըլու: Ցյերեանուսա
(222 ԿՅ. ԿԹ.) և սացշրամուս (205 ԿՅ. ԿԹ.). պայլու ցըլու ցըլունց արևցուալ
տույուն ցրու ցայու Շյագցնեն.

տօնցուու ցայց (57 ԿՅ. ԿԹ.) մցեսունցու մուու յեցունց պացյալ մերու լո-
յանցնու յալունցու ցանուածլուրցու; ցըլու յեցունց մումբերցնու Ց. Մ. Յ. Շ.
ոյուլունու Ծպոտա և ամուհուրցու; ցայց սա Մյուլու ամեռուցյուրու նոմուլու 1128 Տ.
այցե; մուցուն մորուածյ և ամուշացնունց նուգացու և ագրուցյ. ցըլու Կույցնուսա
և ցյալցունցու նանցրցնուն.

յութու ցայց (68 ԿՅ. ԿԹ.) տօնցուուսա սամերյուտուսց ատուուց յուլումյուրուտա-
սա Ծորհրցնուն, մու ցարու արԾոյու մուցուն լայնու յալունցու, հոմելոնիւ ՕԾեն-
ու Ծպոտ Սրույլուն և ացուրունու. Ցպեցու Եցուա ածալյալոյու Ծ լումունու ցայցեցն
յումանցու. յոյացնուրցնու. տրուալցուու մուցու յուղց մհացալ Յարարարու Եցո-
ւնցնու Յյմնուն, մաց., մը. ցըրու. Եցուաս, լումունու մոնցուրու, յուցու ցայց.
յութենու յուլուսա և սուլուլույու մուցու Շորու մցեծարու Եցունցուն մէջյարուս
ցամուշլուսատանց սամերյուտու ցայցեցնու: յարաւա, Շորույու և ցլուարու. ամ ցա-
յցեցնու իրուուուտու յուցուցու, ծոյնուն յուշըցնուրցնու. ալունուս ցըլու մցե-
ծարյուն (Տոցրու 277 ԿԹ, Տոցանց 32 ԿԹ, Տոցրու 8539 ԿՅ. ԿԹ.); ոցո իրու.
ալմ. - տու յայցասունուս մտացարու յեցուն մորու ցանուսածլուրցեա, սամերյու ալմ. - տու-
նուրյունու ցայցու. ալցանու մոնցուրուն ալունուս մարչըցն սանաձուրու սածոցա-
լու մըուրյ Ծըլունու, Ցմհալու, տօնուն, և մեռուու օյա-իյ լամիալ-մունուն.
մարշեն մերյու յու Ծըլու յութաց որիցցու; օյ մունուրյու մտացարու յեցուալ-
իսամուրին և սուլու-տունուն նուգաց լիմիուն լամիալ-մունուն. ցըլու նուգա-

ცხიმიანია და დატვილითი მდიდარი. მდ. ხრამისა და ბორჩალოს გაყოლება მარჯვენა ძხარეს მდებარეობს ვაკე, რომლის მცხოვრებზე საჭრება არხები გაუყვანიათ და მოჰყავთ ბოსტნეულობა, ბრინჯი, ბამბა და სხ.

ხევლეთის წყლები.

ადამიანს არ შეუძლია იცხოვოს ისეთ ადგილებზე, სადაც წყალი სრულიად არ მოიპოვება. ასეთი ადგილები უდაბნოებად რჩება. უფრო მჭიდროთ დასახლებულია და უფრო მომეტებულ კულტურულ განვითარებას აღწევს ის ქვეყანა, რომელიც წყლით საკმარის ირწყების.

მაგრამ მდინარეების სრმრავლებ გარდა, საქართველოში მოსახლეობის სიმკვრივეზე ადგილთა სიმაღლესაც საკმარის გავლენა აქვს; მაგ., ლეჩეუმში მდინარეებიც საკმარისია, მაგრამ მოსახლეობის სიმკვრივე 1 კმ. კმ. 13,6 სულს არ აღმატება, დუშეთის მხარეში 17,7 სულს, თანავარები — 10,9, სულს, და ამავე დროს იმერეთში 67—107 სულამდეა.

საქართველოში წყალი თანაბრად განაწილებული არ არის. დასავლეთის საქართველო წყლით მდიდარია, ასე რომ აქ მრავალი ქაობიც კი ჩნდება. სამაგიეროთ აღმოსავლეთის საქართველო წყლით უფრო ღარიბია, მშრალია. ამიტომ ასეთი ადგილები ხელოვნურ ჩეყვას მოითხოვენ. ამ მხრივ პირეველი ადგილი უჭირავს მარიამის არხს ყარაის მინდორზე; არხის სიგრძე-15 კილომეტრია, სიგრძე კი 25000 ღლიურია; ელდარის მინდვრის ბოლოში არის ქანგირმას არხი, რომლითაც ალაზნის დიორის აუზები ერთმანეთს უკავშირდებიან. არხი 12 კმ. სიგრძისაა.

საქართველოს მდინარენი, როგორც მთისანი, სამოგზაუროდ გამოიუსადებარი არიან; მათი წყალის ძალა სარწყავად და ტივების საზიდავად იხმარება. თუ ჩვენში საქარხნო მრეწველობა განვითარდა, ჩვენს მდინარეებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, როგორც, მაგალითად, ბუნებრივი ძალით მანქანების ამოძრავებაა. ამ მხრივ ჩვენი მდინარენი ჯერ სრულიად ხელუხლებელნი არიან (იხ. ქვემოდ „საქართველოს ჰიდროელექტრიული წარმოებანი“.)

ჩვენს მდინარეებს განვითარების სამი სახე აქვთ: სათავე, შუა-წელი და შესართავი.

სათავეში-მათ ციცაბო და კლდეებიანი, ნაპირები აქვთ, ძირი ჩაგირდნილი, კალაპოტის მაგიერ ღრმა და ვიწრო, სწორი ან დაკლაკნილი ნაპრალები, ტბებიანი, ჩანჩქერებდანი და ფოსოებიანი გარიგივარდმო ხეობები. ნაპრალის ძირზე ღრმა ხევში (ზოგჯერ 1000. მ. სილრმეზე) მდინარე კი არ მიდის, არამედ მიის-

სორინგი	30	წ.
ფერწყა	34	წ.
შოკვა	38	წ.
გვედა	41	წ.
ორმყალი	48	წ.
ოუზ-ჭავალი	48	წ.
თუშები	48	წ.
ზღვისირა	51	წ.
ცეკვისხევა	51	წ.
ბება	55	წ.
ბებური	55	წ.
კეპინ	55	წ.
ლეგა	55	წ.
მანაძენი	56	წ.
ბანგი	101	წ.
ოზუგი	103	წ.
უკრინენი	128	წ.
ტესტისტენი	130	წ.
კედური	140	წ.
კომიტეტი	141	წ.
გეგუანი	485	წ.
გომიხი	491	წ.
კომი	359	წ.
კომისი	591	წ.

სურ. 2. საქართველოს მდინარეთა დიაგრამა
(მდინარეების სიგრძე ჩვენს საზღვრებშია აღებული).

წრაფის; უსწორ-მასწოროდ ხტის, შხუის და ჰაერისაგან აქაფებული, კლდეებიან ნაპირებს აღლვევს და თან დიდი ლოდები მიაქვს, აღვალებს მათ, სიარხავს და შუა წელში რიყავს.

შუა-წელში მდინარე მოიან ადგილიდან გორაკიანში ან მაღალ და დაქან ნებულ ვაკეზე გამოდის. შუა-წელს აქვს დაქანებული ნაპირები, მძიმე მოძრაობა და გარევეული კალაპოტი; იგრეთვე მას აქვს შეჩეჩები, ფლატეები, მინდე ჩები, კუნძულები და ჩანჩქერები.

შესართვს ახასიათებს თითქმის სრულიად ჰორიზონტალური დაბლობი, რბილი კალაპოტის სისუსტე. შისი ტოტებად დაყოფა, დელტების შექმნა და ყოველწლიური აღიდება გაზაფხულსა და ზაფხულში, როცა მთებში თოვლა დნება; ხმირად კი აღიდება ხდება ხოლმე მოულოდნელად დროებითი წვიმები-საგანაც.

ეჭ საჭიროა აღვნიშნოთ კიდევ ჩვენი მდინარეების ერთი განსაკუთრებული თვისება, მათი წყვილ-წყვილობა: მაგ. რიონი-ყვირილა, მტკვრის ტოტები: ოორი—ალაზანი, ხრამი—ბორჩალო და სხვ.

რწყვა საქართველოში მეტადრე მტკვრის ხეობაში უუძველესი დროიდან არსებობს; წყლის არხი ერთს ან ჩამდენსამე სოფელს ეკუთვნის. ყოველ მოსახლეს მთავარი არხიდან შეუძლია გაიყვანოს წყალი თავის მამულში გუთნით გათხრილი რუს შემწეობით. მდინარიდან მაღლობზე წყლის ასაყვანად ხმა-ბრენ ხის ბორბალს, რომელიც ჰორიზონტალურ ღერძზე წყლის შემწეობით ბრუნავს. ბორბლის მანებზე თიხის ლიტრები ჰკიდია, რომლებიც ბორბლის ბრუნვის დროს წყლით იყსებიან და აქედან წყალი ნაპირზე დაყრდნობილი ხის დარში ჩაისხმის, ღარიდან კი რუში ჩადის. ასე რწყვავენ ბაღებს ჩვენში. ღე-ლეზე ერთი ნაპირიდან მეორემდე გადებულია ღარი, რომლითაც წყალი გა-დის, სადაც საჭიროა; განიერ ღელეზე კი ქვიტკირის თაღებიან ხიდს მართავენ და ხიდის ჩარჩოში წყლის გასაყვანი მილი გაჭყავთ; მაგ., ოორის რუ 13 კმ. სიგრძისაა.

შესანიშნავი სარწყავი არხი ჩვენში მარიამის არხია. იგი მტკვრიდან გაყვანილია ძველი ციხე-ყალის ახლოს 27 კმ. მანძილზე სათავიდან 20 კმ. მანძილზე არხი დაბლობში ჩადის, სადაც მას ტბა გაუჩენია. ტბა 5,5 კმ. სიგრძისაა და 2 კმ. სიგანისა. არხი საათში 144000 საპალწეს (საპალწე=600 ბოლ-ლი)=86,500 ათას ბოლო წყალს ძძლევა.

ხამი წყლის წყაროები საქართველოს დაბლობებში იშვიათია: არის მრავალი ადგილი სრულიად უწყლო. სამაგიეროდ მთებში წყაროები გადაქარბებულია. მთის მდინარეები ზაფხულობით ხშირად მღვრიეა. სიცხის დროს მათ ნაპირებზე ან საღმე ვიწრო ხეობაში წყაროს ან ჯარა ცივი წყალი მწყურვალი მგზავრისთვის ნეტარებაა. ამიტომ მთიერნი თავიანთ წყაროებს მზრუნველობით უკადებიან, გარშემო ქვის კედლებს უგებენ, აუზებს მართავენ, ზოგან ქოხსაც კი აშენებენ, სადაც გამვლელთ შეუძლიათ ჩრდილს თავი შეიფარონ და დაისვენონ.

საქართველოს განაზილება ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგისტრაციას გადა და რაიონირება.

საზოგადოდ მცენარეულობას და ნიადაგს ფიზიკურ გეოგრაფიაში ცალკე განიხილვენ, ხოლმე. მცენარეულობისა და ნიადაგის განწესრიგების მიხედვით, დედამიწის ზედაპირი განიყოფება ჰავის ოლქებად, ბოტანიკურ პროვინციებად, ნიადაგის ზოლებად და სხ. აგრეთვე მეცნიერებამ დიდი ხანია ის დასკვნა გამოიტანა, რომ ჰავა, მცენარეულობა და ნიადაგი ყოველ ოლქში ისტორიულად ერთმანეთისაგან დამოკიდებულია და რომ მათ შორის ყველგან მჭიდრო ორგანიული კავშირი სუფეს.

საქართველოს ჰავის და ბოტანიკურ-გეოგრაფიულ დაწარილებას შორის მსგავსება ნათლად გვიჩვენებს, რომ ჰავისა და მცენარეულობას შორის საქართველოში კეშმარიტად არსებობს მჭიდრო გენეტიკური კავშირი. მართლაც მინდონისა და ტყეების შორის საქმიანდ გარკვეული განსხვავება არსებობს თბიერების შემოსავალ-გასავლის მხრივ; ამიტომ შეგვიძლია საქართველოს ზედაპირის ამა თუ იმ ფორმისათვის დავიყოროთ ¹-ის დამახასიათებელი წლიური სხვაობა.

თბიერების შემოსავალ-გასავლის ცვლილებითა სხვაობა უფრო მძიეულია მინდვრებისათვის და შედარებით მცირეა საქართველოს ტყისათვის, რაც სჩანს შემდეგ ტაბულიდან:

¹-ის წლიური საშუალო სხვაობა.

ზედაპირის სახეები:	საერთო საშუალო	ზღვის სანაპირო სადგურების გარდა	მარტო ზღვის სანაპირო სადგურები:
საქართველო ტყეები	21,8	22,0	19,0
ტყე — მინდონი	24,6	24,9	22,8
მინდვრები	26,5	26,8	24,8

მინდვრებში საშუალოდ წლისური სხვაობა დაახლოვებით 5° -ით უფრო მა-
ღალია, ვადრე ტყეებში. გადამავალი ზოლისთვის უფრო დამახასიათებელია
 $24^{\circ} - 26^{\circ}$, ტყეებისათვის 24° -მდე; მინდვრების სხვაობა; ალპის ველისა და
ზღვის სანაპირო სადგურების გარდა, უმეტეს შემთხვევაში 26° -ზე მაღალია.

ნალეკების რაოდენობას და დედამიწის ზედაპირის შემადგენლობას და შენობას
ჰორის კავშირი ნათლიად სჩანს როკორც იქ, სადაც წვიმის შემქმნელი პრო-
ცესი განსაკუთრებით ადგილობრივი ნალეკების შემწეობით წარმოებს, ისე
იქ, სადაც ნალეკების შემოსვლა ზღვის ქართან ერთად გარკვეული სისწორით
ხდება. ზედაპირის სხვადასხვა სახეებისთვის ნალეკების საშუალო რაოდენობა
(ჯგუფ-ჯგუფად საშუალო რიცხვებიდან) გამოდის: ტყისთვის 1126 mm, ტყე-
მინდვრისთვის 647 mm, მინდვრისთვის 420 mm, ალპის ველისთვის 89,1. აქ
განსხვავება მძაფრად გამოსახულია. თურმე მინდვრების და ტყეების უფრო წვრი-
ლი განაკვთიერება შეიძლება ნიადაგისა და ტყის შემადგენლობასთან შეფარ-
დებით. მინდვრები სილიანი, დამპალიანი და შერეულია (თიხა, ყვითელი მი-
წა და სხ.); ტყეებია ჩვეულებრივი (ევროპის ჭიშისა) და მარად მწვანე.

აქ მოგვყავს ტაბულა, რომელშიაც საშუალო ნალეკების გარდა, აღნიშ-
ნულია უდიდესი და უმცირესი ნალეკები თითო ჯგუფში:

ნალეკები	მ ი ნ დ ვ რ ე ბ ი			ტყე-მინ- დვრი	ტ ყ ე ბ ი	
	სილიანი	თიხიანი	დამპალიანი		ჩვეულებრ.	მარადმწვანე
უდიდესი	326	477	661	732	810	1663
საშუალო	269	422	598	647	681	1472
უმცირესი	205	366	536	560	572	1257

ეს ტაბულა გვიჩვენებს, თუ საქართველოში რამდენი ნალეკი შეიძლება
მიეთმოთ საზღვრად მინდვრისა და ტყის რაოდენებს შორის. ხაზებს, რომლებიც
რუქაზე ერთნაირ ნალეკებიან ადგილებს აერთებენ, იზოგიერებს უწოდებენ,
და ამ ხაზებით შევიძლია განვახლვროთ ჯგუფები.

სილიან და თიხიან მინდვრებს შორის გადის იზოგიერა $300 - 350$ mm.,
თიხიან და დამპალიან მინდვრებს შორის კი იზოგიერა 500 mm; უკანასკნე-
ლივე გადის თიხიან მინდვრებისა (მხედველობაში არ ვიღებთ. სილიან მინდვ-
რებს) და ტყის იმ ოლქებს შორის, რომელთა საშუალო მინიმუმი (572 mm)
თიხიან მინდვრების საშუალო მაქსიმუმს თითქმის 100 mm-ით აღემატება. მარად
მწვანე ტყეები ან ტყეები ასეთივე მცირე ჯაგნარით განისაზღვრებიან დამპალიანი
მინდვრებისგან დაახლოვებით იზოგიერა 700 mm-ით, ჩვეულებრივი ტყეებისთვის

კი უმეტეს შემთხვევაში დამპალიან მინდვრებთან საზღვრაზე გადის იზოგიერტა 600 mm. თუ ჩვენ ამას მხედველობაში მივიღებთ, მის ქვემოდ დამპალიან მცდ-ვრებს შორის აღმოჩნდება მცირე ტყე, ზემოდ კი დამპალიან მინდვრებს სრუ-ლიად ვერ შევხვდებით.

საქართველოს ტყისა და მინდვრის რაიონების განსაზღვრაზე ნალექების გავ-ლენის შესახებ მეცნიერი მედვედევი ამბობს: „მცენარეული ოლქების განსაზღვ-რაზე, როგორც საზოგადოდ კავკასიის ტყისა და მინდვრის რაიონებში მცე-ნარეთა ცხოვრების პირობათა შექმნაშე, ასებითი გავლენა პავას და უმთავ-რესად ნამიანობას ეყუთვნის“. საერთოდ მცენარეთა ცხოვრების და ნიადაგის შექმნის განვითარების სურათი საქართველოში ასეთია: უმცირესი ნამიანობა აქვთ საქართველოში ვაკე და მთიან მინდვრებს, სადაც ნალეკი 300—500 mm ჩამოდის, ზოგან ჩვენში მაღალი t-ის გამო ეს პროცესი მოითხოვს. ნალეკის უდიდეს რაოდენობას, სხელდობრ 400—450 mm.-ზე არა ნაკლებს, რაც შესაძლოა მხოლოდ აღილის ამაღლების კვალობაზე.

ბიურ უდაბნოსა და ტამპალიან მინდორს შორის გადამვალ საფეხურს შეადგენს მთლიან საფარველს მოკლებული დაქანებული ბალახიანი მინდორი, სახელდობრ აღერმენიჯანსა და სომხეთში; იგი ზღვის დონედან 4000 ფუტის სიმაღლეზეა; ნალეკი აქ არაოდეს 400 მმ. არ აღემატება.

მცენარეულობის სიუხვე ჩვეულებრივ ეთვისება მაღალი ნალეკის მჭონე (500—1000 mm და უფრო მეტიც) რაიონებს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვე-ვაში შესაძლებელია ტყეების შექმნა და მათი ზრდა. რამდენადც ნალეკი მეტი ვარდება, იმდენად ტყე უფრო მძლავრად იზრდება; ისეთ აღილებში კი, რო-გორიც დასავ. საქართველოა, სადაც წელიწადში 1200—1500 ითვ ნალეკი ვარ-დება, ტყე სრულიად აძვებს სხვა მცენარეულობას. მინდორი ამგვარ რაიო-ნებში, ასაკუირველია, სრულიად არ მოიპოვება. აქ საქიროა. შევნიშნოთ, რომ უხვი ნამიანობისა გამო, როგორც ეს იმავე დასავლეთის საქართველოშია, შევი-მიწის შექმნა ისპობა და ჩვეულებრივ წითელი მიწა. წარმოაშვება..

ეხლა შეგვიძლია გამოვარკვით ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქებად და რაიონებად საქართველოს დანაწილების სრული გეგმა:

დანაწილების ერთეულად მიღებულია რაიონი, იგი დედამიწის ზედაპირის ნაწილია, რომელსაც მთელ სიერცეზე აქვს ჰავის, ნიადაგისა და მცენარეულო-ბის ერთგვარი თვისება. რაიონები, გეოგრაფიულად ერთმანეთთან ახლო მდე-ბარენი და უფრო მეტად დამახასიათებელი ნიშნების მქონენი, ოლქებად არიან:

შეერთებულნი ცალკე გამოყოფილია ალპის ველი, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში უჭირავს მთის მაღალი ზოლი.

ყოველი ოლქისა და რაიონისთვის ქვემოდ მოყვანილია მოკლე დახასიათება ჰავის, ნიაღვისა და მცენარეულობის მიხედვით.

ა. დასავლეთი საქართველო.

I. პინტის ოლქი. მისი საზღვრებია: მთავარქედის ჩრ. — დას. მთარე და კედები: სურამისა, აჭარა-იმერეთისა, არსიანისა, ხალანუსჩამისა და სოლანლულისა. ოლქს ჰავა იქნა სუბტროპიკული, ნოტიო, — სანაპიროებზე — ხელთაშუაზღვისებური. საშუალო წლიური t° -ია: 12-15 $^{\circ}$; სიმაღლეზე იკლებს 10-8-მდე, სხვაობა 18 $^{\circ}$ -22 $^{\circ}$ და მეტიც; ნალექი 2600-1200 mm და უფრო ნაკლებიც; maximum-ი შემოდვომაზე ან ზამთარში. ნალექებს სიუხვე და თბილი ზღვისპირული ჰავა აცხოველებს ტყის მძინვარე მცენარეულობის, რომლითაც დაფენილია თითქმის მთელი ოლქი სანაპიროებს გარდა ტყის ზემო საზღვრამდე.

ბ. აღმოსავლეთი საქართველო.

I. მთავარქედის სამხრეთ ფერდობების ოლქი.

ოლქის საზღვრებია: დას.-თით სურამის ქედი, სამხრ.-თით მტკვარი, თფილი-სამდე, შემდეგ თფილის-სილნალ-ლაგოდების გაყოლება. ჰავა ზომიერად ცივია მთის ზოლში და ზომიერად თფილი ველზე. წლიური საშუალო t° -ი 12 $^{\circ}$ -6 $^{\circ}$, სხვაობა 22 $^{\circ}$ -24 $^{\circ}$, ნალექი 500-1200 და უფრო მეტი; maximum-ი გაზაფხულის გასულს და შეორე (სუსტი) შემოდგომის დამდეგს. მცენარეულობა, ამ ოლქისა განიჩრევა იმჟარ, რომ აქ სრულიად არ მოიპოვება მარად მწვანე ხეებისაგან შემდგარი ტყე; ნაძვი, ფიჭვი და სოჭი ბატონობენ აქაც მხოლოდ ოლქის დასავლეთ მთარეზე, ხოლო აღმოსავლეთისკენ ვერ უძლებენ აქაურ სიმშრალეს; სამაგიეროდ აქ გვიჩველებულია სიმშრალეს მოყვარულნი მცენარენი, მაგ. ნაკერჩალი, მუხა და სხვ.

II. მცირე კავკასია. შეიცავს მთების ჯაჭვია მთელ რიგს თრიალეთის მთებადან ყარაბაღამდე. მისი საზღვრებია: ჩრდილოეთი მტკვარი თფილისამდე, აღმ.-თით თფილისი-ყარაია, და-თით და ს-თით სომხეთის საზღვარი. ჰავა ზომიერად ცივია. წლიური საშუალო t° -ი 6 $^{\circ}$ -10 $^{\circ}$, სხვაობა 22-24, — ზაფხული გრილი ზამთარი ზომიერი; სრულიად ცივი თვის t° -ი 0 $^{\circ}$ -ზე 2-8 $^{\circ}$ -ით უფრო დაბალია, ნალექი 500-700 mm.: მთების აღმ. კალთები უფრო ნოტიო და თბილია, დასავლეთისა კი უფრო მშრალი და ცივი. აქ ტყები და ალპის ველები ერთმანეთს მისდევენ; ეს ველები შეაღენენ მთელი სივრცის 30-40%: ჩრდილოეთით ბორჯომის ტყიდან, რომელსაც ჯერ კიდევ კაშირი ემჩნევა დას. საქარ-

თველოსთან, ს. — ა. მიმართულებით ტყეები თანდათან იშვიათად მოიპოვებიან; პონტოს ტიპები თანდათან ისპობიან და მათ აფგილს იკავებენ აღმ, საქართველოს დამახასიათებელი ქსეროფიტული ხის და ბუჩქის ჯიშები.

III. ოღონისავლეთ-საქართველოს მინდვრები. საზღვრები: სამ.-ა.-დან თევილისი-ყარაია, ა.-დან-აღერბეიჯანი, ჩ-დან-თურქის-სილნალ-დედოფლის წყარო, ს.-დან— საქართველოს სამხრ. საზღვარი. ჰავა მშრალი, კონტინენტური, ზომიერად თბილი. წლიური საშვალო t° -ი $12^{\circ}-15^{\circ}$; სხვაობა $24^{\circ}-28^{\circ}$, ზაფხული ცხელი, ზამთარი ზომიერი; ნალეკი 500mm . ნაკლები.

გ. სამხრეთ-საქართველო.

1. სამხრეთ-საქართველო. მინდვრები. მოქანდაკებულის სომხეთის ბრტყელ-მთიები მცირე კავკასიონის აღ. და დას. შტოებს შორის ახალციხიდან საქართველოს სამხრეთის საზღვრამდე. ჰავა მძაფრი კონტინენტური, მშრალი, შუა-აზის ბრტყელ-მთიებთა ტიპისაა. წლიური საშვალო t° -ი $3^{\circ}-11^{\circ}$, სხვაობა $25^{\circ}-33^{\circ}$, ნალეკი 300 mm , ნაკლები ს-კენ დ 600 mm -მდე. ჩ-სკენ, რის გამოც იცვლება ნიადაგის ხასიათი მას აქვს თეთრი მიწა დაბლობებში ტიპურ შავმიწამდე ბრტყელ-მთიებზე. მცენარეულობა თავისებური ქსეროფიტულია, მაღალ-მთების მინდვრებზე მოგვავრნებს რუსეთის დამპალიანი მინდვრების მცენარეულობის; დაბლა 500 ფუტის სიმაღლიდან მინდონი უდაბნოდ იქცევა და მისი მცენარეულობა სრულიად იმიერ გურგენისას ემსგავსება.

დ. ალპის ველები ოლქს არ შეადგენენ. მათ საქართველოს თითქმის ყველა მთების მაღალი მწვერვალები უკავიათ და მეტადრე განვითარებულნი არიან დიდ კავკასიონის, მცირე კავკასიონის, სოლანლულის, აჭარა-ართვინის მთებისა და პონტოს ქედის სისტემაში. მარად თოვლიან მთებზე ალპის ველები გავრცელებულია ტყეების ზემო საზღვრიდან თოვლის ხაზამდე დაახლოვებით $2000-2500\text{ m}$ -დან $3000-3500\text{ m}$ -მდე. ჰავა ცივია, წლიური საშვალო t° -ი $3-4^{\circ}$, სხვაობა $22-24^{\circ}$; t° -ის ცვლილება მცირეა; ზაფხული გრილი; სრულიად თბილი თვის t° -ი $15^{\circ}-19^{\circ}$ დაბალია; ზამთარი ხშირად უფრო თბილია დაბლა მდებარე ხეობებზე და მეტადრე ბრტყელმთიებზე, სადაც ფერდობებიდან ჩადის ცივი მძიმე ჰაერი. რაღვან ალპის ველებზე ტყის მცენარეულობა სრულიად არ მოიპოვება, ისინი მინდვრების სახეს იღებენ; ხოლო მცენარეულობისა და ნიადაგის ხასიათით უფრო უახლოვდებიან უტყეო პოლიტიკის გვერდით მდებარე ტუნდრებს.

მცენარეი და ცხოველი

მცენარეულობას ჩვენი დედამიწის ცხოვრებაში ღილი მნიშვნელობა აქვს. მათე დამკიდებულია არა მარტო დედამიწის სილამაზე და სხვალასხვა ფეროვნება, არამედ უძინსოდ ვერც ცხოველი და ვერც ადამიანი ვერ იცხოვრებდა. მცენარეულობას ადამიანზე ფრიად ღილი გავლენა აქვს; იგი მას ასაზრდოვებს, ტანსაცმელს, შენობების, ავეჯეულობის, ჭურჭლის, ეტლებისა. და სხვა მასალებს აძლევს; მისგან ადამიანი სამყურნალო ნივთიერებას იძენს; მას იგი საქარხნო მრეწველობაში უხვად ხმარობს და სხ. აქვთან ცხადად ჩანს, რომ მცენარეულობის სიმღიდი და ადამიანის ცხოვრების პირობებს შორის ფრიად მჭიდრო კავშირი არსებობს. ადამიანი უფრო იმ კვეყნებში სახლდება, სადაც მას მცენარეულობა უზრუნველ ჰყოფს. მეცნიერს რავენშტეინს ფრიად საყურადღებო ცნობები მოჰყავს დედამიწის ზედაპირზე მცენარეულობის გავრცელების შესახებ. იგი დედამიწის სამ ჯგუფად ჰყოფს: პირველ ჯგუფში იგი ნაყოფიერ კვეყნებს ათავსებს, სადაც ადამიანს ადვილად შეუძლია ცხოვრება; მეორე ჯგუფს შეადგენენ უნაყოფო მინდვრები, რომლებშიაც შეიძლება ღარიბულები ცხოვრება მეჯოგეობის შემწეობით; მესამე ჯგუფს კი ეკუთხინან უდაბნოები, სადაც ადამიანისთვის ცხოვრება შეუძლებელია; ამ რავენშტეინის ტაბულაც.

ქვეყნები	ნაყოფ: მიწა %	უნაყოფო მინდვრ %	უდაბნო- ები %	ქვეყნები	ნაყოფ: მიწა %	უნაყოფო მინდვრ %	უდაბნო- ები %
ევროპა	81	19	-	სამხ. ამერიკა	62	37	1
აზია	63	29	8	ძ. ქვეყანა	58	30	12
აფრიკა	50	31	19	ა. ქვეყანა	69	30	1
აფსტრალია	35	46	19	დედამიწა	61	30	9
ჩრდ. ამერიკა	77	22	1				

რაც შეეხება საქართველოს, აქ შეგვიძლია გამოვსახოთ შემდეგი ტაბულა:

ნაყოფიერი მიწა საძოვრები გამოუსადეგარი მიწა

64%

19%

17%

ადამიანსა და მცენარეულობას შორის დამკიდებულობის განხილვის დროს ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ კავშირს, რომელიც ხვნა-თესვი-

საგან შექმნილია. მცენარეულობის მოშენებას (აკლიმატიზაციას) კაცობრიობის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ამის დასამტკიცებლად საკმარისია, მოვიჩენით, რომ მრავალი ხორბლეული, მაგ. ქერი, შერია, ჭვავი, ფეტვი, სიმინდი, ბრინჯი, კართოფილი, ბამბა და სხ. ჩვენში უცხო ქვეყნებიდან არის შემოტანილი და აქ გაშინაურებული.

ცხოველებსაც აღამიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვთ. ცხოველები, როგორც მცენარეები; აღამიანის საზრდოს, საცმელს, სასმელს ძლევენ; ემსახურებიან მას ტვირთის გადაზიდვაში, ზოგი მათგანი აღამიანის იცავს, ზოგს თვით აღამიანი ეპრძეს, როგორც მტერს. ცხოველთა და მცენარეთა შორის ფრიად მჭიდრო დამოკიდებულება არსებობს. ცხოველნი მცენარეთაგან არიან დამოკიდებულნი. რამდენადც მცენარეულობა უფრო მდიდარია და სხვადასხვა ფეროვანი, იმდენად უფრო მეტ ცხოველს შეუძლია ისაზრდოვოს. მცენარეულობის შემცირებით ცხოველთა რიცხვიც მცირდება; მცენარეულობის ცვლილება ცხოველების ცვლილებას იწვევს.

თუ ცხოველებს აღამიანის ყოფა-ცხოვრებაზე დიდი გავლენა აქვთ, სამაგიეროდ აღამიანსაც ცხოველებზე უფრო დიდი გავლენა აქვს. აღამიანი ყოველწლივ მრავალ ცხოველს ხოცავს ან მისი ბეწვისთვის ან გემრიელი ხორცისთვის (აგრეთვე ქონის, რქისა და ძვლისთვის) ან მისთვის, რომ იგი აღამიანსა და მის სარჩო-საბადებელს ემტერება. ხოლო მეორე მხრით აღამიანი დედამიწის ზედაპირზე მრავალ სასარგებლო ცხოველს აშენებს, და რამდენადც ქვეყანა უფრო კულტურულია და უფრო მჭიდროდ დასახლებული, იძღენად მასში გარეული ცხოველი უფრო ნაკლებია, შინაური კი — უფრო მეტი:

საქართველოს მოსახლეობის განაწილება საზოგადო ენის მიხედვით

აგუშები და ენები	საქართველოს ნაწილები	ი შ ე რ ე თ ი		ა შ ე რ ე თ ი		ს უ ლ
		ვაკ.	ქალ.	ვაკ.	ქალ.	
კრთული:	ქ.-ქახური	177503	166426	249827	215710	809466
	იმერული	134012	136501	1284	262	272059
	მეგრული	121398	117257	438	60	239153
	სვანური	7813	7856	47	3	15719
ს უ ლ		440726	428040	251628	216035	1336429
რესტრაცია:	ველიკორეს	12787	6486	45021	34061	98355
	ბოლორეს.	3472	536	5537	906	10451
	ბელორეს.	117	45	206	41	409
ს უ ლ		16376	7067	50764	35008	109215
ნ ი ჭ ა ნ ე რ ი თ ი		1591	347	5096	1186	8220
სიცაფური:	ჩეხეთი (სლოვაკ.)	86	82	152	92	413
	სერბ. ხორ. სლოვ.	9	4	2	—	15
	ბოლგარიული	49	25	6	2	75
ს უ ლ		137	111	160	95	503
III დატოვ. დატიშვრი:	ლიტოვური	447	3	1253	10	1713
	უმუღური	16	—	34	—	50
	ლატიშური	60	30	109	14	213
	მოლდ. და რუმ.	141	56	193	5	395
ს უ ლ		664	99	1589	29	2371
IV რომაული:	ფრანგული	82	94	109	247	532
	იტალიური	68	48	171	88	375
	ისპ. ჰ.პორტ.	—	—	1	—	1
ს უ ლ		150	142	281	335	908
V გ ე რ მ ა ნ ე რ ი თ ი :	613	452	4103	4237	9405	

1897 წლის ოლქებით (გამოც. ცენტრ. სტატისტ. კომიტ. მიერ 1905 წ.).

აღმუშები და ენები	საქართველოს ნაწილები	ი მ ე რ ე თ ი		ა მ ე რ ე თ ი		ს უ ლ
		კავ.	ქალ.	კავ.	ქალ.	
დანარჩენი ბერძნ.	შვედური	2	1	15	22	40
	ნორვ. და დან	3	—	1	1	5
	პოლანდიური	22	—	2	—	24
	ინგლისური	115	20	21	16	172
ს უ ლ		142	21	39	39	241
VI	ებრაული	3660	3346	3379	1809	12194
VII დანარჩ. ინ- დო-ეგრეს- ჰიუდი	ბერძნული	8215	6267	14274	12844	41600
	სომხური	14011	10032	105035	91154	220232
	სპარსული	959	63	1641	350	3013
	თალიშური	49	6	152	—	207
	ტატური	25	9	10	6	50
	ქურთული	935	889	1400	1138	4362
	ოსური	2132	2108	36347	30921	71508
	ინდოური	38	—	—	—	38
	ციგნური	33	26	3	1	63
ს უ ლ		26397	19400	158862	136414	341078
VIII ჩერქეზული	აფხაზური	31125	28344	26	20	59515
	ჩერქეზული	96	66	—	—	162
	ყაბარდო	1	1	8	6	21
	ს უ ლ	31227	28411	34	26	59698
IX ჩეჩენური	ჩეჩენური	36	10	1161	1046	2253
	ინგუშური	27	8	40	9	84
	კისტური	65	10	155	141	371
	ს უ ლ	128	28	1356	1196	2708
X დაბური.	ივარ-ანდიურ	119	29	18634	15496	34278
	დარგული	51	29	4028	3537	7645
	ყურალული	50	5	770	379	1204
	უდური	11	6	2	2	21
	ყაზი-ყუმურ.	107	4	192	5	308
	ს უ ლ	219	78	23626	19419	43337

აგუშები და ენები	საქართველოს ნაწილები	ი მ გ რ თ ი		ი მ გ რ ე თ ი		ტ უ ლ
		ვაკ.	ქალ.	ვაკ.	ქალ.	
XII ოსმალო- თათრული:	თათრული	674	76	59764	47619	108133
	ბაშკირული	37	—	93	—	130
	ჩუვაშური	41	—	148	—	189
	ყარახაული	12	4	66	1	83
	კუმიკური	13	11	24	1	49
	ნოღაური	—	—	8	10	18
	ოსმალური	25894	20771	12985	11737	71387
	ყარაფაფახი	—	—	4	—	4
	თურქენული	6	2	12	—	20
	ყირგიზული	—	—	8	—	8
	სართული	149	7	—	—	156
ს უ ლ		26826	20871	73112	59368	180177
XIII ფინური:	ფინური	—	—	2	7	9
	ვოტიკური	—	—	9	—	9
	ესტონიური	342	279	27	22	670
	მორდოული	18	—	59	3	80
	ჩეოვემისული	5	—	64	—	69
	პუნგრული	1	1	3	3	8
ს უ ლ		366	280	164	35	845
XIV შოთა ჰური:	კალმიკური	2	4	—	—	6
	ჩინური	8	—	—	—	8
XV სხ. ენები	იაპონური	3	3	—	—	6
	ს უ ლ	11	3	—	—	14
	არაბული	17	7	2	—	26
XVI სხ. ენები	ასურული	94	33	1234	336	1697
	დანარჩენი	1	—	22	9	32
ს უ ლ		112	40	1258	345	1755
სულ საქართველოში		549347	508308	575451	471339	2104445

საქართველოს მცხოვრებლი.

საქართველო უუძველესი ტროის ქვეყანაა; სადაც ცხოვრობდა მრავალი სხვადასხვა ტომის ხალხი. ორაბეთის ერთი მეტნიერი ამბობს, კავკასია ენების მთაათ. ეს შენიშვნა, რასაკირველია, ჩვენს ქვეყანასაც ეხება. საიდან გაჩნდა საქართველოში ამდენი სხვადასხვა ტომის ხალხი?

საქართველო წარმოადგენს კიხეს, რომელიც ჩრდილოეთის მხრით დიდი კავკასიონის ქედით არის დაბული. საიდანც არ უნდა მოსულიყო აქ ხალხი, იგი ამ კიხეში უნდობლიერ ემწყვდებოდა და არსათ. გასავალი მას არა ჰქონდა; ჩვი აქ სახლდებოდა.

როგორც ვიცით, ძველ ტროის აზიაში ხალხთა შეხლა-შემოხლა მოხდა. აქედან გამოვიდნენ ველურები, რომელთა ნაწილიც გურგენის ზღვის ჩრდილოეთით ეკრიპაში მეიქრა და იქ დასახლდა; ნაწილი კი სამხრეთის გზით ხა-ქართველობი მოვიდა და დაბინავდა. მაგრამ ერთ ხალხს ზედიხედ მოსდევდა. მეორე ხალხი, მას მესამე და ასე დაუსრულებლად სწარმოებდა ეს შოძრიობა; ვიდრე ხალხთა ეს დიდი გადმოსახლება არ შესწყდა.

ახლად მოსულნი საზრდოს ედებდენ, და ამის გამო ადგილობრივ ბინადარ მცხოვრებლებთან მუდმივი ბრძოლა ჰქონდათ და, რასაკირველია, ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდოდა უფრო ძლიერი და მამაცი ხალხი; დამარცხებული ხალხი მოვებში იჩინებოდა, მაგრამ აქაც ვერ ჰპოებდა იგი სიმშვიდეს, რაღაც აქ მას უხვდებოდა აღრე მოსული და უკვე დაბინავებული ხალხი. აქაც ხელახლა ბრძოლა იმპროტებოდა და ბოლოს დამარცხებული აშლად, მოსულებში სრულიად რაქვიფებოდა.

როგორცა სჩანს, ქართველთა ტროი იყო ერთი უძლიერესი ტომთაგანი, რომელიც ჯერ კიდევ პრეისტ-ირიულ ხანაში ჩვენს ახლანდელს სამშობლოში დასახლდა. ქართველთა ტროი უძლიერესი რომ არ ყოფილიყო სხვა მოსულ ტომთა შორის, იგი დღეს სრულიად განადგურებული იქნებოდა, როგორც თდესლაც გაანადგურეს თვით ქართველებმა საქართველოში მათ წინ მოსული ერები. ამაში, ჩვენ ვრწმუნდებით არ ქეოლოგური ნაშენების შემწეობით: ჩვენ სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენიათ ადამიანის ჩონჩხები, რომელთა აგებულობაც ჩვენი ჩონჩხისაგან ძლიერ განიჩევა. სხეულის ასეთი აგებულება და დღეს საქართველოში, მცხოვრებ ხალხს არა აქვთ.

ჩვენ, ქართველები, ვართ ინდო-ევროპიული ანუ კავკასიის რასის ჩამოგალნი, ქართველთა საკუთარი, ტრომისანი. ჩვენი ენა ეკუთვნის ენათა განსა-

კუთორებულ ოჯახს, რომელსაც შეცნიერებაში იაფეტური ოჯახი დაარქვეს. სა-
ქართველოში რომ დღესაც მრავალი სხვადასხვა ტომის ხალხი ცხოვრობს, ამას
ჩვენ ნაორიად ვხედავთ ზემოთ მოყვანილი ტაბულიდან.


დღეს საქართველოში ცხოვრობს. სამ მილიონამდე მცხოვრები, რომელ-
თა შორის ქართველი ერი 66% -ს შეადგენს. ქართველები არიან მართლმადი-
დებელი სარწმუნოებისანი.

სომხები (11,9%) სომხე-გრიგორიანთა სარწმუნოებას აღიარებენ. ამათ
გარდა საქართველოში ცხოვრობს შემდეგი ხალხი: მართლმადიდებელნი რუ-
სები (7,2%), აზიის სხვადასხვა ხალხი — მაკმადის სარწმუნოებისა (8,5%), ქურ-
თები, ცირქები და სხვ. (იხ. ტაბულა საქართველოს მოსახლეობის განაწილება:
მთავარ სარწმუნოების მიხედვით).

საქართველო საკმაოდ მკვრივად დასახლებული ქვეყანაა. 1 კვ. ვერსზე
ჩვენში საშუალოდ ცხოვრობს 46,5 მცხოვრები. ყოველ წლიურად ჩვენს ხალხს
ემატება მოსახლეობის 0,8% (იხ. საქართველოს მოსახლეობის განაწილება და
მისა თანადათანობითი ზრდა).

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სიმკვრივე 46,5 სულია 1 კვ. ვერსზე, და თუ
ამ მხრივ ჩვენი სამშობლო სხვა ქვეყნებს შევადარეთ, გავიკეთ, რომ ყველაზე
მჭიდროთ ევროპაში ბელგეთია დასახლებული, შემდეგ ჰოლანდია, ინგლისი,
გერმანეთი და სხ., რაც უკეთ სჩანს შემდეგ ტაბულაზე:

ბელგეთი	29500	ოთხ. კმ:	6,5	მილ.	სული:	1 კვ. კმ.	— 220 სული.
ჰოლანდია	33000	" "	5,0	" "	1 " "	151 "	"
ინგლისი	315000	" "	39,0	" "	1 " "	124 "	"
იტალეთი	285000	" "	31,0	" "	1 " "	109 "	"
გერმანეთი	540000	" "	54,0	" "	1 " "	100 "	"
შვეიცარია	41000	" "	3,0	" "	1 " "	73 "	"
საფრანგეთი	535000	" "	38,0	" "	1 " "	71 "	"
ავსტრია	675000	" "	43,0	" "	1 " "	63 "	"
დანია	38000	" "	2,2	" "	1 " "	58 "	"
პორტუგალია	90000	" "	5,0	" "	1 " "	55 "	"
სერბეთი	50000	" "	2,5	" "	1 " "	50 "	"
საქართველო	56500	" "	2,5	" "	1 " "	46 "	"
რუმინეთი	130000	" "	5,5	" "	1 " "	42 "	"
საბერძნეთი	65000	" "	2,5	" "	1 " "	38 "	"



პირობითი ნიშნები:

1. ოგოლებში მოთავსებული ოცნებები გვიჩვენებენ მაზრებში, კვადრატულ ვერსხე მცხოვრებთა რიცხვებს.
2. I-ოფიციალის მაზრა, II-ახალციხისა, III-ახალქალაქისა, IV-ბორიჩილისი, V-გორისა, VI-დუშეთისა, VII-თიანეთისა, VIII-ოელავისა, IX-სიღნაღისა, X-ზექათალისა, XI-ქუთაისისა, XII-ზუგდიდისა, XVII-სენაკისა, XIV-ლეჩხუმისა, XV-რაჭისა, XVI-შორავნისა, XVIII-ოზურგეთისა, XYII-სოხუმისა, XIX-სოჭისა.

მოსახლეობის საჭირობა.

ზედაპირის შენობის, ნიაღავის და ჰავის პირობების სხვადასხვაობას, სარწყავი მიწების უთანასწორობას, მცენარეულობის და ცხოველების სამეფო ებში არსებულ დიდ განსხვავებას, მოსახლეობის ფრიად კრელ ეთნოგრაფიულ შემადგენლობას და დიდ სიმძაფრეს მის კულტურულ განვითარებაში — ყველა ამას არ შეეძლო გავლენის გარეშე დატოვებინა საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება და მისი საქმიანობა. საქართველოში: მოსახლე ზოგიერთი პატარპატარა ერები, მეტადრე მთიელნი, მისდევენ ქოჩაობას და შინაურ საქონელს აშენებენ (თუშები და სვანები — ცხვარს, აფხაზები — ცხენს და ცხვარს); ეს ხალხი ქოჩაობს ზემთარ-ზაფხულ: ზამთარში იგი საქონელს

მინდვრებში მიერეკება (ყარაიაზს, ელდარს, შირაქს), ზაფხულობით კი მთებში აჟავთ, რაღვან ზამთარში მინდვრებში მშეენიერი საძოვრები მოიპოვება, ზაფხულში კი ჩეცნს მიდვრებში სიცხის გამო ბალახი. საქონლისათვის თითქმის სრულიად ისპობა.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მიწადმოქმედებას მისდევს; ამასთან, გუნებრივი პირობების მიხედვით, ხალხი ზოგან ხორბლეულს ავრცელებს, ზოგან ტეხნიკურ მცენარეს, ზოგან კი ბალა და ვენახს. მოსახლეობის კულტურის მხრივ დაბალ საჯეოურზე მდგარი ნაწილი მიწადმოქმედებას მამაპაპური ექსტრენსიური ადათით მისდევს, ესე იგი ადამიანი მიწისგან იღებს მხოლოდ იმას, რასაც თვით ბუნება აძლევს; მოსახლეობის მეორე ნაწილი კი, უფრო კულტუროსანი, მისდევს ინტრენსიურ ადათს, ე. ი. ადამიანი თავისი შრომისა და ცოდნის შემწეობით ისწრაფის გამოართვის მიწას სრულად ისა. რაც შეიძლება მისგან ამოიღოს.

ჩეცნში ამ უკანასკნელ დროს წარმატებას განიცდის და იზრდება შესამჩნევად მოსახლეობის ის კლისი, რომელიც თავის შრომასა და ძალა-ლონეს დასამუშავებელ მრეწველობას ანტომებს.

ჩეცნს მოსახლეობას შორის, არსებობს, კიდევ სხვა საქმიანობა; მათგან უმთავრესებზე ქვემოდ გვექნება ბაასი.

მიწადმოქმედება საქართველოში:

თუმცა საქართველოს ბუნება ფრიად სხვადასხვანაირია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი განსაკუთრებით მიწადმოქმედების ქვეყანაა, ლი დღევანდლამდე შრეწველობას (გარდა სამთამანდო მრეწველობისა) ჩეცნში. ბალიან, მცირე ადგილი უკირავს. მიწადმოქმედების დარგთაგან ჩეცნში თითქმის უველგან პირველი ადგილი უკირავს ხორბლეულთა თესვას, და ეს ხორბლეულნი მხოლოდ აქაიქ. სხვა სპეციალურ ჩეცნოვის დიდმნიშვნელოვან კულტურებს უთმობენ. ადგილს.

მიწადმოქმედების წესები და სისტემები ჩეცნში სხვადასხვანაირია. დასავლეთ საქართველოში მისდევენ ტყე-მინდვრის სისტემას, პატივიან ჭა უპატივო საქ-მინდვრობას. და მრავალ მინდვრობას ბალახის თესვით (სიმინდი, ლომი). ნეხვით პატივი აქ საქმიან გავრცელებულია. დახავლეთ საქართველოში თითქმის სრულიად არ მოიპოვება საძოვრები; სამაგიეროდ ფრიად გავრცელებულია მებაღეობა, და დამუშავებულ მიწას აქ დიდი ადგილი უკირავს. დაბლო-

ბებში გავრცელებულია ცალ-მინდვრობა და წლითი-წლობით სიმინდი ითესე-
ბა და წლის განმავლობაში ზოგჯერ ორი მოსავალიც მოდის. პლიოსავლეთ სა-
ქართველოს /ახალიათებს დიდალი საძოვრები, მცირეოდენი ტყე და დაბლო-
ბებში ხელოფნური რწყვა მცენარეთა გასაკულტურებლად. წყლის რაოდენო-
ბის მიხედვით აკულტურებენ ბაღს, ბოსტანს, ბრინჯას, თამბაქოს და სხვ.; თუ
წყალი მცირეა — პურს, ქერს, ბამბას. რამდენად წყალი მეტია, იმდენად სის-
ტემა უფრო ისტენისურია. ურწყავ მიწაზე გავრცელებულია. სათიბავ და მარც-
ლოვან სისტემათა სხვადასხვა ფორმები და სახეები: მაღლობებზე ბალახის სის-
ტემა (თივა).

გაუმჯობესებული სამიწადმოქმედო იარაღები (გუთანი, ცელი, ნამგალი;
საცეხველი და სხვ.) ჩვენში ნაკლებად არის გავრცელებული. ნიადაგს სულ
უბრალო იარაღებით ამუშავებენ: მიწის სახნავად სხვადასხვა ფორმის სახნისს
და გუთანს ხმარობენ (უკანასკნელში 3—12 წყვილ ხარ-კამეჩს აგმენ). მოსა-
ვალს მკინ ნამგლით, გუთარად სთიბვენ; მასთან მთიან აღგილებში ხშირად
მოსავალს მარხილებით ზიდვენ, იშვიათად ზურგითაც. უმეტეს შემთხვევაში ზო-
გიერთ მოსავალს კევრითა ლეწვენ და ნამჯას ბზედ აქცევენ; ბზე საქონლისა-
თვის ფრიად ნოკიერ საკვებს წარმოადგენს.

ხორბლეულთაგან ჩვენი აღგილი პურს

ხორბლეულთაგან ჩვენში პირველი აღგილი პურს (ანეული და ნაოში) ეკუთვნის, რომელსაც ყველგან უპირატესობა აქვს, გარდა იმერეთის დაბლობე-
ბისა, საღაც იგი პირველობას სიმინდს უთმობს. შემოღომის პური უმთავრე-
სად მოიან. აღგილებში (2000 მ. სიმაღლემდე) ითესება. საქართველოში უფრო
ფასრანია კუთელი პური. პურის მოსავალი საერთოდ დამაკმაყოფილებელ ია.

პურს შემდეგ მეორე აღგილი ქერს უჭრავს; იგი მთებში 2600 მ. სი-
მაღლემდე გაბატონებულია. და ზოგან მხოლოდ მინდვრის ერთადერთი მცენა-
რეა. ქერით, უმეტეს შემთხვევაში, შერისს ნაცვლად, უხენებს კვებავენ, რაღ-
ვან ჩვენში შერის ცოტა ითესება. (იხ. შემდ. ტაბულა).

იმერეთში სიმინდი შეაღენს უმთავრეს მოსავალს და მცხოვრებთა კეთილ-
დღეობა მის მოსავალზეა დამუარებული. დიდალი მისი ნაწილი საზღვაო გარე-
თაც გააქვთ;. შინ კი მცხოვრები მჟადს. აცხობენ, ხოლო ფუქჩებით (ჩაღა) სა-
ქონელს კვებავენ.

ჩალთუები (დაუცეხველი ბრინჯი) სარწვილოს დაბლობების საკმაოდ და-
მხასიათებელი მცენარე ჩალთუკით დათესილი მინდვრები მოელი ზაფხულის
განმავლობაში წყალ ქვეშიძყფება და ცებ-ცეცულების ბულედ ითვლება.

ლარმი განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში მოდის.

ჭვაფი ჩვენში ნაკლებად არის გავრცელებული; იგი აქვთ ითესება
ასლი ითესება ქართლის აღმ. და დასაც ნაწილებში.

პურლული მოდის მხოლოდ თიანეთის მაზრაში ცერცვეულთაგან ჩვენში
გამჰყავთ: ცერცვი, მუხუდო, ლობიო, ლოპინარი და სხვ.; მათ შორის შე:
სანიშნავია ცერცვი და გურული ლობიო.

ტეხნიკური მცენარეები

სელის¹, კარხლის², ნიუკის; კეუერას³, კანაფის⁴, ყაყაჩის⁵ და გენაგერ-
ჩაქის⁶ და სხვ. ნაწილებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ეს მცენარენი სა-
ქართველოში ზოგან მცხოვრებთათვის ცხოვრების აუცილებელ სახსარს წარ-
მოადგენს.

იმერეთის მცხოვრები დაუნის ფოთოლს ჰკრეფენ, ჯონჯოლის უგავილს
წნილად სდებენ და ჰყილიან, აგრეთვე მოცვის ფოთოლს, რომელიც გადის
რუსეთსა და სხვა ქვეყნებში ჩაის მაგივრად; იკრიფება თრიმლის და თუთუბოს
ფოთოლი, შტოები და ნაყოფიც, რომელთაც ფეხსაცმელის ტყვიის მოსაქნელად
ხმარობენ.

ზეთის ხილის კულტურა საკმარისად გავრცელებულია სოხუმის ჩრდილო-
ეთით ახალი-ათონის და აგრეთვე ართვენის მიღმიღებში.

ამ ბოლო დროს აღმოსავლეთ საქართველოში ძირტკებილას აღებ-მიცე-
მობა საკმაოდ გავრცელდა. 1891 წ. საზოგადოდ კავკასიიდან და სხვათა შო-
რის საქართველოდანაც საზღვარ გრეთ (ამერიკასა და ინგლისში) 859000 ფუ-
თი ძირტკებილა გაუტანიათ; ხოლო 1892 წ. კი 2 მილიონი ფუთი შეუგრო-
ვებიათ.

1. სულის შოქნილ ლეროს სტენავენ და ტილოსათვის ძაფს ართავეშ.

2. კარხლის წვენიდან ზაქარს ამზადებენ.

3. ნიუკის სანდლის ფერის თესლისა და კერერას თესლისაგან ზეთსა ჰსდიან.

4. კანაფის ლაფნისაგან ტილოსა და სხვა ნივთებს აკეთებენ; მისი თესლისაგანაც ზეთსა ჰსდიან.

5. ყაყაჩის თესლისაგან ზეთს და ნარკოტიულ ნივთიერებას — აპიონს ამზადებენ.

6. ვენაგერჩაქის თესლისაგან მზადება სტომაჭის გასაწმენდი ზეთი.

ამას გარდა ჩვენში ხარობს მრავალი მცენარე, რომელსაც ესათუ ის ტენიკური შეიშვნელობა აქვთ, ზაგაღითად, ფიქვი; იძლევა ფის, ბელეკონს და ზეთს; მისი პრეცესავან კი კუპჩისა ჰქონის.

ზეთს იძლევა: ზაფრანა, ჯანჯაფილი, წიფლის ნაყოფი; მდოგების თესლი და კაკლი.

ყვითელ საღებავს კლევა: ზაფრანას ყვავილი. ჯინჭრის ძირკვები, ენდრო, ალისარჩულის ყვავრლები, კოწახურის ძირკვი, თრიმლი, სეია და სხვ. წითელ ფერს იძლევა ენდროს ფესვები (ბამბის ქსოვილებისათვის საუკეთესო საღებავია); ალი-სარჩულის ყვავილები — აბრეშუმის ძვირფასი. საღებავია; მას ფერზე მარილისათვისაც ამზადებენ.

მწვანე საღებავს იძლევა ხნჭლის თესლი; ინს. ფერს — კაკლის ფოთოლი და წენგა; სანდლის ტერის — ინის ყვავილი; შავს — თავშავა და ხეშავა.

ტყავის მოსაქნელად ხმარიბენ ზამბახს, მუხის და ცაცხვის ქერქს, თრიმლის ძირკვებს და ფოთოლებს და აგრეფვე საკმელის ფოთოლებსაც; წებოს იძლევა ფითრის ცესლი და დეკა; მელანს — ზამბახი; ფისს — ჯანჯაფილი; ლილის — ლილის სე; სახატავ ნახშირს — სატრე და თხილი; შაქარს — ჯიხურს (20°), ძირტებილა და ქორაფი; ქაღალდს და ტილოს იძლევა ჯინჭრის ლაფანი, ტილოსა და ძაფის — სელი; აბრეშუმის დასამუშავებლად ხმარიბენ მრავალ-ძარღვას თესლს; მაუღისათვის ხოთ მისაცემად კი + ენცნარის ნაყოფს, ე. წ. კარდს.

უკანასკნელ ღროს საქართველოში მრავალი ახალი მცენარე შემოვიდა, რომელთაც ჩვენი სამშობლოს დასავლეთი მხარე მეორე სამშობლოდ სცნება; რადგან ადგილად შეეფვისნენ მის თბილსა და ნაზ ჰავის. აქ მოიპოვება სამხრეთ-ევროპის, ამერიკის, ავსტრალიისა და იაპონიის მცენარენი; მაგალითად, ინდოეთის ლერწამი, ევერლიტი, კამელია, პრობკის მუხა, რუკი; მაგნოლია და სხვა მრავალი. ზოგიერთი ტეხნიკური მცენარეთა გავრცელება საქართველოში გამოხატება ასე:

საქართველოს ნაწილები	გ. გ ნ ა გ უ რ ჩ ა. ქ ი			დაწნა	პალაზ მწ.	საკმელა	მუხ.ქერქ-თუღუბო	
	დღ.	მოსაც. ფუთ.	ზეთი. ფუთ.				მოსაც. ფუთ.	ფუთ.
ამერეთი	200	5000	2000			10	120000	60000
იმერეთი	100	2500	1000	10000	2,6			
სულ	300	7500	3000	10000	2,5	10	120000	60000

გ ე ბ ა ლ ე თ ბ ა

ხორბლეულს შემდეგ საქართველოში უფრო შესანიშნავი, ძველი და გავრცელებული დარგი მეურნეობისა ხეხილთა მოშენება და მებალეობის სხვა დარგს ჩვენში თითქმის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა; ხეხილთა მოშენებისათვის რიგიანი პირობები არ არსებობს; არსებულ პირობებთან შედარებით მოსავალი გაცილებით ნაკლებია; ამასთანავე გახმობა, კონსერვების მომზადება და წნილად ჩადება ჩვენში მეტად მარტივად ნაწილმოებია.

საქართველოში ბალები 1200 – 1500 მ: სიმაღლემდისაა გაშენებული. აქ, მეტადრე დასავლეთ-საქართველოში, სალაც ყინვა იშვიათად იცის, ხეხილთა ჯიში ფრიად სხვადასხვანაირია. აქ ხარობს სამხრეთ-ევროპის ყველა ხეხილი და სუბ-ტროპიკული ფორმის ზოგიერთი ხეხილიც. ჩვენში ბლომად იზრდება. გარეული ხეხილი, რომელიც დიდალ ხილეულობას იძლევა. ასეთი ტყიან-ბაზული დებიანი ადგილები საქართველოში მრავალია და ხშირად ვერ გაარჩევ, თუ საღ თავდება ველური ვაზის გადახლართული ბარდი და საღ იწყება კულტურული ბალი. შავი ზღვის სანაპიროებზე აქანქ ხარობს ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, ხურმა და სხვა.

გამოსაკვებ ბალანთაგან — კოინდარი, იონჯა, ოსპი და სხვა მრავალი.

გ ე ვ ე ნ ა ხ ე თ ბ ა

ხეხილთა მოშენების დარგთაგან უაღრესი მნიშვნელობა აქვს მევენახეობას და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ღვინის დაყენებას. მევენახეობის ცენტრს შეადგენს თელავის და სიღნაღის მაზრები და იმერეთი. საუკეთესო ღირსების ღვინო მოდის კახეთში: საქართველოში მევენახეობა და ღვინის დაყენება. ასე განისაზღვრება (ცნობა 1913 წ.)

საქართველოში ნაწილები	მევენახეთა რიცხვი	სივრცეენაზ. დღიურად	ყურძ. მოსავალი ბათვ.	ღვინო ჩაფონით	სპირტ. გრადუს. რაოდენ.
					ყურძნისა ხილისა.
ამერეთი	40642	43150	12757338	5305374	6546000
იმერეთი	70566	40578	11383394	4870835	2772000
სულ	111208	83728	24140732	10176209	9318000
					18800

მოუხედავათ ღვინის დაყენების ტეხნიკის სიმარტივისა, ჩვენი ღვინო ჩვენი საზღვრების გარეშეც სახელგანთქმულია, მეტადრე რუსეთში. სასმელად ღვინოს ჩვენში ბლობად ხმარობენ და მისგან ზოგჯერ არაყსაც ჰქონდა; ღიძალ ყურძენს საჭმელად ხმარობენ და ჩამიჩს და ბალაგს აკეთებენ.

საქართვ. ვენახ. სივრ. ყურძნ. მოსა- ნაწილები	ცვ. დღ.	ვალი ბათმ.	ღვინო ჩაფ.	არაყი გრადუსებით	კონიაკი ჩაფ.	რექტიფი- კატი	მადაგი, და ს. ფუთ.
ამერეთი	44156	1574426	589190	1117754	10120	2051900	182704
იმერეთი	42620	1277800	483100	122044	14072	198000	690618
სულ	86776	2852226	1022290	1239798	84192	2249900	873322

სენილის მოვალება

პტმის, ნუშის და გარგარის სამშობლო საქართველოა; გარეული ლელვი და ბროწეული აქ შემოტანილი ხეხილია. საქართველოს მუნების პირობათ მიხედვით ხეხილის მოშენების რაონებით მთელ ქვეყანაზე უპირველესი ადგილი უჭირავს. მაგრამ, მოუხედავათ ამ პირობებისა, უკანასკნელ დრომდე ხეხილთა სამრეწველო გაშენება ჩვენში სრულიადაც არ იყო გავრცელებული. ამ დარგს ჩვენში უკანასკნელ დრომდე სულ მცირე ადგილი ეჭირა და მხოლოდ შინაურ მოთხოვნილებას აკაყოფილებდა.

ხეხილების გაშენების ასეთი დაქვეითებული მდგრამარეობის მიზეზი ის არის, რომ საქართველო გარეშე ცენტრებს, დაშორებულია და თვით იქვე ცოტათ მოზრდილი ცენტრები თითო-ორილია. რკინის გზების ფაყვანამ და ქალაქების/ზრდამ (უმთავრესად თფილისი, ქუთაისი, ბათომი, ბაქო და სხ.) ხელი შეუწყო სამრეწველო ხილის მზადებას და კონსერვების ფაბრიკაციას; ახლა ხილის გასვლის მოწყობასაც საფუძველი ჩაუყარა.

საქართველოს ჰავის სხვადასხვანაირ თვისებათა მიხედვით ჩვენში შესაძლებელია სხვადასხვა ხილებულთა კულტურა. ამ კულტურის სხვადასხვაობის მიხედვით, ჩვენი სამშობლო რამდენიმე რაიონად განიყოფება; ეს რაიონებია: შავი ზღვის სანაპირო, აქარა, იმერეთი, ქართლი, ჯავახეთი და საინგილო.

შავი ზღვის სანაპირო ჩრ. და სამხრ. ნაწილებად გაიყოფება. ჩრ. ნაწილში სწრაფად ვითარდება. (უმთავრესად რტალიური). ჩირის მოსამზადებლად

ლორ-ქლიაფას კულტურა. თუ ლორ-ქლიაფასაგან ჩარის შზადებას სოჭის გაზრაში ხელი შევუწყეთ, მაშინ შეიძლება მის მიღდამოებში იგი ფრიად გავრცელდეს და საშობლო ბაზრიდან საფრანგეთისა და ბოსნიის ჩარი სრულიად განდევნოს, რც ჩვენს სავაჭრო ბალანსში, რასაკვირველია, დიდ რეკოლიტურის მოახლენდა. ამ რაიონის სუბ-ტროპიკულ ნაწილში გავრცელდებულია მანდარინა, თუმცა იგი ტრაპიზონის მანდარინასთან შედარებით უფრო ნაკლები ლირს ებისაა. გარდა ამისა, აქ მოდის კიდევ სხვა მრავალი ხილია მაგ. გუდაუთის ატანი. სხვათა შორის შიგი ზღვის სანაპირო სხვაღასხვა თბილის კულტურისთვის მშვენიერ ასპარეზს წარმოადგენს. თხილი, კაჟალი, წაბლი აქ მოზრდილ და დამტურულ ტყედ არის ქცეული; სამწუხაროდ, მათი კულტურა საცდელ სადგურთა ყურადღებას არ იწვევს; საუკეთესო თხილის მოსავლისთვის აქ საუცხოვო პირობებია; საუკეთესო პირობებია აფრეთვე კულტურული წაბლის ტყეებისათვისაც.

აჭარის რაიონში მოიპოვება ზეთისხილი და მრავალი კარგი ჯიშის ხილი, სხვათა შორის ბალი, მაყვალი, მანქრუხი და სხ.; იმერეთის რაიონი განთქმულია მარწყვით, ატმით, ბლით და სხ.

ქართლის ხეხილთა მოშენებას რწყვა-ესაჭიროება, რაღან ხმელი ჰავის გამო ურწყვავი ბალი აქ ნაყოფიერი არაა. ამიტომ ხეხილებსა აქ აშენებენ მხოლოდ მდინარეთა ხეობების გაყოლებაზე. მარტო ლიახვის უდიდეს ხეობას მოელი ყირიმის ხეხილის ოდენა შეეძლო მოეცა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ხეხილის ბალებს ფრიად უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ. აქ მოიყვათ უმთავრესად კულტურული ვაშლი და მსხალი, ჰატია ატენის ხეობაში, სახელდობრ სოფელ ხილისთვისა და ატენში - ატიმი; ამ უკანასკნელს ხილეულთა შორის შესამჩნევი ადგილი უჭირავს; მის კულტურას კარგი მომავალი მოელის, როცა ჩვენში კონსერვების ქარხნები აღმოჩინდება და საგარეო ვაჭრობა გაძლიერდება. ქართლში 20 – 30 დღ. სივრცის ვაშლისა და მსხლის ბალები ხშირია. ამ ბალებში უმთავრესად ეკროპის ჯიშის ხილი ხარისხს, რომელთა შორის უფრო გავრცელებულია რენეტი, კალვილი და გულაბი. აქ უფრო ხშირია რენეტი გარდა ზამთრის ოქროსფერი პარმენი, ჩერქეზული, საკმელი და სხ. ამ ჯიშებს აღების უკეთესობის უმთავრესი ადგილი უჭირავთ, უფრო კი შამპანისა და კანადის რენეტი, რომლებითაც სავსეა ძველი და ახალი ბარები; თითქმის ყველა ბალშია ზამთრის თეთრი ვალვილი. პირველი მოსავალი ხეებზე საუცხოვოა, მაგრამ შემდეგ ხეებს ავათმყოფობა უჩნდებათ და ამის გამო მოსავალი დაბალი ხარისხისაა და ამასთანვე მცირეც.

მსხლებს შორის ნაყოფიერობის მხრივ ღიდი ჩინიშვნელობა აქვთ — სენ-ეერმენს (ზამთრის გულაბი), კიურეს (თფილისური, ზამთრის გულაბი) და ბერე-ბოსკის (ალექსანდრეული); ხშირად რად გავრცელებული დაუშესი (ჩიდისთავა და ატენში), ზამთრის დეკანკა და სხვა. კარგი მსხალი მოღის ქართლის ზემო ნაწილებში; იგნტ კარგ მოსავალს იძლევა ცხინვალის ზევით, სოფ. თამარაშენსა, კურთასა, მერეთსა და კარბში. მიუხედავად მოსავლის სიუხვისა, ქართლში ხეხილების მოშენებას ხელს უშლის ბალების მოვლის სიმარტივე და აღებ-ბიცე-მობის მოუწყობლობა. ქართლის მემამულებმა მხოლოდ 1916 წლიდან დაიწყეს ხილის გზავნა ოუსეთს; ამ მიზნის მისაღწევად ამ საერთაშორისო ომიანობის დროს დაარსდა საზოგადოება „ქართლი“; ზაგრამ ეს ზომები საკმარისი არ არის, თუ ბალების წამლობას, ხილის დარჩევასა და მის ჩაწყობას ჯეროვანი კურადღება არ ექნა მიქცეული.

ქართლის სამხრითი ჯავახეთის რაიონია, რომელსაც მტკვრის შენაკადების ხეობები უჭირავს. აქ ფრიად გავრცელებულია ვაშლი, თითქმის განსაკუთრებით აღილობრივი ჯიშებისა, უმთავრესად კი ფაშალმა. მიუხედავად მარტივი ჩაწყობისა, მოსავლიან წლებში აქედან ქ. ადესაში 300000 ფუთამდე ვაშლი გააქვთ. ამ ბოლო დროს აქ შემოიტანეს ევროპის ჯიშები, რომელთაც ფართოდ ავრცელებენ ახალ ბალებში; მიუხედავად ამისა, ფაშალმა თავისი ღიძი მოსავლით და გემოთი და აგრეთვე სილამაზისა და სიმკერივისა გამო აღებ-მიცემობისათვის საუკეთესო ხილს წარმოადგენს.

საინგილოს პავა ნოტიო და თბილია; ამიტომ აქ მსხალი ვაშლისა სკარბობს. აქვე ფრიად გავრცელებულია თხილი, რომელიც ყოველ წლიურად 100.000 ფუთამდე უცხოეთში გადის. სამწუხაროდ, ეს თხილი არ არის მაღალი ხარისხისა, რადგან მისი ჯიშის გაუმჯობესებას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ; ვაშლთაგან აქ გავრცელებულია შამპანისა და კანადის რენეტი და სხვა. მსხალი, სენ-ეერმენი, კიურე და ზამთრის ღიუშესი კარგ-მოსავლიანია:

მ ე ბ რ ს ტ ნ ე მ ბ ა.

საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია შებოსტნეობა. მოელ საქართველოს ტერიტორიაზე არ მოიპოვება ისეთი ოჯახი, რომ ზამთარ-ზაფხულ მწვანილს არ ხმარობდეს. ლობიო და ცერცი ხომ გლეხ-კაცობის მთავარ საზრდოს შეადგენს და მას პურის მაგიერობას უწევს. ჩეკნში გავრცელებულია კუტი, ზღვისპირული და რუსული ლობიო, ბაღრიჯანი, ოქროსვაშლა, ტარხუნა,

წიწმატი, წიწაკა, პიტნა, ქინძი, ოხრახუში, ჩეჭანი და სხ. ჩვენი მებოსტნეობა მხოლოდ ადგილობრივ მოთხოვნილების აქმაყოფილებს. ბოსტანს ხელოვნური ჩაჟავა ესაჭიროება მშრალ ადგილებში და, მაშასადამე, მდს მოვლაც შესაფერისი უნდა.

ჩვენი სამშობლოსთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ბაღჩებს, სადაც ხარობს საზამთრო, გოგრა, ნესვი და კიტრი. მეურნეობის ამ დარგს სათანადო ადგილი უჭირავს საქართველოს აღმ. ნაწილში და მოსახლეობის საყვარელ სანოვაგეს შეადგენს.

მ ე ტ უ ე რ ბ ა.

საქართველო ტყით მდიდარია; მისი ჩრდილოეთისა და დასავლეთის ნაწილები მრავალ სხვადასხვა ჯიშის მცენარეულობით არის შემკული. ჩვენი ქვეყნის ჩ. — დ. კუთხეში, ე. ი. დას. საქართველოში, სურამის ქედამდე აღ-თით თბილი ჰავისა და ნალექების სიმრავლისა გამო ეს მცენარეულობა მრავალ-ფეროვანი და მძლავრია. ეს კუთხე, გარდა კულტურული ნათესებისა, წარმოადგენს ლიანებით გადასახლორთულ საუკუნო ტყეს, რომლის ნიადაგიც ხშირად კაობიანია და ამის გამო თითქმის გაუკალიც. ამ ტყეებში ცხოვრობს მრავალი მცენარე (ზოგიერთი მარად მწვანე), სამხრეთ ევროპის ხმელთაშუა ზღვის ნაპირებთან მდებარე ქვეყნების მცენარეთა მსგავსნი.


საქართველოს ტყეებში შემდეგი ხეების ჯიშები მოიპოვებიან:

წიფელი (*Fagus sylvatica*) შეადგენს ტყეების $25,1^{\circ}/\circ$ ე. ი. 1,5 მილ. დღიურს. მთავარ ქედზე იგი უმთავრესი ხდა, გავრცელებულია $400 - 800$ საუკუნე. სიმაღლემდე ზღვის დონედან; დაბლობებში იგი იშვიათად მოიპოვება. წიფელის ტყეებს დღიურზე სხვადასხვა ნივთის საკეთებლი მასალა $30 - 35$ კბ. საუკეთენ ზოგან უფრო მეტიც. ზოგიერთი ხე უ 20 საუკუნე. სიმაღლისა და 3 არშ. სისქისაა. წიფელი საშუალოდ ცხოვრობს 300 წლამდე, ხოლო დაბერებულ ხეებს გული ულებება. დაბლობების წიფელი მხოლოდ შეშისტვის ვარება, მაღლობებისა კი მშვენიერ სანივთო მასალის წარმოადგენს საღურგლო, სახარატო და საეტლო საქმეში*. წიფელის ცილისგან აკეთებენ სალტებს ზეთის ბოჭკებისთვის და ამ საქონელს თანდათან მეტი გასავალიც აქვს ჩვენში. ეს მასალა ციმბირს ბლობმათ იგზავნება. უკანასკნელ წლებში ძლიერ იზრდება მოთხოვნილება წიფ-

* რადგან წიფელის კრლა თხელი შენიდობისაა, მოთეთრო ფერის, მმატად გამოხა-
რულ კრიალა გულის სხივებიანი, ამიტომ სკემარისად მაგარი და მმიშვა (ნივთიერების წონა მისი—0,73, პეტრზე და შენობებში მცირედ გამძლე, წყალში კი ფრიად გამძლე).

ლის შპალებზე. ჩვენში გავრცელებული აზრი, ვითომ წიფლის ფიცარი ხშირად სკდება, გამოწვეულია იმის გამო, რომ მის მორებს ნედლათ ხერხავენ და ამ ნედლ მასალას სიცხე ხეთქავს და აფუჭებს. დღემდი წიფელს ჩვენში მცირე ფასი აქვს სანივთე და შენობათა ავების საქმეში; მას, როგორც სათბობის მასალასაც კი, რცხილაზე დაბრი აყენებენ.

საქართველოს ტყეები და მათი ხეების ჯიშები.



ძელი, რეინის ხე, კაკალი, მსხალი, ვაშლი, ცირცელი, ჭანდარი, თუთა, შეინდი, ფშავე, ძეგი და სს. 0.2.

მუხა (Quereus) გავრცელებულია ჩვენში და ტყეების 16,7% უჭირავს, ეს იგი 1 მილიონი დოლარი ჩვენში მუხის ჯიშებია; მუხა ზამთრისა (Quereus sessolo Haral) ფრიად გავრცელებულია ვერტიკალური მიმართულებით; იგი 850 საუკნამდე აღის ზღვის დონედან; მუხა ზაფხულისა (Q. pedunculata) — ეს უფრო გავრცელებულია მთიან ადგილებში, ხოლო ვერტიკალური მიმართულებით ზღვის დონედან 750 საუკნე მაღლა არ აღის; მუხა ბუსუსიანი (Q. pubescens); ეს უფრო ნაკლებ გავრცელებულია ჩვენში. მუხა ფრიად სასაჩევდლო ხეა. მას ხვარობენ უმთავრესად როგორც სამშენებლო და სანივთე მასალას. მისი ცილა ფრიად მაღალი თვისებისაა, იგი გამძლეა, მკვრიცი, მაგარი, ფრიად მძიმე (მისი ნიშანდობლივი წონა 0,83 10%, სინოტივის დროს) და კარგად იჩარხება: სასელოსნო იარაღებათ. წყალში დიდხანს ყოფილი ცილა მუქ ფერს ღებუ-

ლობს და უფრო მაგრდება (მორენუბის მუხა). ლიდი გასავალი აქვს აგრეთვე მუხების ქერქს ტყავის მოსაქნელად.

მუხების კეთილდღეობისთვის ლრმა და ახალი წიაღავია საჭირო. მუხების უფროს ლია და ნაოელი ადგილები; იგი სძლებს 400—500 წელს; ზოგიერთი მუხების ხე აღწევს 14 საუ. სიმაღლეს და დიამეტრით 2—3 აო'შ.

ჩცილაც (Carpins) საქმარისად გავრცელებულია ჩვენში. და მას მთელი ტყის სივრცის $12,8\%$ უჭირავს, ე. ი. 775000. დღიური. ჩვენში მოპოვება რცხილა (*Carpinus Betulus*) და ჯაგრცხილა (*Carpinus duimensis*).

რცხილის ვერტიკალური გავრცელება ზღვის დონედან 800 საუნამდეა. უფრო ხშირად იგი სხვა ხეებთან შერეულია; არის აგრეთვე წმინდა სახისაც. ხის სიმაღლე, 6—10 საუ. , დიამეტრი კი 6.—10 გოჯი. ცილა ოხელი შენივთებისა, თეთრი ფერის, მკრივი, ურიად მაგარი და მშიმე (ნიშანდობლივი წონა მისი = 0,78); იგი ძნელად იპობა და საკმაოდ გამძლეოს. ლეროს უსწორო ჭრმისა და სიმრუდის გამო რცხილა ნივთების გასაკეთებლიდ გამოუსადევარია, თუმცა მის ცილის, როგორც სანივთე მასალის, აქვს მშვენერი თვისებანი. რცხილის უძათვერებად ხმარობენ, როგორც სათბობ მასალის, კინაიდან მისი ცილი იწვის. ნათელი ალით, არ ტკაცუნებს და მაღალ სიიბოს იძლევა. რცხილა სხვადასხვანირ ნიაღაგზე ხარობს; მას უყვარს ახალი და ნაყოფიერი ნიადგი. რცხილა 80. წლამდე ჯანსალია, რის შემდეგაც ლპება და 150—200 წლამდე ძლივს აღწევს.

ჯაგრცხილა გავრცელებულია ტყების ქვედა ზოლში. იგი დაბალია, სიმაღლით 3—4 საუ. და დიამეტრით 3 გოჯი. თავისი მთლიანი შედეგნილობით სიმაგრისა და ხშირი შტოების გამოსხმის გამო იგი ლობეების გასაკეთებლად არის გამოსაღევი. ცილა რცხილის ცილის მიუჟავს, ხოლო უკანასკნელი საზე უფრო მკრივია. იხმარება განსაკუთრებით სათბობ მასალად და ამ მხრივ მას ტოლი არა ჰყავს; იზრდება ნელნელა და იშვიათად იძლევა მსხვილ შეშას.

ფიჭვს (Pinus) მთელი ტყის $8,1\%$ უჭირავს, ე. ი. 500.000 დღიური; ჩვენში იგი შემდეგნაირია:

ჩვეულებრივი ფიჭვი, შავი ფიჭვი, ზღვისპირულა ფიჭვი, სოჭი და ელდარის ფიჭვი.

ხიწვიან ჯიშებს შორის ფიჭვი ყველაზე უფრო გავრცელებულია ჩვენში, სახელდობრ ბორჯომის, აბასთუმანის და ახალცახის მიღამოებში, — აგრეთვე მთავარ ქედზე და მის გაყოლება; საზოგადოდ მას უყვარს მთის მაღალი. აღგილები და თითქმის მათ განაპირა მცენარეს წარმოადგენს. (მაგ. კლუხორის გადასაღლი).

ფიჭვის ტყეებს ჩვენში რამდენიმე ათასი დღიური (ახალციხის მაჩრა) უჭირავს. ფიჭვს დერო აქვს სწორი და ურთყო, 15—17 საუ. სიმაღლისა და 10—16 გოჯის დიამეტრისა. მისი ცილა მსხვილი შენიერებისა; იგი რბილია, ადვილად იპობა, მსუბუქია (მისი ნიშანი. წონა $10^{\text{cm}}/\text{m}$ -იან სინოტიებები = 0,53.) და მოქნილი. ფიჭვის ცილა დიდანის სძლებს, მეტადრე როცა იგი წყალშია. ფიჭვს ხმარობენ როგორც სანივთე, აგრეთვე როგორც საშენებელ მასალის; მისგან აკეთებენ ავეჯეულობას, საოჯახო ჭურჭელსა და შპალებს; ფიჭვის შეზან ნათელი ალი აქვს და ძლიერ ბოლავს; მისი ნაკვერცხალი დიდხანს ინახავს. სიცხოველეს.

მთის ფიჭვი (*Pinus montana*) იზრდება მთიან ადგილებში. მას დერო აქვს დაბალი, იშვიათად 4 საუ. სიმაღლისა, უფრო ხშირად კი 2—3 საუ.; ცილა ჩვეულებრივი ფიჭვის ცილისთვის აქვს, ხოლო მაზედ უფრო წებოიანია, უფრო მკვრივი, მაგარი და მძიმე (მშრალის ნიშანი. წონა 0,83.), იხმარება სახარატო ნივთების გასაკეთებლად.

ზავი ფიჭვი (*Pinus Laricio*) მოიპოვება მხოლოდ ზავი ზღვის სანაპირო ებზე; მისი ცილა ჩვეულებრივის ფიჭვისაზე უფრო წებოიანია, უფრო მკვრივი და მძიმე. (მისი მშრალი ცილის ნიშანი. წონა = 0,57).

ზღვისპირული ფიჭვი (*Pinus maritima*) იზრდება მხოლოდ საქართველოში (მაგ. ბიჭვინთას ჭალა). ვერტიკალით იგი ზღვის დონედან 150 საუ. სიმაღლემდე გავრცელებული; ცილა უფრო დაბალი თვისებისა აქვს; ვიდრე ჩვეულებრივს ფიჭვს.

პინია (*Pinus pinica*) ხარობს უმთავრესად სამეგრელოსა, გურიასა და აჭარაში; მისი დერო 10 საუ. სიმაღლისაა და 70 გოჯის დიამეტრისა, გაშლილი ქოლგის მსგავსი წვერიანი. მას რგავენ ბალების გასამშვერებლად. მისი ცილა მცირეწებოიანია, მსუბუქი და გამძლე; იგი იხმარება სადურგლო და სახუროვო საქმეში. მისი ნაყოფი ტებილია, გემრიელი და ამიტომაც ხილის მაგიერად ხმარდება.

ელდარის ფიჭვი (*Pinus eldarica*) მხოლოდ ელდარის მინდორში იზრდება.

ნაძვს (*Picea orientalis*) უჭირავს მთელი ტყის $6,6\%$, კ. ი. 400000 დღიური და ცხოვრობს მხოლოდ დასავ. საქართველოსა და ბორჯომის მიდამოებში. ვერტიკალით იგი გავრცელებულია ზღვის დონედან 650—1000 საუ. სიმაღლემდე, სადაც ტყე უკვე ისპობა. ხის სიმაღლე 15—25 საუ., დიამეტრი

კი 2 არშინია. ნაძვის ტყე ფრიად დაბურულია; მას უყვარს ღრმა ხეობები და ჩრდილიანი ფერდობები. ნაძვი ფიქეზე უფრო გამძლეა და ცხრილობს 400. წლამდე. მისი ცილა თეთრია, რბილი, კარგათ იპობა, მსუბუქი (მისი ნიშანდ. წონა 10%, სინოტივზე=0,49) და ფრიად გამძლეა. მას ხმარობენ როგორც საშენებელ და სანივთე მასალას და ზოგან ჩვენში ფიქვსა და სოჭთან შედარებით მას უპირატესობასაც აძლევენ.

სოჭი (Abies Nordmanniana) უჭირავს 6%, ე. ი. 360.000 დღიური და ცხოვრობს უმთავრესად დასავ. საქართველოში, სადაც ხშირად დიდრონ ტყეებს შეადგენს, მაგ. აფხაზეთში ცხოვრობს წიფელთან და ნაძვთან, როგორც დამორჩილებული ჯიში. უმეტეს ნაწილად ტყეების ზემო ზოლშია გავრცელებული 600—1000 საჟ.; მტკვრის ხეობაში კი (ბორჯომში) ჩამოდის 450 საჟენამდე. სოჭი სიმაღლით 22 საჟ., დიამეტრით $2\frac{1}{2}$ არშ.; 500 წელს აღწევს. ეს საუკუნო და გაუვალი ტყეებია, რომელთაც აღამინის ხელი ჯერ არ შეხებია.

სოჭი მრავალ სახერხავ მასალას იძლევა, ხოლო მას ჩვენში ფიქვისა და ნაძვის მასალაზე უფრო დაბალი ფისა აქვს, რაღაც სოჭის ფიცარი აღვილად მრუდლება და ნაფოტლება; ნივთებს, რომელთათვისაც სოჭი საუკეთესო მასალას. წარმოადგენს, ჩვენში დღემდე არ აკეთებდნენ. სოჭის ცილა თეთრი ანუ მოწითალოა, იგი რბილია და მსუბუქი (ნიშანდ. წონა 10%, სინოტივზე=0,44), მდრევი, კარგათ იპობა, გამძლეა, იწვის ნათელი აღით და სწრაფად, მაგრამ მცირე სიცხოველეს იძლევა.

ლფიას (Juniperus) უჭირავს მთელი ტყის 1,1% ე. ი. 65000 დღიური. ჩვენში გავრცელებულია:

დედალი-ლფია (Juniperus excelsa) აღ. და სამხრ. საქართველოში ცხოვრობს ზღვის დონედან 900 საჟენამდე. სიმაღლე 4 საჟ., დიამეტრით 10 გოჯამდეა; ცილა სურნელოვანი, მკვრივი, მაგარი, ვარდის ფერი და ფრიად გამძლე აქვს. მას ხმარობენ დასაკმევად შენობებში, დიდხანს სძლებს, არ ლპება და არ ფუტუროვდება. მისი ცილისაგან კარინდაშების ქარქაშს, ჯვრებსა და სხვა სახარატო ნივთებს სხარხავენ;

ლფია მახვილ-ქიცვებიანი (Juniperus foetidissima) ფრიად მოსრდილი ლფიაა; კარგ პირობებში 7 საჟ. სიმაღლე და 14 გოჯი დიამეტრი აქვს; ხარობს მხოლოდ საქართველოში მთიან მაღლობებზე 900 საჟენამდე ზღვის დონედან. მისი ცილა ფრიად მკვრივია, მოყვითალო, არა ლპება და არ ფუტუროვდება; იგი კარგი ლირსებისაა და შენობებისთვის დაუფასებელია.

თაფლი-ველისა (*Iuniperus oxycedrus*) ცხოვრობს საქართველოში ზღვის დონედან 210 საუკამდე დაბალი ზე 2—3 საუ. სიმაღლისა და 5 გოჯის დიამეტრისაა. ცილა მოწითოლო აქვს, ფრიად გამჩლეა; მისგან კარანდაშების ქარქაშებს სახარხავენ;

მამალი-ლვია (*Iuniperus communis*) ფრიად გავრცელებულია საქართველოში. ზღვის დონედან ტყების ზემო საზღვრამდე 1000—1200 საუ. სიმაღლეზე. იგი დაბალი ხეა, 3 საუ. სიმაღლისა და 2—3 გოჯ. დიამეტრისაა. მისი ცილა თხელი შენივთებისაა, მოწითალო, ყვითელ-გულინი და მოთეთრო გარსიანი, აგრეთვე სურნელოვანი, მკერივი, მაგარი და მსუბუქი (მშრალის ნიშანდ. წონა=0,62.). მისგან აკეთებენ ზატარპატარი საღურგლო და სახარატო ნივთებს, ჯოხებს, ქოლვის ტარებს, ვენახების საჩებს და სხვას; ნაყოფს წამლად ხმარობენ და მისგან არაფუაც ხდიან;

ყაზახთა-ლვია (*Iuniperus savi*):) იზრდება მაღალ მთებზე.

ძელი---ულპობელი (*Faxus vuccata*) ცხოვრობს ზღვის დონედან 700—800 საუ. სიმაღლემდე; იზრდება გვიან და ამიტომ მცირე ტყის ხასიათი აქვს; სიმაღლე; მისი 5 საუ, დიამეტრი 12 გოჯამდეა.. მისი ცილა ფრიად წვრილი შენივთებისაა; იგი ყვითელი ან რუხია, მკერივი, მაგარი, მდრეკი, (მშრალის ნიშანდ. წონა, 0,63) და ფრიად გამძლეა. ის წარმოადგენს მშვენიერ საღურგლო და სახარატო ხასიათს. მისგან აკეთებენ ავეჯეულობას, იარაღების ტარებს, ეტლის ნაწილებს და სხვას. ტყის მეურნეობაში მას მცირე მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი გაძლიერებული ექსპლოატაციის გამო ჩვენში იგი აქა-იქლა მოიპოვება.

არყი (*Betula*) უეაღგენს 3,8%/, ე. ი. 230000 ლლ.

არყი - ჩვეულებრივი (*Betula alba*) ცხოვრობს საქართველოში 700—1000 საუ. სიმაღლეზე. ხის სიმაღლე 8 საუ, ფრიად დაგრძებილია. ცილა თხელი შეეებიანია, თეთრი, რბილი, (მშრალის ნიშანდ. წონა=0,64) ჭოდნავ გამძლე. ჩვენში არყს ხშირად არ ხმარობენ, რადგან იგი მიუვალ ადგილებში იზრდება; მას უმთავრესად შეშად ხმარობენ.

თელას (*Ulmus*) 3,2% ადგილი უჭირავს, ე. ი. 190000 დღიური. მისი ჯიშებია:

თელამუში (*Ulmus campestris*) მოიპოვება 1 ვერსის სიმაღლემდე; ხის სიმაღლე 10 საუკამდეა, დიამეტრი 2 არშ.; ცილა მსხვილი შენივთებისაა, საკმაოდ მაგარი, (მშრალის ნიშანდ. წონა=0,69), მდრეკი, ფრიად გამძლე და ადგილიად სახარხავი; ხმარობენ ეტლების, ავეჯის და მანქანების გასა-

კეთებლად; სძლებს 300 წელს. ზოგიერთ თელამუშაჟ მოინახება 50—70 ფუთ. მწვენიერი სახეებიანი გამონაწვეთი, რომელიც სახარატოსთვის ძვირფას მახალას წარმოადგენს;

თელადუშა (Ulmus montana) განსაკუთრებით მთის ხეა; თვისებებით და ტირსებით თელამუშისგან არ განიჩევა.

თელა (Ulmus effusa) ფრიად იშვიათი ხეა, მისი ცილა თელამუშისას წააგავს; თელა ფრიად ძვირფასი სანივთე ხეა.

ძელქვა (Veltkowa ereuala) მხოლოდ დასაყ. საქართველოსა და ადერბეიჯანში (ლენქორანის მაზრაში) მოიპოვება, ისიც განსაზღვრული რაოდენობით. ხე თანდათან ისპობა და სამეურნეო მნიშვნელობაც ეკარგება.

მურყანი (Alnus) 2,9% შეადგენს, ე. ი. 175000 დლ. უჭირავს. მისი ჯიშებია:

შავი—მურყანი (Alnus glutinosa) იზრდება ყველგან ჩვენში ნოტიო ადვილებზე ზღვის დონედან 100 საეკნამდე. ხის სიმაღლე 10 საუ., დიამეტრი 20 გოჯი; მისი ცილა მსხვილი შენივთებისაა, მოწითალო, რბილი, მსუბუქი (ნიშანდ. წონა 100% სინოტიებე=0,53.), მქისე, წყალში გამძლე, ხოლო ჰაერზე კი ადვილად დამლპობი. მისგან აკეთებენ მარგილს, წყლის სადენ ღარებს, კის კეხს, მაღაროების სვეტებს, საღურგლო და სახარატო ნივთებს. შავი მურყანი შეიცავს 60%, სანივთე ცილის;

თეთრი მურყანი (Alnus incana) არ არის სის გავრცელებული, როგორც შავი. იგი მოიპოვება მთავარი ქედის მთებში ზღვის დონედან 800 საუ. სიმაღლემდე. მისი ცილა შავი მურყანისას ჰგავს, ხოლო უფრო ბაცია და მკვრივი.

ნაკერჩხალი (Acer) 2,8% შეადგენს, ე. ი. 169000 დლ. უჭირავს. მისი ჯიშებია:

ლეკის—ხე (Acer glutinosa) საქართველოში ყველგან ხარობს, როგორც მეორე ხარისხოვანი ჯიში, ზღვიდან 100 საუ. სიმაღლემდე. ხე 7 საუ. სიმაღლისაა, დიამეტრით 9 გოჯია. ცილა მკვრივი აქვს. მასთან მაგარია, ოდნავ იპობა (მშრალის ნიშანდ. წონა=0,70). მას ხმარობენ, როგორც სანივთე მასალას, წვრილმან სახარხავი და სახარხავი ნივთებისათვის. მისი შეშა და ნაბრიო კარგი ლირსებისაა;

ლამაზი ნაკერჩხალი (Acer lacium) განსაკუთრებით საქართველოში ხარობს; იგი მთის ხეა. სიმაღლე მისი 10 საუ., დიამეტრი კი 16 გოჯი. მისი ცილა მკვრივია; მასთან თეთრი, მაგარი და გმოსაღეგია ნივთებისათვის, ხოლო გასავალი ჩვენში. დიდი არა აქვს.

ქორაფი (*Acer platanoides*) ხარობს 250 – 800 საე. სიმაღლეზე; ზის სიმაღლე 10 – 11 საე., დიამეტრი 16 გოჯია. ცილა თანასწორი ზომიერი შენივთებისაა; იგი მკვრივია, მასთანვე მაგარი და ბრწყინვალე თეთრი მოყვითლო ნაკვთით და ძნელათ იპობა. მას ხმარობენ საღურგლო, სახარატო და საეტლე მასალად; მისგან აკეთებენ სავარცხლებს, იარალის ტარებს, მუსიკალურ საკრავებს, თებშებს; კოვზებსა და სხვ.

დიდებული – ნაკერჩხალი (*Acer insigne*) იზრდება განსაკუთრებით კახეთსა და ლენქურანში; იგი დიდი ხეა: მისი სიმაღლე 15 საფენამდე; დიამეტრით კი 20 გოჯია. ლერო აქვს სწორი და ხშირ-შტოებიანი; მსხვილი და ლამაზი ფოთლები ასხია.

ნაკერჩხალის ლეროში ტკბილი წვენი მოიპოვება, რომლისგანაც შეიძლება შაქრის ლამზადება. ამას გარდა, იგი საუკეთესო სანივთე ხეს წარმოადგენს; მისი ცილა მუხხისას არ ჩამოუვარდება.

იფანს (კობიტი) (*Fratinius*). უჭირავს 2, 6%₀ ე. ი. 157000 დოური. იგი ჩეენ-ში ყველგან, ხარობს და მეორე ხარისხოვან ტყეს შეადგენს; 800 საე. სიმაღლემდე გავრცელებული. კარგ პირობებში იგი 15 საე. სიმაღლისაა, დიამეტრით კი 16 გოჯი; მისი ცილა თეთრ-ყვითელი, მკვრივი და წვრილი შენივთებისაა; იგი მძიმეა (მშრალის ნიშანდ. წონა=0,75), მაგარი, მდრევი და დიდხანს ვერა სძლებს. ხმარობენ საივეჯო, საღურგლო და საეტლე მასალად; მისგან აკეთებენ საჭებს, სალტებს და მიწის დასამუშავებელ იარალებს. იფანი ცოცხლობს 300 წლამდე.

ცაცხვი (*Tilia*) შეადგენს 2,5%₀, ე. ი. 151000 დოურს. ხარობს 700 – 800 საუკენამდე ზღვის დონედან. ცაცხვი ფრიად სასარგებლო ხეა. მისი ცილა რბილია და მსუბუქი (მშრალის ნიშანდ. წონა=0,45); ხმარობენ საღურგლო მას სალად და შენობებისთვის: მისგან აკეთებენ იატაკს, კერს, ჭურჭელს (ვარცლებს, კასრებს, თებშებს, სკებს); ხმარობენ აგრეთვე სახარატოდ. ცაცხვის ლაფანისგან აკეთებენ ჭილოფს და ნეჭის. ცაცხვი სძლებს 800 წლამდე. საქართველოში ცაცხვის ცილას, როგორც სანივთე მასალის, დიდი ფასი აქვს.

ტირიფი (*Salix*) შეადგენს 1,2%₀, ე. ი. 725000 დოურს. ჩეენში ხარობს ტირიფის შემდეგი ჯიშები: კატატირიფა, ძეწნა, მარნა და სხ. ამ ჯიშთა უმრავლესობა დაბალ ბუჩქებს წარმოადგენს. მათი ცილა მსხვილი შენივთებისაა, რბილი, მსუბუქი, ზოგისა ფრიად მდრევი, ზოგისა კი მშენე. ხმარობენ კალათების, გოდრების, კანების და ტყრუშულების საწნავად. ტირიფის ქერქს ტყავის მოსაქნელადც ხმარობენ.

წაბლი (Castanea rescea) შეადგენს $1,3\%$, ე. ი. 78500 დღიურს და იშვიათად ცხოვრობს 700 საჟ სიმაღლეზე. წმინდა წაბლის ტყეები ჩვენში თითქმის არ არის. ხის სიმაღლე 12 საუკინა, დიამეტრი კი 16 გოჯი. მისი ცილა რუხი ფერისაა, მაგარი და მასთან მსუბუქი (მშრალის ნიშანდ. წონა=0,56); იგი დიდხანს სძლებს, მეტადრე ნოტიო ადგილებში. ხმარობენ საშენებელ და საღურგლო მასალად; წაბლი ადვილად არ ლქება; ნაყოფს ხალხი საჭმელად ხმარობს; სძლებს 200—300 წლამდე - ზოგჯერ ხუთას წელსაც.

თხილი (Corylus) შეადგენს $0,7\%$, ე. ი. 42500 დღიურს. მისი ჯიშებია: გარეული — თხილი (Corylus Avelana) ხარობს ყველგან ზღვის დონედან 800 საჟ. სიმაღლემდე. თხილი მაღალი და ხშირი ბუჩქია, გემრიელ-ნაყოფიანი. მისი ცილა წვრილი შენივთებისაა, მსუბუქია, (მშრალის ნიშანდ. წონა=0,64), რბილი, ფრიად მდრევი, ხმარობენ კარშიკების, ტყრუშულების, ჯოხების, ჩიბუხების ტარების და სარების გასაკეთებლად. ნაყოფს ხალხი საჭმელად ხმარობს;

დათვის — თხილა (Corylus colurna) ხარობს განსაკუთრებით საქართველოში მთების შენა ზოლში 500—800 საჟ. სიმაღლეზე ზღვის დონედან. ხის სიმაღლე 10 საჟ, დიამეტრი კი 16 გოჯი. ხე პირამიდის მსგავსია, სწორ-ღრუიანი; მისი ცილა წვრილი შენივთებისაა, მკვრივი; გამძლე და ლამაზი. ხმარობენ საავეჯო და სახარატო მასალად; მისგან აკეთებენ ფიცრებს და შენობების კოჭებს.

ბზა (Buxus sempervirens) ხარობს უმთავრესად დასავ. საქართველოში ზღვის დონედან 500 საჟ. სიმაღლემდე და უჭირივს $0,2\%$, ე. ი. 12000 დღიური. მისი ცილის თვისებების გამო ბზა ფრიად ძვირფასი ხეა. იგი წვრილი შენივთებისაა, მქრთალი ყვითელი, ფრიად მკვრივი და მძიმე (მშრალის ნიშანდ. წონა=106), ძვალივით მაგარი და გამძლე. ხმარობენ სახარატო და საღურგლო მასალად, მეტადრე ქანდაკებისათვის დიდ საფასურს წარმოადგენს. ხის სიმაღლე 7 საჟ., დიამეტრი კი 6 გოჯი. იგი დიდხანს სძლებს, ხოლო სიბერიკურის ღროს გული ულპება.

კაკალი (ნიგვზის ხე) (Iuglans regia) ხარობს ყველგან ზღვის დონედან 700 საჟ. სიმაღლემდე. მისი ცილა შესანიშნავი თვისებისაა, რის გამოც იგი სხვადასხვა - ხელოსნობისათვის გამოსადეგია; ცილა მაგარი არ არის (მშრალის ნიშანდ. წონა=0,58), ხოლო მკვრივია, მოქნილი, ნაზი და შშვენიერად იჩარება, — რუხი ფერისაა და გამონაწვეთში მშვენიერი სახეებიანია. ამ გამონაწვეთების წონა 40 ფუთამდეა; ცილს გარდა კაკლის ქერქი ტყავის მო-

საქნელიად იხმარება, ნაყოფს საჭმელიად ხმარობენ; უკანასკნელისგან ზეთსაც ხდიან. კავალი სძლებს 200 წლამდე.

გარეული — მსხალი (*Pyrus communis*) ხარობს ყველგან 1000 საჟ. სიმაღლემდე. ცილა წვრილი შენივთებისაა, მკვრივია, მაგარი და გამძლე, მშვენიერადაც იჩარხება. სხვადასხვა ნივთების გასაკეთებლად მშვენიერ მასალას წარმოადგენს. ნაყოფი მისი მწკლარტეა, მყნობის შემდეგ კი გემრიელი. განსაკუთრებით ჩვენს მაღალ მთებზე მოიპოვება ერთვარი გარეული მსხალი, რომელსაც სახელიად პანტას უწოდებენ.

გარეული — ვაშლი (*Pyrus Malus communis*) გავრცელებულია 750 საჟ. სიმაღლემდე ზღვის დონედან. ხის სიმაღლე 4 საჟ. მისი ცილა წვრილი შენივთებისაა, მკვრივია და საჭმალ მძიმე (მისი ნიშანი, წონა = 0,75.). ხმარობენ: სახარატო ნივთების გასაკეთებლად; მისი მუავე ნაყოფისაგან მარს ამზადებენ; მისიანვე მურაბასაც აკეთებენ. მყნობის შემდეგ ნაყოფი უკეთესდება და ადგილობრივ ალებ-მიცმობაში კარგი გასავალი აქვს.

გარდა ზემომოყვანილი მცენარეებისა, ჩვენს ტყეებში ხარობენ — ალვის ხე, ვერხვი, ოფი, ჭანდარი (*Platanus*), ქრისტეს-გვირგვინი (*Gleditschia*), ლობიოს-ხე (*Robinia*), თუთა (*Morus*), შვინდი (*Cornus*), ფშატი (*Eleagnus*), ქედვი (*Palirius*) და სხვა.

თუმცა საქართველო ტყით ძალიან მდიდარია, მაგრამ მისი ექსპლოატაცია დაბალ საფეხურზე სდგას.

1911 წლის ცნობები

დანიშნული ნამდვილად კი გაცემულია იყო გასაცემ მოხარდ. ტყე ქველი ტყე	ს უ ლ				% ებში
	მასსა	მასსა	მასსა	მასსა	
კ უ ბ ი კ უ რ ი ს ა ჟ ნ ე ბ ი					
თფილისის საზოგად.	94736	24220	19238	43458	46%
ქუთაისის	139777	29419	7355	36774	28%
ს უ ლ	234513	53639	26593	80232	34%

ტყის ასეთი მცირე ექსპლოატაცია აიხსნება იმით, რომ 1) ადგილობრივ მცხოვრებთ უფასოდ დიდალი ტყე ეძლევთ; 2) ტყის ვაჭრობა საქართველოში საემალ არ არის განვითარებული, რადგან ტყის მრეწველნი ჩვენში თითქმის არ მოიპოვებიან და 3) ტყის გზები თითქმის არა გვაქვს. მაგრამ დასახელებულ

მთავარ მიზეზთა შორის უგზონბა ყველაზე უფრო აფერხებს ტყის გაშენებას და მის რაციონალურ ექსპლოატაციას.

ჩვენი ტყეები ბევრგან დაუზოგველად გაფუჭებულია ხალხისა და პირუტყის მიერ; მხოლოდ აქაიქ მოიპოვება დაბურული ტყე 300—400 ჰარისა. საქართველოს ტყეების უძვირფასები მასალა — კალის გამონაწვეთი და ბზა მეტად შემცირებულია უხეში ექსპლოატაციის გამო. საქართველოს ტყეების სივრცე მოყვანილია ამ ტაბულაში:

ადგილები	ტყეების სივრცე დღიურებით	საზოგადო სივრცეს 100 დღიურზე ტყე დღიურებით
ამერეთი	2488000	30,5
იმერეთი	3556000	47,7
ს უ ლ	6044000	38,8

ჩაის ხის კულტურა საქართველოში.

ჩაის ხის კულტურა ამ ბოლო დროს საქართველოში ფეხს იკიდებს — სახელდობრ ქობულეთსა, გურიასა და სამეგრელოში; ამ დარგის პირველი ცდა დიდ წარმატებას გვაჩვენებს, რაც სხანს ქვემოდ მოყვანილი ტაბულიდა:

წ ლ ე ბ ი	პლანტაციონთა რიცხვი	ნ ე რ გ ზ ა ს ი ვ რ ც ე	მ თ ს ა ვ ა ლ ი
1911	—	39 ლლ. 1000 ოთხ. საუ.	11890 გირგანქა.
1912	—	52 " 700 " "	15800 "
1913	—	58 " 700 " "	22793 "
1914	—	59 " 1000 " "	25500 "
1915	249	138 " 457 " "	27648 "
	249	347 " 1457 " "	103631 "

საყურადღებოა, რომ სახაე მამულები საქართველოში პატარპატარაა, გარდა ნაკაშიძის მამულისა, რომელიც 24 დღიურს შეიცავს, სოფ. ზედობნის ახლოს, გურიაში.

სივრცე საჩე აღგილებისა 1915 წ. წინა წელთან შედარებით 78 დღ. 657 ოთხკ. საუ. გადიდდა, რაც შეადგენს 134,6% ეს წარმატება აისხება ს. ზეანთან (ოზურგეთის მ.) დაარსებული სახელმწიფო პლანტაციის დაბმარებით. პლანტაციის მწარმოებელმა 1913 და 1914 წლებში უმთავრესად გურიის მცხოვრიბთ უფასოდ დაურიგეს 435 ფუთი თესლი და ჩის ქარხანა გამართეს.

1915 წელს ჩის კულტურის ასეთი სახე აქვს:

მაზრები	პლანტაციონთა რიცხვი	სოფლები	პლანტაციების სივრცე	შეგროვილია ჩის ფოთოლი (გირგ.)
ოზურგეთ.	12	ზედობანი	31 დღ. 600 ოთხკ. საუ.	15640
"	8	ოზურგეთ	4 " 250 "	895
"	16	ზეანი	6 " 160 "	1928
"	15	აკანა	8 " 1050 "	1440
"	186	სხვადასხვა	87 " 100 "	7705
ზუგდიდ.	11	4 "	— " 693 "	40
სენაკისა	1	უტოფორტი	— " 4 "	
ს უ ლ	249	50 სოფ.	138 " 457 "	27648


ჩის ფოთოლს დაიმუშავებდნენ ხოლმე სახელმწიფო, საცდელ პლანტაციაზე, ნაკაშიძის ქარხანაში და კერძო პირნიც შინაურულად:

ქარხნები	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	დაბალ ხარისხის ნარჩენი	ფუნგილი	ს უ ლ
სახელმწიფო საცდელი						
პლანტაცია	50	200	300	300	70	920
ნაკაშიძის ქარხანა	92	—	4213	—	—	4305
კერძო პირნიც შინაურულ	—	—	1671	—	—	1671
ს უ ლ	142	200	6184	300	70	6896

მაშასადამე, ჩის მოყვანის ჩვენში კარგი მომავალი აქვს და ფრიად სასურველი კა, რომ ჩვენს ცხოვრებაში ამ საგნის მეურნეობამ საპატიო აღგილი დაიკროს.




ჩაის მცენარე



ჩაის პლანტაცია

ბამბა ხაქართველოში

ბამბის მოსავალი ჩვენში საზოგადოთ უკანასკნელ წლებში მატულობს. ბამბა საკმაოდ მოდის საქართველოში მტკერის ნაპირებზე და აქ მას კარგი მომავალიც ექნება. დასავლეთ საქართველოში კი ბამბას შედარებით ნაკლები მოსავალი აქვს. აქ მისი აღგილი მყვენახეობას დაუკერია. ამერეთში ბამბის მოყვანა თანდათან მატულობს და იგი აქ სულ ახალახალ აღგილებს იჭრს. აქ ბოლო დროს რიგობითი თესვა იყიდებს ფეხს. ბამბის კულტურა მატულობს, რაღაც მას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს; მცხოვრებთა შორის ვრცელდება სალი და საუკეთესო ანდეუნში პირველად მოკრეფილი ამერიკული ბამბის თესლი; ამასთანავე ზოგმა მექარხნემ ბაზარში საუკეთესო თესლი გამოიტანა, რაღაც შეიგნო, რომ კარგი ლირსების თესლს კარგი ბამბაც მოაქვს. მაგრამ ყველა ეს ცდა წვეთია ზღვაში და ბამბის მოყვანის საკითხი დღესაც გადაუწყვეტელია.



საზოგადოდ აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ბამბა მოდის იქ, სადაც მშრალ ჰავასთან ერთად ნოტიო ნიადავია; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აღვ.-სა-

ქართველოში ბამბის მოყვანა თანდათან მატულობს, დასაც. საქართველოში კი, შედარებით, მცირდება, რასაც ცხადად მტკიცებს შემდეგი ტაბულა:

ადგილი	რაო?	1909	1910	1911	1912	ს უ ლ
ამერეთი	დღ.	1040	—	3200	—	10000
	ფუთ.	—	7800	—	27000	—
იმერეთი	დღ.	1700	—	3800	—	5400
	ფუთ.	—	8500	—	28700	—
ს უ ლ	დღ.	2740	—	7000	—	15400
	ფუთ.	—	16300	—	55700	—
				90000	—	41440
					99000	—
						261000

თამბაქო და მისი მრეწველობა.

თამბაქოს რაიონი, მისი კულტურის განვითარების მიხედვით, როგორც დამოუკიდებელი მრეწველობა, საქართველოში ოთხია: სამეგრელოსა, იმერეთ-სა, კახეთისა და საინგილომში. ოთხსავე რაიონში მოჰყავთ განსაკუთრებით უმაღლესი ჯიშის თამბაქო, რომელიც ბლომად გააქვთ. საზღვარგარეთ თამბაქოს კულტურის ამ მთავარი ცენტრების გარდა, თამბაქოს პლანტაციები მოიპოვება კიდევ სპორადიულად ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში, ხოლო მათი რაოდენობა ფრიად მცირება და მასთან დაბალი ხარისხის თამბაქოსაც იძლევინ; უმეტეს შემთხვევაში იგი ბაზარზე არ გამოდის და ადგილობრივ იხმარება სოფლელების მიერ უჯახურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ კუთხეებს შორის აღსანიშნავია ახალციხისა და ახალქალაქის რაიონი, სადაც თამბაქო ასმაღური თესლისაგან მოჰყავთ, რომელიც ძლიერ გადაგვარებულია. ამ თამბაქოს დიდი ნაწილი ადგილობრივ ქარხნებში მიდის. ჩვენი თამბაქოს მოსავლის რაოდენობა სჩანს შემდეგი ტაბულიდან:

	სოფლები. რიცხვი	პლანტაციების რიცხვი	სივრცე დღიუ- რებით	თამბაქოს მოსავალი უმაღლ. ხარისხ. დაბალ ხარისხ.	
სამეგრელო	109	9293	17649,4	425400	—
იმერეთი	263	6238	765,0	19041	—
კახეთი	28	1526	2461,8	106610	—
საინგილო	12	223	637,4	29333	377
ჯავახეთი	30	426	127,0	3674	—
ს უ ლ	442	17706	21640,6	584058	377

თამბაქოს საზოგადო შემოსავალ-გასავალი პლანტაციებზე.

დარჩა 1914 შეგრ. 1915 წლ.	დარჩა 1916 წლისთვის	გაყიდულა 1915 წლ.	გა უ ში დი თ ქარ. და საწყ. რუსეთში
686104 ფ. 584435 ფ.	556175 ფ.	714364 ფ.	681893 ფ. 32471 ფ.

საქართველოში 1915 წელს 72 თამბაქოს საწყობია; მაგალ.

ქართლ-კახეთში	—	—	—	—	—	9 საწყობი.
იმერეთში	—	—	—	—	—	1 "
სამეგრელოში	—	—	—	—	—	62 "
ს უ ლ	—	—	—	—	—	72 "

1915 წლის განმავლობაში საქართველოში მუშაობდა 7 ქარხანა, მათ შორის

თფილისში	6	დაუმუშავებიათ 81735 ფ.	ქარხნები	91885 ფ.	ქარხან. დარჩა 10150 ფ.
ქუთაისში	1	" 1265 "	იყო	1436 ფ.	" " 171 "
ს უ ლ	7	" 83000 "	"	98321 "	" " 10321 "

საქართველოს ქარხნების საწყობებში თამბაქოს ფოთოლის მოძრაობა:

	საზღვარგარეთიდან აღდილ. უმაღლ ხარისხ.	თუთუნი	ს უ ლ	
დარჩა 1915 წლისთვის შემოვ. 1915 წლ. განმავლ.	1 ფ. 84 ფ.	9338 ფ. 80540 "	1290 ფ. 10386 "	101629 ფ. 91010 "
სულ საწყობებში იყო გაიყიდ. 1915 წლ. განმავლ.	85 "	89878 "	11676 "	101639 "
დარჩა 1916 წლისთვის	— "	9701 "	1371 "	11072 "

ამ ტაბულიდან სჩანს, რომ საწყობებში ყოფილი თამბაქოდან $89,1\%$, გაიდულა, ხოლო გაუყიდვი დარჩენილა $10,9\%$; სხვათა შორის უმაღლესი აბრისხის თამბაქო $89,2\%$ გაყიდულა, ხოლო თუთუნი $88,2\%$. მაშასადამე, თამბა-

ქოს აღებ-მიცემობა რიგიანად არის ჩვენში მოწყობილი. მხოლოდ ამ დარგს ჩვენში ერთადერთი ნაკლი აქვს: პლანტატორები თამბაქოს ჯიშის გაუმჯობესებას მცირე ყურადღებას აქცევენ და ამის გამო ჩვენს თამბაქოს საზღვარგარეთ საკმაო გასავალი არა აქვს.*

* აქ მოგვყავს სია ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საცდელი და მაჩვენებელი მინდვრებისა:


1. ყარაიაზის ბამბის საცდელი მინდორი,
2. ზაქათალის ბამბის საცდელი და მაჩვენებელი მინდორი,
3. კულაშის ბამბის საცდელი მინდორი სამტრედიას ახლოს,
4. ოზურგეთის თამბაქოს საცდელი პლანტაცია,
5. ართვინის ზეთის-ხილის და ხეხილის საწერებე.

ამერიკული ვაზის საწერებები:

1. ალაინისა (სადგ. ქსანი. გორის მ.), 2. კარისუბნისა (სადგ. ყვირილა, შორაპნის მ.), 3. კონდოლისა (ქ. თელავის მახლობლად.), 4. საქარისა (სადგ. ყვირილა.)

საცდელი სადგურები:

1. საქართველოს აბრეშუმის ჭიის სადგური (ქ. თფილისი), 2. ბოტანიკური ბადები — თფილისი, ბაკურიანი და ცხრაწყარო, 3. საბაღოსნო და სასოფლო — სამეურნეო საცდელი სადგურები — სოხუმი და სოჭა, 4. ოძისის საბაღოსნო სადგური (დუშეთის მ.), 5. ციის მაჩვენებელი მინდორი (ჭიათური, სიღნ. მ.).



საქართველოს მეურნეობის

დიაგრამა

საქართველოში ითხება

საქ. აღილ	დღიური	პური	შვრია	ქერი	სიმინდი	ასლი	ფე
ამერეთი	750474 6927336	1624596 112212	28980 2581642	749553 1009461	117315 17142	5952 1714	965
იმერეთი	669784 1335252	175656 3203	531 232410	57911 23940579	1179913 —	— —	169 169
სოჭის მ.	6000 19772	2856 8666	1245 959	108 187812	7546 —	— —	
სულ	1426222 8182360	1903108 124081	307.6 2817011	807572 25137852	1304774 17142	5952 11	83

ამ ტაბულის პირველ სტრიქონებში მოყვანილია დათესილის ოდნობა,
რომლის აღნი

საქართველო

ადგილები	სათესი	ტყვები	ვენახები	საძოვრები	სათის
თბილისის გ.	409182	1049007	20452	5116.37	72
ზაქათლის გ.	35743	115104	777	110730	
ქუთაისის გ.	329588	849525	19876	315847	35
სოხუმის გ.	112800	418837	7323	143908	
სულ	8873.0	2492473	48428	1082122	

ამ ტაბულაში მოყვანილი სიექ

ჯის (ცნობა 1915 წლისა)

სამიზნი	ჩალთუკი	შვავი	ბურღული	ს. საპურე	ს უ ლ	დღიურზე
—	15892	378	2400	18000	2572718	3,43 კლი
—	110312	1185	4800	111330	10841600	14,44 „
1284	—	577	—	31770	7549338	2,3 „
2368	—	1470	—	197520	25749762	38,4 „
—	—	245	—	90	12103	2,02 „
—	—	1204	—	3198	221745	36,96 „
284	15892	1200	2400	49860	4134159	2,9 „
68	110312	3857	4800	312048	36813107	25,8 „

3ში მოსაფლისა, ნათესები და მოსავალი გამოანგარიშებულია კოდობით;
არის აქ მიღებული.

შულები:

სი	ბოსტანი	თამბაქო	ჩ ა ბ	ს. ნათეს.	გამოუსად.	ს უ ლ
181	689	1230,9	—	59704	489220,1	2617500
5	—	318,7	—	—	21033,3	364800
—	—	382,7	69	38	412167,3	1930730
68	—	8824,7	—	3457	60304,3	755522
1	689	10757	69	63199	982775	5668552

ობითაა გამოანგარიშებული

საქონლის მოშენება საქართველოში.

საქართველოში საქონლის მოშენების რაიონები: კახეთი, აფხაზეთი და ჯავახეთი. კახეთი ტოპოგრაფიულად ორ ნაწილად იყოფა: ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილებად; პირველი მთიანია და მრავალი ხეობებით და კლდოვანი ლრეებით არის დასერილი. იგი მდიდარ საძოვარი ადგილებს წარმოადგენს. მეორე ნაწილი თავის მხრივ ორად იყოფა: ერთი ნაწილი ალაზნის ჩრდილოეთით მდებარეობს, ხოლო მეორე კი სამხრეთით. პირველი იმათვანი ოდნავ დაჭან ებულია და კარგადაც იწყვის მთავარი ქედიდან გამომდინარე ნაკალულებით; იგი მცენარითაც მდიდარია. მეორე ნაწილი მინდერის ხასიათისაა; იგი ზაფხულში უწყლო და გადამწვარ უდაბნოს წარმოადგენს, ზამთარში კი აქ საქონლისთვის მშენებირი საძოვარი ადგილებია. ამით აიხსნება, რომ კახეთი უუძველესი დროიდან განთქმული იყო საქონლის მოშენებით, მეტადრე ცხვრისა და კამერისა. მდიდარ მეცხვარეებს რამდენიმე ათასი ცხვარი ჰყავთ. ცხვრის რძისაგან ყველს აკეთებენ (ოუშური ყველი), მატყლს ჰყილის, ნაწილს შინაურულად ართავენ და შალებს, ჯეჯიმებს; ხალიჩებს ქსოვენ, ნაბდებსა და ქუდებს თელავენ.

მიუხედავად იმისა, რომ კახეთს ამ დარგში პირველი ადგილი უჭირავს, საზოგადოთ საქონლის მოშენება აქ მაინც არ არის კარგ ნიადაგზე დაყენებული. ამის მიზეზებია: 1. ბრინჯისა და თამბაქოს პლანტაციების, კენახებისა და თხილნარის გაშენებისაგან. გამოწვეული საძოვარი ადგილების შემცირება, 2. საქონლის მოვლა – შენახვის უკოდინარობა, 3. საქონლის ჯიშის გაუმჯობესობის უსისტემობა და 4. საქონლის სხვადასხვა სნეულების გავრცელება. (იხ. ტაბულა „საქონლის ავადმყოფობა“).

საქონლის მოშენებაში შეორე ადგილი უჭირავს ქართლს. (იხ. ტაბულა „საქონლის რაოდენობა საქართველოში“).

ქართლში ვაკე მდებარეობის გამო სახნავი ადგილები ბევრია და ამიტომ აქ მიწას ყოველ წელს დასასვენებლად სტოვებენ. ამ მიწაზე კარგი ბალახი იზრდება. ეს გარემოება ხელს უწყობს. შინაური საქონლის მოშენებას, აქ აშენებენ მხევილფეხ რქინ საქონელს და სხვათა შორის კამერსაც. ხშირია ისეთი ოჯახი, რომელსაც 30—40 სული მსხვილფეხი საქონელი ჰყავს. წვრილფეხ საქონელში აქ აშენებენ ცხვარს. ზაფხულობით ცხვარს მთაში მოერევებიან, ზამთრობით კი ბარში ჩამოჰყავთ.

მსხვილფეხი საქონელი დაბალია და ცოტასაც იწველის; იგი ორი ტიპისაა: მთისა და ბარისა, მთის ტიპის საქონელი მსხვილ-ტვლიანია, მოკლე-თავიანი,

მოკლე-რქიანი და სქელტყავიანი; ბარის ტიპისა კი ვიწრო თავ-მკერდიანი, თხელ-ტყავიანი და ნაზი აგებულობისაა. აქა-იქ საქართველოში მოიპოვება მაღავნური ჯიშის საქონელიც (სამხრეთ-საქართველო).

კამეჩის მოშენებას ხელს უშლის სხვადასხვა სნეულებანი (იხილე ტაბულა); მიუხედავად ამისა, მას ცენტე დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგან ჩვენში: მაგ., ქართლსა, კახეთსა, აფხაზეთსა და სამეგრელოში (იხ ტაბულა). სვანეთ-ლეჩ-ხუმში კი კამეჩის სრულიად არ აშენებენ.

კველაზე მეტი მნიშვნელობა საქართველოში აქვს ცხვრის მოშენებას. ძრავალ ცხვარს აშენებენ კახეთსა და ქართლში. ნაკლები მნიშვნელობა მეცხვარეობას აქვს გურია-სვანეთი ლეგენდში. ცხვრის მოშენებამ ამ ბოლო დროს საქართველოში იკლო, რადგან ხენა-თესვამ ჩვენში იმატა და ამის გამო საძოვარი ადგილები შემცირდა. იქ, სადაც უწინ დიდიალ ცხვარს აშენებდენ, ეხლა მცირე რიცხვოვანი ფარები-ლა მოიპოვება. მაგრამ ჩვენში ცხვარს მაინც საკმარი აშენებენ, რადგან იგი ხალხისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს; ცხვარი იძლევა მატულს, ხორცს, ტყავს, ქონს, რძესა და ყველს.. ეს მოილებს კარგიდ აქვთ შეგნებული და, მიუხედავად მიწას სიმცირისა, ცხვარს მაინც ბლომათ აშენებენ.

საქართველოში განსაკუთრებულ აშენებენ თუშური და ლეკური ჯიშის დუმიან ცხვარს.

იმერეთში საქონლის მოშენებას ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული.

თხას საქართველოში ცხვარზე უფრო ნაკლებათ აშენებენ. იგი მდარე ჯიშისაცაა, თუმცა ეს პირუტევი თავის შემოსავლის და სხვადასხვა ნაყოფიერების გამო (რძე, გინვლი, ტყავი, რქა, ბალანი) დიდ ეკონომიურ ინტერესს წარმოადგენს.

ჩვენში არ მოიპოვება საქონლის ხეირიანი მოსაშენებელი ქარხანა, რომლის დანიშნულებაა გააუმჯობესოს ჯიში ცხველისა და, მაშასადამე, ამ დარგის შესაფერ საფეხურზე დაყენებისთვის საჭიროა შეექცეს მას სათანადო ყურადღება; ბუნებრივი პირობები კი ამ დარგის გასაუმჯობესებლად, მეტადრე იღმ. საქართველოში, საუკეთესო ხელსაყრელია.

შინაური ფრინველის მოშენებას ჩვენში მცირე ყურადღებას აქცევენ, თუმცა ამისთვის საუკეთესო პირობებია. შინაურ ფრინველს საკმარისად არ ჰქვებავენ და იგი ღვთის ანაბარაა მიგდებული.

იმერეთში რქიანი მსხვილი საქონელი, გარდა თვითეული გამონაკლისა, დაბალი ლირსების ჯიშისა და მისი რაოდენობა, შედარებით მოსახლეობის.

რიცხვსა და სიკრესთან, ფრიად მცირება. აქაც საქონლის მოშენებას ხელს უშლის საძოვრების სიმცირე და სათაბების უქონლობა. ზამთრობით აქ საქონელს განსაკუთრებით ჩალით (ფუქეჩით) ჰკვებავენ. ადგილობრივი ცხენების ჯიშიც დაბალი ღირსებისა და უფრო საჯდომად და ტვირთის საზიდავად არის გამოსადევი. ყანაში სამუშაოდ უპირატესობას კამეჩის აძლევენ, რადგან იგი აქ უფრო გამძლეა და დაბალი ღირსების საკვებაც მოითხოვს. ცხვარი და ღორი აქ მხოლოდ დაბალი ღირსების ჯიშისა იციან და ისიც მცირე რიცხვოვანი. ამ უკანასკნელ ღროს იმერეთში საქონლის მოშენების გასაძლიერებლად მცხოვრებლებმა საკვები ბალახის თესვა შემოიღეს.

საქონლის მოშენებას სვანეთში მცირე ადგილი უჭირავს. ხანგრძლივი ზამთრის გამო მცხოვრებთ არ შეუძლიათ მრავალი საქონელი იყოლიონ. შეძლებული სვანი იძულებულია შეამციროს თავისი საქონლის რაოდენობა, რადგან მას არ შეუძლია საქონელს. ზამთრისთვის საკმაო საკვები დაუმზადოს. საშუალო შეძლების სვანს ჰყავს 10 – 12 ძროხა, ამდენივე ხარი, 2 – 3 ცხენი, 30 ცხვარი და 15 – 20 ღორი; ღარიბს კი – წყვილი ხარი, ძროხა, 3 – 4 ცხვარი და ღორი. უამისოდ სვანს არ შეუძლია თავისი ოჯახით ცალკე იცხოვროს. აქაური მსხვილი საქონელი ლამაზია და გამძლე; მისი ხორცი ფრიად გემრიელია.. მეწველი ფური დღეში $\frac{1}{2}$ ვედრო. რძეს ღწველის. მას უფრო მეტი რძე ექნებოდა, პატრონსა რომ უკეთესათ მოევლო. მსხვილი საქონლის ტყავისგან სვანები შინაურ ფეხსაც-მელს იკერვენ, ან მას ლეჩხუმში ჩითზე სცვლიან; ცხვრის ტყავისგან-კი ქურქებს იკეთებენ.

საქონლის მოშენება აფხაზეთში მცხოვრების პირველ საქმეს შეადგენს. საქონელი მისი უმთავრესი მასაზრდოებელია. აფხაზს შეუძლია უპურობა დამრმას, ხოლო საქონელს კი ვერ შეელევა, განსაკუთრებით მწყემსი აფხაზები. მწყემსი აფხაზი ნეტარებას გრძნობს, რადგან მას მულები ხორცი და რძე აქვს. საქონლისთვის საძოვრების საშოვრად აფხაზი მოელი წლის განმავლობაში ადგილი-დან ადგილზე დაძრწის და ცდილობს საუკეთესო საძოვარი მოუპოვოს თავის საქონელს. აფხაზები აკეთებენ ყყელს, ერბოს, კარაქს. და მაწონს. ამ უკანასკნელს. აფხაზისთვის ღვინოზე უფრო ჩეტი უპირატესობა აქვს.

მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის კულტურა საქართველოში.

აბრეშუმის ჭიის თესლი საქართველოში საზღვარ-გარეთიდან შემოდის, უმთავრესად ბრუსის ვილადეტიდან (ოსმალეთში) – ე. წ. ბალდადის ჯიშისა

საქართვის რაიონები საქართველოში 1912 წ.

საქართვის ნაწილები	მდგრად- ლობა	სივრცას კვ. კვა- ნტით,	ცაჲნო	ვირი	ჯა- რი	მასკოლ- უსი რე- საქ.	ამერიკი-	სახვალ- ებული	თხელ- ებული.	თხა	ც. ხ გ ა რ ი	ც. ხ ე ლ	ც. ხ ლ	ც. ხ ლ	ც. ხ ლ	ც. ხ ლ
ქართლი	920858	22197	49484	18152	660	529032	72594	7612166	2674	446	53048	1532384	64	166		
კახეთი	573855	17209	37334	10456	178	236374	81172	826404	—	36489	10	31917	1260334	73	220	
იმერეთი	579266	8139	8119	406	568	143751	3070	49022	—	13504	—	70028	288468	35	50	
აფხაზეთი	253461	5792	18839	789	524	76688	23331	40819	—	49162	—	41883	242033	42	95	
სამეგრელო	298445	4216	13678	89	211	98115	15254	19179	—	26568	—	65239	238308	57	83	
ლეჩხ. სვან	60787	4282	2056	139	109	24972	—	11158	—	10112	—	11725	60270	14	99	
გურია	114436	1839	1890	31	33	24609	630	739	273	4038	—	22040	54282	28	49	
აჭარა	491138	6129	7004	990	634	3019	2621	55749	—	27997	—	680	98694	16	52	
ს უ ლ	69863	438404	31051	2917	1135560	198652	1765236	2052	202988	456	296557	3774173	55	1273		

ტაბულაში მოყვანილია თაფილის და ქუთაისის გუბერნიები, გათამას თლექი ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში.

და საფრიანგეთ-იტალეთიდან (ევროპის ჯიშები); ადგილობრივ მხოლოდ 15 — 20% თესლი მზადდება ჩვენი მეაბრეშუმეების მიერ. ამნაირად საზღვარ-გარეთიდან ჩვენში შემოაქვთ წლის განმავლობაში 80 ფუთამდე თესლი, ადგილობრივ კი ამზადებენ ოციოდე ფუთს. ეს თესლი კოლოფებშია ჩიყრილი და ასე იყიდება; მაშინადამე, ჩვენს მეაბრეშუმეთა დასაკმაყოფილებლიდ 64 ათასი კოლოფი თესლი ესაჭიროებათ წლის განმავლობაში.

კერძოთ აბრეშუმის თესლი საჭართველოს ტერიტორიაზე განაწილებულია ასე:

იმერეთში — 56 ათასი კოლოფი გრენა; უმეტესად ოსმალური ჯიშისა და მხოლოდ მცირეოდენი საფრიანგეთისა.

ამერეთში — 8 ათასი გრენა უშმავრესად ოსმალების ჯიშისა.

თესლი საჭართველოს ყოველი კუთხიდან თფილისში ჩამოაქვთ, რადგან აქაა მისი სავაჭრო ცენტრი, და მას აქედან ივრცელებენ.

აბრეშუმის ჭიათურა ავრცელებენ გურია-სამეგრელოსა, იმერეთსა და სამცგილოში. იმერეთში არ არის ჩვეულებად შემოღებული თუთის პლანტაციების გაშენება. აბრეშუმი ბაზარზე გამოაქვთ პარკის სახით, რადგან აქაური შინაურული ამოხვეული ძაფი ძლიერ მსხვილია და მექანიზებს არ აქმაყოფილებს. გურიაში მოქმედებს აბრეშუმის ამომხვევი ქარხანა, მაგრამ ამ ქარხნის მანქანები ძველი კონსტრუქციისა, და ამიტომ ძაფი დაბალი ხარისხისა გამოდის; ამის გამო აბრეშუმის მრეწველობამ უკანასკნელ დროს იყო; მე-19-ე საუკანიშურულს ბალდადის ჯიში გადაგვარდა, დაძაბუნდა. მასთან ერთად მეაბრეშუმეებმა თავის დროზე ვერ მიიღეს საკმარისი თესლი. საუკეთესოდ დაყენებულია ეს საქმე იმერეთსა და გურიაში. ყოველ წლივ გურიაში იყიდება მარტო პარკი 50000 მან. (ძველი ფასები); ამას გარდა, ლანჩხუთის მიდამოებში გასაყიდათ მზადდება სხვადასხვა აბრეშუმის ნაქსოვი. აბრეშუმის ნაქსოვები მზადდება აგრეთვე იმერეთში, განსაკუთრებით ხონსა და მის მახლობელ სოფლებში; ყოველ წლიური შემოსავალი აქ 30 ათასს მ. აღწევს (ძველი ფასები); საზოგადოს კი იმერეთში აბრეშუმის პარკის მოსავალი 2 ათას ფუთამდეა ხოლმე.

საინგილო, ჰავის კარგი პირობების გამო, მცხოვრებთ აძლევს აბრეშუმის ჭიათურის მოყვენის და ძაფის დამუშავების შეძლებას; თუთის ხეს აქ 4500 დღიური უჭირავს. წლიური მოსავალი აქ დაახლოებით ასეთია:

იაპონიის ჯიშისა	5123	ფ.	37	გ.	1 მის.	თესლი	1,6	გირვ.	პარკს	იძლევა
იტალეთის	1229	"	8	"	1	"	3,7	"	"	"
ცელულარის თესლისგან	27	"	18	"	1	"	5	"	"	"
საფრანგეთის	"	*	4	"	2	"	1	"	13,5	"

მთელი შემოსავლის $\frac{1}{3}$, ინგილობი ჰყიდიან: ორი ქარხნისთვის ქ. ზაქა-თალაში; დანარჩენ პარკს კი თვითონ ახვევენ და თავის ხელფასს იღებენ აბ-რეშუმისა და პარკის ფასების განსხვავებით. ორთქლით მომუშავე ქარხანა აქ. ორია, სადაც 60 მუშა მუშაობს და 80 ათასს მან. აბრეშუმის ძაფს ახვევენ; ორივე ქარხანა 300 ფუთამდე ძაფს ახვევს წლის განმავლობაში. ერთერთ ქარხნაზე ძაფის საგრეხი მანქანებიც კია გამართული. აქედან სხანს, რომ აბ-რეშუმის მრეწველობას საინგილოსთვის და საზოგადოთ მთელი საქართველოს-თვის ღილი მნიშვნელობა აქვს. მას მცხოვრებნი, უძველეს დროიდან მისდევენ, რადგან იგი ფრიად სასარგებლოა.

1894 წ. კია გამოსყავდათ ცელულარის თესლისგან; რომელიც საინგი-ლოში შემოიტანეს საზღვარ-გარეთის სხვადასხვა ფირმებმა (იტალეთისა — ყვითე-ლი, ბალდალური-თეთრი) 11 ფუთ. $24\frac{1}{2}$ გირვ. და შინაურულად მომზადე-ბულ ადგილობრივ თესლისგნ 4 ფუთ. $5\frac{1}{2}$ გირვ.

საზღვარ-გარეთის თესლისგან მიღებულ იქმნა 9218 ფუთ. პარკი ანუ 1 მის. თესლისგან 4 გირვ. პარკი. გარდა ამისა, ზაქათალის სანიმუშო გამამრავ-ლებელზე სახელოსნო სკოლასთან დაარსებულზე — 6 მის. იტალეთის თესლის-გან მიღებული იყო 2 ფ. 10 გ. პარკი ანუ 1 მის. 15 გ. პარკი.

ერთის სიტყვით, მეაბრეშუმეობა საქართველოს ზოვიერთ კუთხეში. კარგ ნიაღაგზე სდგას, ხოლო მისი მრეწველობა (მეტადრე ნაქსოვების ქსოვა) ჯერ-ჯერობით უმდაბლეს საფეხურზეა; რის გამოც ძაფის ფასები ფრიად დაბალია, რასაც ჩვენს სამშობლოს ეკონომაკაში ღილი დანაკლისი შემოაქვს.

საშინაო მრეწველობა საქართველოში

1. სახოფლო მრეწველობა და საშინაო მრეწველობა

მთელი საქართველო, გარდა მტკვრისა და რიონის ხეობებისა, წარმოად-გენს სრულყდ მთა-გორიან ქვეყანას, რომელიც დასერილია უმაღლესი. მთიანი ჯავებით, ქედებით, ლელებით და ზეგანებით. საქართველოს ზედაპირის ასეთი-

* ეს უკანასკნელი მიღებულია ქ. ზაქათალაში გამართულ კიის სანიმუშო გასამრავ-ლებელში.

აგებულება ჰქმის ფრიად სხვადასხვანაირ ჰავასა და ნიხდას, რომელთა გავლენითაც შენდება სხვადასხვა სიმაღლეზე სასოფლო მეურნეობა.

მეურნეობა იწყება მარადი თოვლის ხაზის ქვევით და თანდათან ნოტიკ და სუბტროპიკული ოლქებისკენ ეშვება; უუმაღლესი ალპიის ზოლზე არ ხარობს არც-ერთი საპურე მცენარე; აქ შშენიერ მინდვრებზე მოკლე ზაფხულის განმავლობაში მეჯოგეობას მისდევენ; ქვემოდ იწყება ხორბლეული მეურნეობის, ყურძნის, ბამბისა და მარად-მწვანე მცენარეთა კულტურის რაიონი. აქ საშინაო მრეწველობას იმდენათ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რამდენათაც ჰავა უფრო ძლიერ ზღუდავს სასოფლო მეურნეობის კულტურის სხვადასხვაობას.

მარადი თოვლის ხაზი, რომელიც ჩვენი მეურნის მოღვაწეობის საზღარს შეადგენს, შავი ზღვის სანაპიროდან გურგენის ზღვისკენ მაღლდება, და თუ ზემოხსენებული ფაქტორები მიიღეთ მხედველობაში, მაშინ მთელი მთიანი სივრცე, 12000 ფუტზე მაღლა მდებარე, ანგარიში სრულიად არ მიიღება.

ჩვენი ქვეყნის ზედაპირის აგებულების მეორე განსაკუთრებული თვისებაა ზღვის დონედან ქვემოდ 0.85 ფუტით დაბლა მდებარე მიწების არსებობა.

ჩვენი მთები ჯერჯერობით ნაკლებათ არიან გამოკვლეულნი სასოფლო მეურნეობის ზონების განსაზღვრის მხრივ, მაგრამ მაინც შეგვიძლია აღნიშნოთ საზოგადოთ შემდეგი სამეურნეო ზონები:

დასახლებული ადგილების საზღვარი საქართველოში 8000. ფუტამდე აღწევს. ამ ხაზს ზევით საპურე მცენარეები, ისეთებიც კი, როგორიც ქერია, ფრიად მოკლე ვეგეტაციური ხნიანი, აქ თავთავს არ იყეთებენ. მაშასადამე, აქ ჩვენ აღვნიშნავთ თოვლის ხაზს შემდეგ პირველ ზონას, მაღალი ალპიის მინდორ-ველს ე. წ. იალაღებს 8 - 12 ათას ფუტ. საზღვრებში. აქ მუდმივი მოსახლეობა არ არსებობს; ზაფხულის 3 - 4 თვის განმაჟლობაში მწყემსები მოერებიან აქ თავის ცხვარს და სხვა. საქონელს; აქვე გადმოაქვთ თავისი მოღვაწეობა ზოგიერთ ხელოსნებისაც. სიცივეები დადგება თუ არა, მწყემსები თავისი საქონლით ჩამოდიან მინდვრად და ამ თბილ ადგილებში ზამთარს ატარებენ (ყიშლაღებში).

შემდეგი თხელი მოსახლეობიანი მაღალი მთის ზონა 5 - 8 ათასი ფუტის საზღვრებშია. აქაურ ფართო იალაღებზე განსაკუთრებით მეჯოგეობაა განვითარებული (ერბო, ყველი, კარაქი, მაწონი და სხვა ნაწარმოები); აქა-იქ სოესენ ქრის, ჭვავს, ცურცვს და ბოლო დროს კარტოფილსაც.

შესამე ზონა — 2,5 — 5 ათას ფუტის საზღვრებშია; მას მაღალი ტყისა და მაღალი მინდვრის ზონა აქვს. აქ ზომიერიპავაა და მეტად საღი და მჭიდროდ დასხლებული ტიპიური მარცვლოვან მცენარეთა ურწყავი ადგილები. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ზოგან სოესენ სიმინდს, სელს; აშენებენ ხეხილის ბაღსა და ბოსტანს.

2,5 ფუტის ქვემოდ მთების წინა თბილი ზოლია, სადაც შესაძლებელია ძვირფას მცენარეთა: ყურძნის, ბამბის, ბრინჯის, ქუნჯუთის, გენაგერჩაქისა და სხვა მცენარეთა კულტურა.

უფრო ქვემოდ მეხუთე ზოლი დასავლეთ საქართველოში ნოტიო ჰავიანია; აქ სრულიად თავისუფლად შესაძლებელია ურწყავი მეურნეობა. ზემოთ აღნიშნულ მცენარეებს გარდა აქ ხარობს: ჩაი, ზეთისხილი, ლიმონი, ფორთონალი, ინდოეთის ლერწამი, ლუთმა და სხვა. ამის მიხედვით ამ ზონაში არსებობს მეურნეობის სხვადასხვა ახალი ტიპი.

რა თქმა უნდა, ამ ძირითად ტიპებს შორის მეურნეობის საშუალო ფორმებიც მრავალია.

აქ საჭიროა მოვიხსენიოთ დაბალი ბიური მინდვრებიც: ელდარი, ყარაღაჯი და ყარაია, სადაც შესაძლებელია ქოჩაობა მთელი ზამთრის განმავლობაში.

საქართველოს მიწა-წყალი შესდგება:

მთელი საქართველოს საზოგადო მოედანი	7621619 დესეტინა
------------------------------------	------------------

იალალები	1389001,00 — 18,22%	20,50% /
----------	---------------------	----------

ჩეილალები	174004,00 — 2,28% /
-----------	---------------------

ტყეები	2920447,00 — 38,32% /
--------	-----------------------

სახნავი მიწები (სარწყავი და ურწყავი), საბალახოები,	
--	--

მამულები და ბოსტნები	1337705,00 — 17,55% /
----------------------	-----------------------

ვენახები	54837,15 — 0,72% /
----------	--------------------

ბალები	9782,95 — 0,13% /
--------	-------------------

აგარაკები	384,71 — 0,005% /
-----------	-------------------

სხვადასხვა ძეგლების კულტურების ქვეშ:	
--------------------------------------	--

თამბაქოს პლანტაციები	3135,75	
----------------------	---------	--

დეკორაციული და მანდა		18,47% /
----------------------	--	----------

რინის ბალები	338,00	
--------------	--------	--

ჩაის პლანტაციები	451,00	
------------------	--------	--

დაფნის	154,00	4758,10 0,065% /
--------	--------	------------------

ზეთისხილი	6,62	
-----------	------	--

ინდოეთის ლერწამი	50,00	
------------------	-------	--

ნავთის წარმოებანი	422,73	
-------------------	--------	--

ტბები	200,00	
-------	--------	--

გამოუსადეგარი მიწები:

თოვლიანი მთები,	249885,42	3,29%
ტიტველი კლდოვანი კონც- ხები, უნაყოფო ფერდობი ჭყოველივე მცენარეულო- ბას მოკლებული ღრმა ულ- რანები, მთის ურიცხვის ნა- ტეზით და ლიდებით ჩაქ- ციული ფერდობი, მთის ნაკადულები, ტბები და	1730699,09	22,71%
სხვა	1480813,67	18,42%

ს უ ლ 7621619 დესეტინა.

აქედან სჩანს, რომ ბინადარი მიწადმოქმედების წარმოებისთვის საქართ-
ველოში სულ $18,47\%$, მიწაა, ხოლო დანარჩენი $81,53\%$, ხვნა-თესვისათ
თვის- გამოუსადეგარია; აქედან მხოლოდ მცირე ნაწილის გამოყენება, შეიძ-
ლება—და ისიც დიდიალი მატერიალური ხარჯებისა და საფუძვლიანი გაუმ-
ჯობესების შემდეგ; ტაბულიან აგრძელებული სჩანს, რომ ძვირფასი მცენარეულო-
ბის მოყვანა ჩვენში ჯერჯერობით დასაწყისშია. მეურნეობის ძირითადი დარ-
გები ჭირნახულის მოყვანა და მეჯოგეობაა ($38,05\%$). უკანასკნელს, ჩვენში
განსაკუთრებით ქოჩი ხასიათი აქვს, ანუ ნახევრად ქოჩი. ჭირნახულის მოყვანა
მცირე ჩაყოფიერ ნიადავიან და ფრიად ცვალებად. ჰავიან მაღლობებზე მხო-
ლოდ აქა-იქ უზრუნველ პუნქტს პურით მოსახლეობას. უმეტეს შემთხვევაში
კი აქ იძულებულნი არიან პური შეიძნონ საშინაო მრეწველობის ნაწარმოებ-
თა გაყიდვის საშვალებით და მეჯოგეობისგან აღებული ფულით. ამნაირადვე, მევე-
ნახეობა და ბამბის მოყვანა თბილ ატვილებში ხალხს აძლევს შეძლებას თავისი
ნაწარმოების გაყიდვით აღებული ფულით იყიდოს პური. თუმცა აღსანიშნავია,
რომ აქაც საშინაო მრეწველობა ხშირად ფრიად სერიოზულ შემოსავლის წყა-
როს წარმოადგენს, რადგან აქ ქალი იშვიათად გამოდის მინდობრში სამუშაოდ;
იგი დროს ატარებს უმთავრესად თავის ოჯახის კერასთან.

რასაკვირველია, პურის უქონლობის გამო მეტს გაჭირვებას მთა განიცდის.
ამიერკავკასიის რკინის გზის ცნობებით ამიერ კავკასიაში 5 წლის განმავლობაში
უფალ წლივ $10 \frac{1}{2}$ მილიონი ფუთი პური შემოუტანით (სტატისტიკა პუ-
რის მოძრაობისა 1907—11 წლებში.) ამ პურიდან ნახევარი თუ არა, მეტამედი
მაინც, საქართველოს უნდა ხვდომოდა წილად. გარდა ამ გზისა, არის სხვა გზებიც,

როგორც, მაგალი, საქართველოს სამხედრო, სოხუმის სამხედრო, ოსეთის სამხედროდ
ტვირთის საზიდავი გზები, რომლებითაც ყოველ წლივ ღიღძალი პური შემოიზი-
დება ხოლმე ჩვენში. აქედან სანა, რომ სამიწადმოქმედო მეურნეობისათვის ჩვენ
არა გვაქვს, ფართო ასპარეზი; უკანასკნელი ფრიად ამცირებს მის წარმოებას, და
ამიტომ საშინაო მრეწველობიდან მატერიალური დაბმარება იჭერს სკანდალურე-
ბულ დიდ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

საქართველოში არსებობს მრავალი საშინაო წარმოება, ხოლო ყველას
ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ურემი, სა-
მიწადმოქმედო იარალი, თიხის ჭურჭელი, სამჭედლო ნაწარმოები და მატყლის
წინდა მწარმოებლის მეზობელ სოფლებს გარეშე იშვიათად გადის; ნაბალი,
მაუდი და აბრეშუმეულობა უკვე მეზობელ მაზრებში იყიდება; — ხოლო ხალები,
ხალიჩები, იარალი; ვერცხლისა და სპილენძის ნივთები ჩვენს სახლვრებს გარე-
შეც კი გააქვთ.

ჩვენი საშინაო მრეწველობის ურუევი არსებობის მიზეზები შემდეგია:

1. თითქმის სრულიად არა გვაქვს საქარხნო მრეწველობა;
2. სამაგის-
როდ ღიღძალი ნედლი მასალა გვაქვს, მაგ. მატყლი, აბრეშუმი, სპილენძი,
თიხა, ხე და სხვა;
3. სახნავი მიწების ნაკლებულობა;
4. მოხერხებული მიმოსვ-
ლის საშუალებანი სრულიად გვაკლია, უფრო კი მთიან ადგილებში;
5. საქმიანობის ნაყოფიერება ფერხდება სასტიკი ზამთრისა და მიწის სიმცირის გა-
მო;
6. არსებობს ჩვენში საქმაო ქონა და ნახევრად ქონა მოსახლეობა, რო-
მელსაც ტოპოგრაფიული და კლიმატიური პირობების გამო შეჯოვეობის მეტი
არა შეუძლია რა;
7. მამულების ნახევრად ნატურალური ხასიათი ღიღძისა და კალა-
ქებისა და მოხერხებული გზების სიშორის გამო;
8. ზოგიერთი საშინო ნაწარმო-
ებთა სურათის სილმაზესთან და თავისებურობასთან დაკავშირებული მასალის
მაღალი ლირუება (ხალები, ფარდაგები, ხალიჩები, მაუდი, ვერცხლის და სპი-
ლენძის ნივთები), რომელთაც, ქარხნის ნაწარმოები კუნკურენციას ვერ უწე-
ვენ;
9. ძალა, სიმარჯვე და გაძჭრიახობა ჩვენი ზალხისა და ქალის სიციალუ-
რი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში. ჩვენი მრეწველობის ზოგი-
ერთი დარგი იმდენად კარგ ნიადაგზე სდგას, რომ ადამიანს სრულიად უზრუნ-
ველჲოფს; სამაგიეროდ არის ისეთებიც, რომელნიც თანდათან სუსტდება და
ისპობა კიდეც; ამის მიზეზი — უცხოეთთან წესიერი სავაჭრო კავშირის დამკა-
რება და განმტკიცებაა.

ჩვენში ჰქება ფრიად გავრცელებული ბაბის მოყვანა, ვინაიდან ქარხნის
ნაწარმოები ბამბეჭულობა ინგლისისა და რუსეთიდან შემოტანილი თავის სი-

ჭით თანდათან სდევნის ამ გვარ ადგილობრივ ნაწარმოებს; ამასთან ერთად ბამბის კულტურაც ეცემა; მხოლოდ 20—25 წლის წინად მებამბეობაშ ხელახლა იწყო აღორძინება საქართველოშის განვითარებით გამოწვეულმა.

ბამბეულობის გაიაფებამ ადგილობრივი მებრეშუმეობის დაცემაც გამოიწვია.

ჩვენს თვალშინ გაპქრა მეიარალეობა და ჩვენი მეიარალენი ცდილობენ თავისი ტექნიკური ცოდნა წარმოების ახალ ფორმებს შეუფარდონ.



ოქრომჭედლი

შესანიშნავია, რომ სამრეწველო ცხოვრება გურგენის ზღვიდან შავი ზღვისკენ, მთელი მთავარი ქედის გაყოლებაზე, თანდათან, სუსტდება და ამის მიხედვით ვითარდება ერთგვარი მრეწველობა, მეტადრე ჩრდ. აღმოს. მხარეში, სახელდობრ, დალექტანში. ოქრომჭედლები, მეიარალენი; მკალავები და სხვები შემოდგომაზე გამოდიან სამუშაოდ დიდ ქალაქებსა და სავაჭრო ცენტრებში, სადაც ხელოსნობენ ზაფხულის დამდეგამდე. რა თქმა უნდა, ამ ქალაქებსა და ცენტრებში

იკრიბებიან მამაკაცი ხელოსნები, წმინდა საშინაო წარმოებათა უმრავლესობას კი, მეტადრე მატყლისას, განაგებს ქალი. ლითონის, ხისა და თიხის წარმოებანი ვაჟკაცის ხევდრია ჩვენში. ჩვენი სარეწავების ტეხნიკა ფრიად მარტივია. მას ახასიათებს პირადი გამჭრიახობა, სიმარტე მოძრაობაში, მოსწრება და ყოველმხრივ შესწავლა მასალისა, მუშაობაში აქტიობა და ბოლოს დიდალი შრომა და დაუღალავი ენერგია. მწარმოებლის იარაღს მის სხვადასხვა ხასიათის სამუშაოში შეადგენს დანა და სხ.

ა. მატყლი. ხალისა, მაუდისა და ნაბდებისთვის სახმარებელი მატყლის სხვადასხვა ტეხნიკური ღირსება აქვს, რადგან იგი ცხვრის ჯიშზეა დამოკიდებული. დაბლობის დაღის რაიონის ცხვარს აქვს მაგარი მატყლი, ხმელი და მცირედ ელასტიური ტყავი და უგემური ხორცი. მთის ჯიშის ცხვარი კი რბილ მატყლიანი და ფრიად გემრიელ - ხორციანია. თუმცა ჩვენი ცხვრის მრავალი ჯიში შესწავლილი არ არის და ლიტერატურაში არ მოიპოვება ჩვენი მატყლის კლასიფიკაცია ტეხნიკური ღირსების მხრივ, მაგრამ იგი მაინც ფრიად მაღალი ხარისხისა სიგრძით, კრიალითა და სიწმინდით; ეს კარგად იციან არამცოფული ჩვენმა მრეწველებმა, არამცდ საზღვარ-გარეთის ბაზარიც ამის შესახებ საკმაოდ გაცნობილია.

ნამდვილი ცნობები ჩვენში დამუშავებული მატყლის შესახებ არა გვაქვს, მხოლოდ თუ საშუალოდ ცხვარზე ვიანგარიშეთ 4 გირვ. მატყლი, მაშინ 1.837524 ცხვარი (1912 წ.) და 1768229 (1913 წ.) მოგვცემს შესაბამად 183752,4 ფუთს და 176822,9 ფუთს მატყლს.

ცხვრის მატყლის გარდა, ნაქსოვების დასამზადებლად ხმარობენ აგრძელვე აქლებისა და თხის მატყლს და შათ თბასა და გინგილს.

აქლების მატყლისაგან შესანიშნავი მაუდის კეთება უკანასკნელ დროს ძლიერ შემცირდა აქლების მეჯოგეობის დაცემის გამო, რაც გამოიწვია ზღვაოსნობის და რკინის გზით მიმოსელის განვითარებამ. აქლების მატყლი ეხლა ისეთი იშვიათი მასალაა ჩვენში, რომ მას სპარსეთიდან იწერენ.

თხა ჩვენში წვრილფეხი საქონლის $10^{\circ}/_{\text{o}}$ -ს შეადგენს, ხოლო სხვადასხვა რაიონში ეს რიცხვი ცვალებადია, — მაგალითად, იმერეთში თხა თითქმის იმდენივეა, რამდენიც ცხვარი; ზოგან კი იმერეთში თხის რაოდენობა $70^{\circ}/_{\text{o}}$ -მდე აღწევს. თხას შედარებით ნაკლები მოთხოვნილება აქვს საძოვრის მხრივ; კლდოვან ადგილებში იგი უფრო ადვილად სძლებს.

საერთოდ 180000 ფუთი მატყლიდან საზღვარ გარეთ გაიზიდება ყოველწლივ, $30^{\circ}/_{\text{o}}$ -მდე, ხოლო საშინაო მრეწველობისთვის რჩება $70^{\circ}/_{\text{o}}$ -მდე, მაგრამ

მთელი დარჩენილი მატყლი არ ხმარდება ხელოვნურ ნაქსოვებსა და წმინდა მაუდს, რომელთაც საქართველოს გარეშე აქვთ გასავალი.

მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი იკვამს თითქმის შინაურულად მომზადებული მატყლის ტანსაცმელს; საცხოვრებელ ოთახებს მორთავენ ხოლმე ხალებით, ხალიჩებით, ფარდაგებით და ნაბდებით; მატყლისაგან აკეთებენ ნაბადს, ყაბალას, ხუჯინს, მაფრაშას, ბალნურს და ხორბლის შესანახ ტომბრის (საცალო). როგორც ქანა მატყლის ნაქსოვს ფრიად დადი მოთხოვნილება აქვს ჩვენი ხალხის შინაურ ცხოვრებაში.

ცხვრის მატყლი შეიცავს დიდბალ ოფლს, ქონს და ჭუპს და აგრეთვე, ბალას და კელებს. უკანასკნელს აშორებენ გაჩეჩით, დანარჩენს კი გაოცხით. გარეცხის და გაჩეჩის შემდეგ წმინდა მატყლი რჩება 30° – 40° ღ-ი. შემდეგ მატყლის არჩევენ ფერით და სისქით; მკერდის მატყლის ცალკე აგროვებენ და სტომაქისას ცალკე. გარეცხილ მატყლის არჩევენ და სწერვენ ჩვეულებრივ ხელით და ბოლოს პენტავენ საპენტელით. სჩეჩავენ მატყლის საჩეჩლით. დაჩეჩის დროს ჯერ პირველი ხარისხის მატყლის იღებენ საუკეთესო ნაქსოვებისთვის; ნაშთის დაჩეჩის შემდეგ მეორე ხარისხისას მდარე ნაქსოვებისთვის — და ბოლოს მესამე დაჩეჩისაგან მიღებულ მატყლის ლეიბებისთვის ხმარდებ. გაჩეჩილ მატყლის ახვევენ. ქულოვებად და მასალა დასართავად უკვე მზად არის; ართავენ ან თითისტრაზე ან ჯარაზე; უკანასკნელზე ძაფი კარგად იგრიბება; იგი უფრო სწორე გამოდის და ხალების, ჯეჯიმების და მაუდის საქსოვად იჩხარება.

ნაბადი. ნაბადის კეთება ჩვენში უსათუოდ ჩასახულა. უუძველეს დროიდან, როცა ქოჩა მეჯოგეობა საქართველოს მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობის ერთადერთ ფორმას წარმოადგენდა. ეხლა აკეთებენ უბრალო თექას, ნაბდებს და ქუდებს.

მრავალ თექას აკეთებენ მთიულეთში. მის გასაკეთებლად ხმარობენ მაგრას, ხშირად ცუდად დაწერნდილს მატყლის უმოავრესად არა თეთრი ცხვრისას. თექას ხმარობენ შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; იგი გაქვთ აგრეთვე მეზობელ მაზრებშიც.

ნაბდების მრეწველობა უფრო საინტერესოა. ამ მხრივ განთქმულია იმერჯოთის ნაბდის რაიონი, რომელიც შეიცავს ქუთაისის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებს. ეს დარგი აქ მოკლე ხნის განმავლობაში ჩაისახა და მისმა ტენიკაში უკანასკნელ 20 – 25 წლის განმავლობაში შესამჩნევი წარმატება განიცადა; მაგრამ, როგორც სხანს, მას აქ დიდი გასავალი არ ექნება, ვინაიდან

შესამჩნევი მეტხვარეობა აქ არის და ნაბრის მრეწველობა არსებობს მხოლოდ ნაყიდი მატყულის საშუალებით.

ნაბრის ქუდებს აკეთებენ ყველგან მთიან ადგილებში. ქართული ნაბრის ქუდებს, რომელსაც იხურავს მთელი სოფლის ხალხი, თიანეთის ქისტები აკეთებენ. მეტად საუკეთესო ქუდებს აკეთებენ სოფ დუნ-სოფელში, აგრეთვე დუშეთის მხრის მონასტრის, ქვემო და ზემო ხევის საზოგადოებებში, და ზოგი მათგანი თავისი სიწმინდით საუკეთესო კატორს მოგავინებთ. იმერეთში საუკეთესო ქუდების კეთება იციან სამეგრელოში (სოფ. მარტვილი, ლიხანიდრავა, აბედათი, ნახარებო), ბანდა-სენაკის მ., ჯვარი ზუგდიდის, სამეგრელოში ქუდებს აკეთებენ ქალები და დიდი საქონელი გამოაქვთ ზუგდიდის, სენაკის და ხონის ბაზარზე პარასკეობით გასაყიდათ. ეს ქუდები არ არის მაღალი ხარისხისა, სუსტად მოთელილია, ხოლო განსაკუთრებით შეკვეთილ ქუდს ფრიად კარგს აკეთებენ; საუკეთესოდ ითელება სვანეთის ქუდები, იგი ჩეჩნის ქუდზედაც კი მაღლა სდგას. სამწუხაროდ, ჩენი მექუდებია არც ტეხნიკის მხრივ; არც ეკონომიურად არ არის გამოკვლეული, მხოლოდ ჩდვილი შესაძლებელია, რომ იგი წარმოების გასაუმჯობესებლად დახმარების სერიოზული ორგანიზაციით დიდ ეკონომიკურ შინაგანებრივ მოიპოვებდა..

შალები. ანუ შალი. შალებს ტანისამოსისთვის აკეთებენ საქართველოს ყველა კუთხეში. ჩენი შალები ფრიად სხვადასხვანაირია; ხოლო შალების საწორმოვო რაიონი ცოტაა. მეტად განთქმულია ე. წ. ლეკური შალები, რომლებსაც ქსოვენ დაღესტანში (ყაზიყუმუხის მაზრა) ცხერის და თხის მატყელისაგან, კარატის თეთრი შალები (ანდის მაზრა), და ხოჯალ-მანის შალები (დარგინის მაზრა), აქლების შატყულისგან თავისი სიწმინდით და სიმსუბუქით განთქმულია; ყველა ეს შალები რყიდება თფილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში. შალებს აკეთებენ დაბლობ ასეთშიაც (დუშეთის და გორის მ.მ.), სადაც ამ დარგს მისდევენ ასებიც და ქართველებიც.

იმერულ შალებს აკეთებენ რაჭუში; სენაკის, ქუთაისისა და ზუგდიდის მაზრებში, რასაკვირველია, ასეთის გავლენის წყალობით, რაც ნაქსოვის ხასიათთ მტკიცდება.

ყველა ამ მაზრებში ამ დარგს მისდევს მოსახლეობის 5% -მდე; ამ დარგს აწარმოებენ განსაკუთრებით ქალები, რომელნიც ყნაში არ მუშაობენ და პერიოდულად მატყულის ნაქსოვებს გარდა, აბრეშუმისასაც აკეთებენ. თუმცა იმერელი ქალები მუშაობენ პრიმიტიული იარაღებით, მაგრამ მაქოს ხმარება მათ კარგად იციან და, რადგან ნაქსოვი ფრიად თხელია, ნამუშევარს დიდადს აკე-



შალის ქსოვე

თემინ. იმერული შალებით ტანს იმოსავს მთელი დასავლეთ-საქართველო. მსუბუქშა, ფრიად ორიგინალურმა, ზოგჯერ საკმაოდ ლამაზმა იმერულმა შალმა. სწრაფად დაიმსახურა ყურადღება და გავიდა საქართველოს გარეთ.

შემდეგ მოსახსენებელია ახალციხე-ახალქალაქის რაიონი:

ხალები. ხალების ქსოვის ხელოსნობა ჩისახა ჩვენში ციფილიზაციის და საწყისშივე ერთი ინგლისელი. მკვლევარი ფიქრობს, რომ ხალების კეთება პირველად ეგვიპტესა და ტიგრ-ევფრატის ნაპირებზე დაიწყეს, ხოლო ძელიან ეს ხელოსნობა შეიქრა მცირე აზიაში, სპარსეთსა და ინდოეთშიაც. კულტურა და განათლება ამ ქვეყნებიდან თანდათან გავრცელდა. კავკასიაში და თან მოიტანა ჯერ ისევ უუძველეს ხანაში ხალების ქსოვის ცოდნა.

უწინ უუძველეს ხანაში ხალებს ჰქონდათ უშალლესი ხელოვნების ნაწარმოებთა ხასიათი: მშენებირი, ხელოვნურად მოქსოვილი ხალები ფარაონთა და შაჰთა დიდებულ მორთულობას შეადგენდა და სარწმუნოებრივ ცერემონი-

ებში ხმარობდნენ მათ. ხალების კეთება თანდათან ერცელდება ქოჩა და ბინალარი მოსახლეობის ფართო წრეებში და წმინდა ხელოსნობად გადაიქცა; ებლა ეს დარგი არსებობის შეძლებას აძლევს მოსახლეობას საქართველოს ზოგიერთ კუთხეში.

ჩვენში მთიულები (თიანეთის და დუშეთის მაზრები) და იმერლის ქალები ქსოვენ უმთავრესად ხალიჩებსა და ფარდაგებს.

ფრიად საყურადღებოა ხელოვნებით და სრული თავისებურობით ჩვენს ბაზარზე განთქმული ბორჩალოს და ყარაიას ხალიჩები. საჭიროა მოვიხსენიოთ კიდევ ახალციხესა და ახალქალაქის ხალიჩებიც.

ხალიჩების ქსოვის ხელობის განვითარებისთვის დაარსებულია სასწავლო-მაჩვენებელი სახელოსნოები სტეფან-წმინდაში (დუშეთის მთარე), მცხეთის სამთავრო მონასტრის ქალთა სკოლისთან და ოზურგეთში —უმთავრესად აბრეშუმის ქსოვის ხელობის გასაუმჯობესებლად.

ბ. აბრეშუმი. აღმოსავლეთს ყოველთვის უყვარდა აბრეშუმის დიდებული ტანისამოსი, და ვფიქრობთ, რომ უწინდელ დროში ჩვენი მეურნეობის მიზანს შეადგინდა მიწოდებინა ნედლი მასალა ფეიქრებისთვის საქსოვად, გამოსაქარგვად და ოქრომკედის გასაკეთებლად.

ჩვენში უმთავრესი საფეიქრო რაიონებია: იმერეთი და საინგილო. ეხლანდელი მეაბრეშუმენი ცდილობენ მიიღონ დიდალი პარკი საზღვარ-გარეთელი ექსპორტიორების და აბრეშუმის ამომხვევი აღგილობრივი მექარნეების მოთხოვნილების მიხედვით; ამ მიზნისთვის პარკს არჩევენ და საუკეთესოს ჰყიდიან; მაშასადამე, აღგილობრივ მოსახმარებლად ჩჩება მდარე პარკი II და III ხარისხისა — აფადმყოფი ჭიისა (ე. წ. ჩხარი) და ორადი პარკი (დომუალი) და აგრეთვე იაპონიის გადაგვარებული ჯიშისა, რომელიც ორ მოსავალს იძლევა ზაფხულის განმავლობაში და ორმელსაც ექსპორტიორები და მექარნეები წუნსა სდებენ.

ამ დიდ რაიონებს გარდა, მეაბრეშუმეობას მცირედ მისდევენ ქართლში, კახეთში, ახალციხის მთარეში და აფხაზეთისა და აჭარის ზოგიერთ პუნქტებში.

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის ცნობებით 1910 წ. საქართველოდან ბათომით მილანსა და მარსელში გაუზიდავთ 12000 შეკვრა (თითო 85 კილო) = 420000 კილო ხმელი პარკი და 160000 კილო პარკი კიჩენმა ქარნებმა ამოახვიეს.

პარკს ფეიქრები ხელის დაძგაზე ახვევენ; რის გამოც ძაფი მსხვილი გამოდის. წარსული საუკუნის ბოლო წლებში აღგილობრივ ამომხვეული ძაფი იმერეთიდან ოსმალეთს გავჭინდათ, ხოლო ეხლა გატანა შეჩერდა და მთელ ჩვენს ძაფს საქსოვად და საკერავად ჩვენშივე ხმარობენ.

ფეიქრობამ ჩვენში უკვე დაპკარგა თავისი მნიშვნელობა და ეხლა უწინ-
დელ საფეიქრო ცენტრებში ვხვდებით რამდენსამე ფეიქარს, რომელიც ჩვეუ-
ლებისამებრ მისდევს ისევ ამ საქმეს.

აბრეშუმის ნაქსოვების რაოდენობით ჩვენს ყურადღებას იქცევს იმერეთი,
სადაც ფეიქრობას ჯერ კიდევ აქვს ეკონომიური მნიშვნელობა. ჩვენში ქსოვენ
უმთავრესად საცვლებისთვის საკმაოდ წმინდა თეთრ მერლინსა და დარაიას.

გურიაში ქსოვენ ჭრელ სარტყელს, რომელიც უსაჭიროეს კუთვნილებას
შეადგენს გურულის და აჭარელის ტანისაშოსისას — და აგრეთვე ზოლებიან ფერად
მტკიცე ნაქსოვს.

ამას გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მატყულნარევ აბრეშუმის ნაქსოვს.

ფეიქრობასთან დაკავშირებულია ჩვენში აბრეშუმის დაწენა ქუთაისის, სე-
ნაკისა და ზუგდიდის მაზრებში; აქვე სწნავენ ზონარს, ყაითანს, ფუნჯს ანუ
ფოჩს და სირიფს, მეტადრე სააბრეშუმო რაიონების ქალაქებში.

მაშასადამე, შეგვიძლია ვსოქვათ, რომ ჩვენს სააბრეშუმო რაიონებში ნედლი
მასალა საქმაოდ მოიპოვება პარკის სახით; საშინაო დასამუშავებლად. ჩვენს ხალხს
აქვს საკმაო ტეხნიკური მოხერხება; მას შეუძლია ხელოვნური მომზადება აბ-
რეშუმის შრეწველობის განსავითარებლად ეხლანდელი მოთხოვნილების მიხე-
დვით; ძველი აბრეშუმის ნაქსოვი იმდენად საყურადღებოა და ორიგინალური
ხელოვნების და ტეხნიკის მხრივ, რომ მისი აღდგენა ფართო სახით არ შე-
იძლება სასარგებლო არ იყოს ჩვენი ფეიქრებისთვის. საჭიროა შოლოდ ტეხ-
ნიკური და ხელოვნური ხელმძღვანელობა და დახმარება გასავლის ორგანიზა-
ციაში.

გ. ლითონის დამუშავება. მავკასია უწინდელი ღროლანვე სახელგან-
თქმული იყო თავისი სპილენძის მაღნებით, ხოლო ხალხის თვალში მთავარი ღი.
რებულება ჰქონდა რკინას, როგორც იარაღის გამოსაჭედ მასალას, რაღაც
ხალხი მუდამ შიშიანობას განიცდიდა გარეშე მტრების მხრივ.

რუსების ჩვენში შემოსვლის დროს რკინას რეწვდენ მხოლოდ რაჭაში
(სოფ. წელისი) და განჯაში (სოფ. ბოიანი). ხოლო ამ ორ ადგილს გარდა
ლითონის სარეწავი რაიონები არ შეეთანხმებიან. ლითონის მაღნების ადგილებს.
ამიტომ ფიქრობენ, რომ ჩვენი მაღნების დამუშავება შემდეგ დაიწყეს. ეს მტკიც-
დება იმითაც, რომ აღვერდის სპილენძის მაღნების დამუშავება აღორძინდა
1710 წ. მოსული ბერძნების ინიციატივით და აქამდი ლითონების რეწვა ჩვენში
თითქმის სრულიად უცხოელების ხელშია. აქ საყურადღებოა ვერცხლისა და
საოქრომჭედლო, საზეინკლო—სამჭედლო ნაწარმოებნი და სპილენძის ჭურჭ-

ლის კეთება. ვერცხლისა და საოქრომჭედლო ნაწარმოებით თავისი ორიგინალური და ხელოვნური თავისებურობით იქცევენ დიდ ყურადღებას არა მარტო ჩვენში, არამედ დასავლეთ ევროპასა და ამერიკაშიც. საოქრომჭედლო ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია ვერცხლის მავთულით დაწნული (ე. წ. ფილიგრანიანი); ნივთები. ეს დარგი ოქრომჭედლებს, როგორც სჩანს, მიუღიათ მცირე აზის გზით სამხრეთ-ევროპიდან, სახელდობრ, იტალეთიდან. ამ ფილიგრანიანი ნივთების საწარმოვო ცენტრია ქ. ახალციხე, თუმცა იგი სხვაგანაც გავრცელებულია ჩვენში, მაგ., ქალ. თფილისში.

რაღაც ჩვენში საომარი იარალის წარმოება მოისპონ და სასოფლო-სამეურნეო იარაღების გავრცელებით ოჯახში რეინის ხმარება გახშირდა, ჩვენს სოფლებში თანდათან მატულობს ზეინკლებისა და მჭედლების შრომის მოთხოვნილება.

ნაწარმოებთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ჩვენი გუთნის რეინის ნაწილებს, ბარს, თოხს, ნამგალს, ნალს, ბორბლის სალტას, რეინის ჯაჭვს, ცულს, ნაჯახს, საზეინკლო წვრილწვრილ ნივთებს — დანა-მაკრატელს, ხანჯალს, ხმალს და სხვას.

საქართველოში ფრიად გავრცელებულია სპილენძის ჭურჭლის მზადება ბევრ ქალაქებსა და სხვა სავაჭრო ცენტრებში. წითელი სპილენძისგან (რვალისგან) აკეთებენ ქვაბებს, ტაშტებს, საინებს, ხონჩებს, სხვადასხვა ფორმის პირისაბანს და სხვას. სპილენძისგანვე აკეთებენ ლუდის სახარშავ დიდ ქვაბებს, არაყის სახდელ ზარფუშიან ქვაბებს, სარეცხის და საბანაო გვჯებს, წყლისთვის, დიდ კოკებს. ოჯახში სახმარ სპილენძის ჭურჭლის ჰალავენ. მხოლოდ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი სპილენძის ჭურჭელს საზღვარ-გარეთ არა აქვს. გასავალი, რაღაც იგი მცირე ხელოვნურია და მის წარმოებაში სრული უწესოება. სუფევს.

დ. თიხის დამუშავება. მეჭურჭლეობა საქართველოში უუძველესი დროიდან არსებობს. ქრისტეს წინა ეპოქის ნაშთებიდან ვხედავთ, რომ ჩვენი ოსტატებიც ასურელ-ბაბილონულთა და სპარსთა წაბაძვით ცდილობდენ შეეტანათ, თავის წარმოებაში ხელოვნური შემოქმედება: შესანიშნავია, რომ საქართველოს იღლებმა სრულიად არ იციან თიხის ჭურჭლის კეთება. მეჭურჭლეობა ჩაისახა და განვითარდა უუძველეს მიწადმომქმედ ერებში; მაშინ ხალხს უკვე ესაჭიროებოდა საოჯახო ჭურჭელი, ქვევრები, წყლის გასაყვანი მილები, აგური, და კრამიტი.

საქართველოს ძველი ციხე-ქალაქების ნანგრევებს ქვეშ აღმოუჩენიათ მიწი ჩაფლული ღვინის ქვევრები, წყლის კოკები და თიხის მილებიანი უზარმაზარი წყალსაღენი სასმელი და სარწყავი წყლის გამოსაყვანი.

მეჭურჭლეობის ცენტრები დიდმალია საქართველოში. ცხოვრების ამ დარგს ჩვენი ხალხისთვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. შესანიშნავი ცენტრებია: სოფლები — შროშა, ხარაგოული, მარელისი, კურსები, ანგა, მცხეთა, არტოზი და სხვა.


ყველა ნივთებზე თავისი არაჩვეულებრივი ზომით და გამოყვანის ტეხნიკით შესანიშნავია ჩვენი ქვევრი ანუ ჭური. ქვევრის რაიონებია მევენახეობის რაიონები კახეთსა და იმერეთში. ქვევრი იტევს ხშირად 200 ვედრის, ხოლო ზოგჯერ სამასამდეც.

მეჭურჭლეობის ცენტრების გაერცელება ჩვენში სრულად არ არის გამოკვლეული, არ არის შესწავლილი სხვადასხვა თიხის ტეხნიკური თვისება, არ არის გამოაშვარავებული ოსტატების სხვადასხვა ხერხი. საჭურჭლე თიხა ჩვენში დიდალია; მრავალი ჭურჭელი კი ცუდად არის გამომწვარი, უშნოა; დამინანქრება შეუძლია მხოლოდ ზოგიერთ ოსტატს და ისიც ძლიერ ცუდად; ჭურჭლის ხელოვნებაზე ხომ ჩვენს ოსტატს თითქმის არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ეს ნაკლულებანება რომ მოგსპოთ და ტეხნიკის გაუმჯობესობით ოსტატებში გავაღვივოთ საუკეთესო ნივთების გაკეთების უნარი, მიესცეთ მათ ახალი ნიმუშები, მაშინ, ცხადია, ჩვენი მეჭურჭლეობა აღორძინდება და ჩვენი ხალხის შემოსავლის ერთ უდიდეს წყაროდ გადაიქცევა.

